

მას ლაშაძიძე

ს. ვ. უჩიძე მ. მ. მარტოშვილი
(მეფეთა «დღიურები»)

ნაწილი I

თბილისი
2006

რედაქტორი:

აკად. გრ. გორგაძე

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ე. ავალიანი

რეცენზენტი:

ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ნ. ხაზარაძე

AGIBAS

**American-Georgian Institute of Biblical and
Archaeological Studies**

Tbilisi State University/Cornell University

ბიბლიური და არქეოლოგიური კვლევის ამერიკულ-
ქართული ინსტიტუტი
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი/კორნელის
უნივერსიტეტი

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პრ. № 3,
თბილისი 0128, თსუ II კორპ. №236.
mgambashidze@yahoo.com



ედვინება ჩემი მასწავლებლის
აკად. გრიგოლ გიორგაძის
ხსოვნას

შესავალი

რას ეწოდება „ანალები“ და „ანალისტიკა“. ანალისტიკა არის ისტორიული დისციპლინის - წყაროთმცოდნეობის დარგი, რომელიც განსაკუთრებული ფორმის ისტორიულ წყაროს ანალებს შეისწავლის. „ანალები“ ლათინური სიტყვაა და სიტყვასიტყვით „წელიწადეულს“ ნიშნავს (annales, annus „წელი“). ისტორიული წყაროს ეს თავისებური ფორმა წარმოიშვა ძველ რომში, დაახლოებით ძვ.წ. V ს. ეს იყო თხზულებანი, რომლებიც უზენაესი ქურუმის (pontifex maximus) ბრძანებით იწერებოდა ყოველწლიურად. ანალები შედგენილი იყო ე.წ. „ფასტების“ მიხედვით¹ და იწერებოდა ხის დაფებზე, მოქალაქეთა თვალსაჩინოებისათვის. მათში აღწერილია საანგარიშო წლის განმავლობაში მომხდარი სახელმწიფო მნიშვნელობის ამბები. სამწუხაროდ, ჩვენამდე ამ ისტორიული თხზულებების მხოლოდ ნაწილმა მოაღწია მათი პირველწყაროები დაიწვა ძვ.წ. 327 წელს, რომში მომხდარი დიდი ხანძრის დროს. ძვ.წ. II ს. მეორე ნახევარში ეს თხზულებანი ზეპირი გადმოცემების მიხედვით აღადგინეს და შეიქმნა ოთხმოცწიგნიანი კრებული, რომელსაც „დიდი ანალები“ (annales maximum) ეწოდა. ანალების ჩაწერა ძველ რომში მუციუს სცევოლას უზენაესი ქურუმობის დროს შეწყდა და ზემოხსენებული „დიდი ანალების“ შედგენასაც სწორედ ამ დროს უკავშირებენ.²

ანალები ეწოდა აგრეთვე იმ ადრეული რომაელი ისტორიკოსების თხზულებებს, რომლებიც „დიდი ანალებით“ სარგებლობდნენ და ქვეყნის ისტორიას ქრონოლოგიური პრინციპით გადმოსცემდნენ. შემდგომ ამ ტერმინმა კვლავ იცვალა მნიშვნელობა: ანტიკურ ხანასა და შუასაუკუნეებში ანალები უწოდეს ჰეგზამეტრით დაწერილ ისტორიულ პოემას.

ანალების რომაელი ავტორები სარგებლობდნენ ძირითადად ფასტებით, ანალებით და სხვა სახის წყაროებით. ისინი ისტორიულ მოვლენებს მიკერძოებულად გადმოსცემდნენ: გაზვიადებულადაა აღწერილი რომაელთა წარმატებანი, ხოლო მარცხი და წარუმატებლობა იმალებოდა. მათ თხრობაში წინ იყო წამოწეული თხრობის ემოციური ფაქტორი, ხოლო

ისტორიული ფაქტების სიზუსტის დაცვას დიდი ყურადღება არ ექცეოდა. შესაბამისად, სტილის თვალსაზრისით, „ანალები“ ისტორიულ წყაროზე უფრო მეტად ლიტერატურულ თხზულებას უახლოვდება.

როგორც ითქვა, ტერმინი „ანალები“ ძველ რომში შეიქმნა, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ისტორიული ფაქტების გადმოცემის ასეთი პრინციპი მმართველთა ზეობის წლების მიხედვით ქრონოლოგიური თანმიმდევრობის დაცვა - ძველმა რომაელებმა გამოიგონეს. სადღეისოდ მოგვეპოვება ამავე პრინციპით აგებული ხეთ, ეგვიპტელ, ასურელ, ებრაელ და ურარტელ მმართველთა მიერ შექმნილი ბევრად უფრო აღრინდელი ისტორიული შინაარსის თხზულებანი.

რომაული ანალებისაგან განსხვავებით, რომლებსაც ისტორიკოსები თხზავდნენ, ძველადმოსავლური ანალები იწერებოდა თვით მეფის სახელით. მათში პირველი პირის ფორმით აღწერილია ქვეყნის მმართველის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მიღწევები. ეს თხზულებანი დალაგებულია მეფის მმართველობის წლების მიხედვით და, ამიტომაც, მათ „სამეფო ანალები“ ეწოდება.³

სამეფო ანალები ისტორიული შინაარსის სხვა წყაროსაგან განსხვავდება ტექსტის აგების წესით. როგორც ითქვა, მეფის საგმირო საქმენი (ვისი სახელითაც იწერება თხზულება), დალაგებულია მისი ზეობის წლების მიხედვით. იმის შესახებ, თუ რამდენად შეესაბამება სამეფო ანალებში გადმოცემული ფაქტები ისტორიულ სინამდვილეს, სპეციალურ ლიტერატურაში არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი თხზულებანი მეფის განსაღიღებლად იქმნებოდა და, ამასთანავე, მას საკულტო ფუნქციაც ჰქონდა: მეფე თავის მფარველ ღვთაებას ამცნობდა („ანგარიშს აბარებდა“) მის მიერ ბოძებული ქვეყნის მართვის შესახებ.⁴

როგორც ისტორიული წყარო, სამეფო ანალები მრავალმხრივად საინტერესო: კონკრეტული ისტორიული ფაქტების გარდა, ისინი შეიცავს ცნობებს მოცემული მეფის მმართველობის თანადროული საზოგადოებრივი ცხოვრების შესახებ. ამასთანავე, აღნიშნული ტექსტები, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას იქცევს სტილის თვალსაზრისით - თხრობის ასეთი ფორმა მნიშვნელოვნად განსხვავდება სხვა წერილობითი წყაროებისაგან, ამიტომ ბუნებრივად

დგება ანალების, როგორც წერილობითი წყაროს განსაკუთრებული სახეობის შესწავლის, ხოლო მათი შემსწავლელი დარგის წყაროთმცოდნეობის ცალკე დარგად გამოყოფის საკითხი.

ხეთური ანალები.⁵ სადღეისოდ ცნობილი ძველადმოსავლური ანალებიდან ყველაზე უფრო ადრინდელია ხეთური სამეფო ანალები. ხეთებმა სამეფოს დაარსებისთანავე (ძვ. წ. XVII ს.) ძველი აქადურის ჩრდილო სირიული დიალექტიდან შეითვისეს დამწერლობაცა და ისტორიულ-ლოკუმენტური და ლიტერატურული თხზულებების წერის კულტურაც.⁶ ამასთანავე, მათ შექმნეს საკუთარი ისტორიოგრაფიული ტრადიციებიც. თავისებურება ყველაზე მკაფიოდ სწორედ სამეფო ანალებში გამოვლინდა.⁷

შინაარსის მიხედვით ხეთური ტექსტები შემდეგ ძირითად ჯგუფებად იყოფა:

- 1) ისტორიული და პოლიტიკური შინაარსის ტექსტები;
- 2) სამართლებრივი დოკუმენტები;
- 3) სოციალურ-ეკონომიკური შინაარსის დოკუმენტები;
- 4) რელიგიური შინაარსის ტექსტები;
- 5) ლიტერატურული ტექსტები, ლექსიკონები;
- 6) სხვა ენებზე შედგენილი ტექსტები.⁸

სამეფო ანალები განეკუთვნება ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ტექსტებს. ამ ჯგუფში, სამეფო ანალების გარდა, შედის: სახელმწიფო ხელშეკრულებანი, დიპლომატიური კორესპონდენცია და ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის სხვა ტექსტები.⁹

ხეთური ანალისტიკის შესწავლისას,¹⁰ გამოიყოფა რამდენიმე ძირითადი მიმართულება, კერძოდ:

1. ანალების ფორმის ანალიზი;
2. ანალების ფუნქციის განსაზღვრა;
3. ხეთური ანალების შედარება სხვა ძველადმოსავლურ ანალებთან.

სამეფო ანალები ხეთების ქვეყნის სამივე პერიოდს - ძველ (დაახლ. ძვ. წ. 1680-1460 წწ.), შუა (დაახლ. ძვ. წ. 1460-1380 წწ.) და ახალ სამეფოს (დაახლ. ძვ. წ. 1380-1190 წწ.)

განეკუთვნება. ცალკე გამოიყოფა ხეთების სამეფომდელი ისტორიული წყარო: ე. წ. „ანიტას ტექსტი“, რომელიც ქრონოლოგიური პრინციპით აგებულ სადღეისოდ ცნობილ ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის თხზულებათა უძველესი ნიმუშია.¹¹ იმის მიუხედავად, რომ ეს ტექსტი არ წარმოადგენს ანალების კლასიკურ ნიმუშს, მასში მკაფიოდ ვლინდება ანალისტური თხრობის ჩანასახი. კერძოდ: სიტყვა “წელიწადი” აქ ორჯერ გვხვდება: § 3. šaniya witti „იმავე წელს“ და § 17. wettan dannieššima „მომდევნო წელს“, რითაც იგი ხათუსილი I-ის ანალების MU.IM.MA-annima-სა და მურსილი II-ს ანალების MU(.KAM)-annima-ს ემსგავსება. ამიტომ ივარაუდება, რომ ხეთური ანალისტიკა სათავეს სწორედ „ანიტას ტექსტიდან“, ანუ ხეთების სამეფომდელი პერიოდიდან (ძვ. წ. XVIII ს.) უნდა იღებდეს.

ძველ სამეფოს¹² განეკუთვნება აქადურ და ხეთურ ენებზე შესრულებული ხათუსილი I-ის ანალები და მურსილი I-ის ანალები. ხათუსილი I-ის ანალები ჩამოყალიბებული ანალისტური ფორმისაა. ტექსტში აღწერილია ხათუსილი I-ის მმართველობის ექვსი წელი. ყოველი მომდევნო წლის დასახელებისას ვხვდებით გამოთქმას: „ზოლო შემდეგ წელს“ (MU.IM.MA-annima). ტექსტში გადმოცემულია მეფის სამხედრო ოპერაციები, ანალებისათვის დამახასიათებელი ფორმით აღწერილია ამა თუ იმ ქვეყნისა თუ ქალაქის განადგურება, გადაწვა, ალაფის ხელთ გდება. იმის მიუხედავად, რომ ტექსტში რამდენიმე ადგილად ეპითეტსა თუ სხვა ლიტერატურულ სახეს ვხვდებით, ფაქტები მაინც მშრალად არის გადმოცემული. მხოლოდ ბოლო ბრძოლა ქალაქების ხახუმისა და ხასუვას დაპყრობის შესახებ და მდ. ევფრატის გადალახვის ამბავი უფრო ვრცლადაა მოთხრობილი.¹³

სამწუხაროდ, მურსილი I-ის ანალები მხოლოდ რამდენიმე ფრაგმენტის სახით შემოგვრჩა. სავარაუდებელია, რომ არსებობდა მისი ვრცელი ვარიანტი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ფრაგმენტთა კვლევა ძირითადად ისტორიული ფაქტების თვალსაზრისით წარმოებდა და იგი სხვა ხეთური ანალების თანაბრად არ განიხილებოდა. თუკი ამ ტექსტს ანალისტური

თვალსაზრისით განვიხილავთ, ყურადღებას უთუოდ მიიქცევს ის ფაქტი, რომ აქ ვხვდებით ანალებისათვის დამახასიათებელ შემდეგ გამოთქმას: „შემდეგ წელს“ (takšanna).

აქვე აღვნიშნავთ, რომ ძველი სამეფოს პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს აგრეთვე ე.წ. „ამუნას ქრონიკა“ (CTH 18). კვლევის პროცესში გამოვლინდა კიდევ ამ ტექსტის ანალიტური ხასიათი, მაგრამ ვინაიდან „ამუნას ქრონიკის“ სახელით ცნობილი ფრაგმენტების ტექსტობრივი მიმართება ჩვენთვის ბოლომდე ნათელი არ არის, ამიტომ თავს ვიკავებთ წინამდებარე ნაშრომში მისი განხილვისაგან.¹⁴

შუა სამეფოს პერიოდიდან ჩვენამდე მოაღწია თუთხალია I-ისა და არნუვანდა I-ის ანალებმა, რომლებსაც ადრე ახალი სამეფოს ბეფებს, თუთხალია IV-სა და არნუვანდა III-ს მაწერდნენ. მურსილი I-ის ანალების მსგავსად, შუა სამეფოს ანალებიც მეტად ფრაგმენტულია. თუთხალია I-ის ტექსტის თხრობა იწყება მეფის ტახტზე ასვლიდან. აქ ვერ ვხვდებით ანალებისათვის დამახასიათებელ წლების აღსანიშნავ გამოთქმებს: „შემდეგ წელს“, „მეორე წელს“. მაგრამ ტექსტი, ყველა თავისი კომპონენტით, აშკარა ანალიტური აგებულებისაა: გადმოცემულია ქვეყნებისა და ქალაქების დაპყრობის ამბავი, ტყვეთა და ნადავლის ხელთ გდება. ასევე ვხვდებით ანალებისათვის დამახასიათებელ კოლოფონს: „2 ფირფიტა... საქმენი...“

არნუვანდა I-ის ანალები კიდევ უფრო ფრაგმენტულია, მისი მსგავსება თუთხალია I-ის ანალებთან ძალზე დიდია.

ახალი სამეფოს დროინდელია სუფილულიუმა I-ის ანალები, მურსილი II-ს მიერ შედგენილი „სუფილულიუმას საქმენი“, მურსილი II-ს „ათწლიანი“ და „ვრცელი“ ანალები, ხათუსილი III-ის ანალები, თუთხალია IV-ის ანალები.

ცალკე გამოიყოფა სუფილულიუმა I-ის ანალების ფრაგმენტები, რომლებიც მურსილი I-ის ანალების მსგავსად, დღემდე სხვა ხეთურ ანალებთან ერთად არ განიხილებოდა. აქ თხრობა პირველ პირშია და ვხვდებით კოლოფონს: „X ფირფიტა, დაუმთავრებელი, სუფილულიუმასი, დიდი მეფისა, გმირისა. საქმენი საგმირონი.

ჯერ არ გამოუკვეთავთ ბრინჯაოს ფირფიტაზე”. ტექსტი იმდენად ფრაგმენტულია, რომ მის აგებულებაზე მსჯელობა შეუძლებელია. საეარაუდოა, რომ არსებობდა სუფილულიუმა I-ის ანალების ტექსტი, რომელსაც თავისი დიდი მნიშვნელობის გამო ბრინჯაოს ფირფიტაზე კვეთდნენ.

ასევე მოგვეპოვება მურსილი II-ს მიერ შედგენილი სამი ტექსტი: „სუფილულიუმას საქმენი” და საკუთარი „ათწლიანი” და „ვრცელი” ანალები. „სუფილულიუმას საქმენი”-ს ტექსტი დიდი მოცულობისაა და მეფის ტახტზე ასვლიდან მმართველობის ოცი წლის ამბავს მოიცავს. აქ ნაწილობრივ, სუფილულიუმა I-ის მამის, თუთხალია III-ს ლაშქრობების ამბავიცაა გადმოცემული.

ყოველი ფირფიტის დასასრულს კოლოფონს ვხვდებით: „X ფირფიტა, (ტექსტი) დაუსრულებელია, სუფილულიუმას საქმენისა ხელი –სუცითისა”. აქ ნახსენებია ფირფიტის გადამწერის სახელიც, რომელიც სამწუხაროდ სრულად არ შემოინახა.

მომდევნო წლის აღსანიშნად ვხვდებით გამოთქმას „ხოლო როდესაც გაზაფხულდა” (mahhanma hameshanza). „სუფილულიუმას საქმენი” სხვა განხილული ანალებისაგან საკმაოდ განსხვავდება. თხრობა აქ შესაბამისად პირმა, რადგან ტექსტის ავტორი მურსილი II-ა და არ არის გამორიცხული, რომ მან ტექსტის პირველწყაროდ სწორედ ზემოხსენებული სუფილულიუმა ანალებით ეხელმძღვანელა.

„სუფილულიუმას საქმენი”-ს გარდა, როგორც აღვნიშნეთ, მურსილი II-ს ეკუთვნის საკუთარი ლაშქრობების შესახებ შედგენილი ორი ტექსტი. „ათწლიანი” ანალები მეფის მოღვაწეობის პირველ ათ წელს მოიცავს, ხოლო „ვრცელი” ანალები კი – მთელი მმართველობის პერიოდს. საინტერესოა ის ფაქტი, რომ „ათწლიანი” ანალები-ს ტექსტი და „ვრცელი” ანალების დასაწყისი ნაწილი, რომელიც პირველი ათი წლის ამბავს გადმოგვცემს, სიტყვასიტყვით ერთმანეთს არ ემთხვევა. წლების დასახელებისას აქაც ვხვდებით გამოთქმებს „შემდეგ წელს” (MU(.KAM)-annima) და „როდესაც გაზაფხულდა” (mahhanma hameshanza).

„ანითას ტექსტი“ საფუძველი ეყრება მეფის მოღვაწეობის ქრონოლოგიური პრინციპით აღწერას. თხრობის ამ ფორმამ ხეთურ ისტორიოგრაფიაში მკაფიოდ ჩამოყალიბებული სახე მიიღო მურსილი II-ს ანალებში. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ სამეფო ანალების, როგორც წერილობითი წყაროს მთავარი დამახასიათებელი ნიშანი სახელმწიფოს მართვის წლიური „ანგარიში“ უნდა იყოს (რასაც კარგად გადმოსცემს ქართული ტერმინი „წელიწდეული“), მაშინ მურსილი II-ს ანალები სწორედ მის კლასიკურ ნიმუშად გვევლინება. რას გულისხმობს ეს „წელიწდეულობა“? ხეთური ანალები წარმოადგენს მხოლოდ რომელიმე კონკრეტული ხეთი მეფის საქმიანობის ყოველწლიურ ანგარიშს, ანუ იმის თხრობას, რა მნიშვნელოვანი საქმეები მოიმოქმედა მან კონკრეტული წლის მანძილზე. შესაბამისად, თხრობა უეჭველად ქრონოლოგიური პრინციპით არის დალაგებული, გადმოცემულია პირველი პირის ფორმით და მათ „სამეფო ანალები“ ეწოდება. ამ ნიშნებით ანალები პრინციპულად განსხვავდება ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის სხვა ხეთური ტექსტებისაგან.

ნაშრომში განხილული ტექსტების მიხედვით ნათელი ხდება, რომ ანალებად წოდებული ისტორიულ-პოლიტიკური შინაარსის ხეთური წერილობითი წყაროების მთავარი დამახასიათებელი ნიშანი არის მათი სტრუქტურის თავისებურება: ისინი აგებულია „დღიურის“ პრინციპით.. ასეთ მოვლენას ეგვიპტურსა და ისრაელის მეფეთა წარწერებშიც ვხვდებით. ეგვიპტეში ლაშქრობის დროს მეფის კარნახით აღიწერებოდა ყოველი დღე და მათ „ანალები“, ანუ „დღიურები“ ერქვა. (ეგვიპტურად *gnwt, hrwyt „annals, day books“*).¹⁵ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ისრაელის მეფეთა მოღვაწეობის აღწერა აგრეთვე დღიურის სახით ხდებოდა: „წიგნი ისრაელის (იუდეველ) მეფეთა დღიურ საქმეთა“ (*sēfer dibrē hayyāmim*).¹⁶

მაგრამ ხეთურ ანალებს დღიურებს ვერ ვუწოდებთ იმის გამო, რომ „დღიური“ ყოველდღიურ ჩანაწერებს ნიშნავს, ხოლო ხეთურ სამეფო ანალებში მოვლენები წლების მიხედვით აღიწერებოდა. ამიტომ ვთვლით, რომ მათ უფრო მცნება „წელიწდეული“ შეესაბამება და იგი ამით ასურულსა და ურარტულ ანალებს ემსგავსება.¹⁷

როგორც ჩანს, დაპყრობითი ლაშქრობებისა და ბრძოლების დროს ხეთი მეფის კარნახით მოვლენების აღწერა ხდებოდა პატარა ფირფიტებზე, შემდეგ კი სამეფო კარის მწერლის მიერ ერთიანად გადაიწერებოდა დიდ ფირფიტაზე. სავარაუდოა, რომ ისინი რამდენიმეჯერაც კი გადაიწერებოდა, ამიტომაც, რომ ტექსტებში ვხვდებით გამოთქმას: „ჯერ არ შესრულებულა ბრინჯაოს ფირფიტაზე“.

ჩვენს მსჯელობაზე დაყრდნობით, ხეთური სამეფო ანალები შეიძლება დავყოთ ორ ნაწილად: ა) დღიურის სახით მოკლედ ჩაწერილი ფაქტები; ბ) მოკლე ჩანაწერებზე დაყრდნობით მხატვრულად აღწერილი ერთიანი დიდი ტექსტი. სავარაუდოა, რომ ყოველ ხეთ მეფეს უნდა ჰქონოდა სურვილი და, შეიძლება, მეფურ წმინდა მოვალეობადაც თვლიდა ანალების სახით აღწერა თავისი მოღვაწეობა. ცხადია, რომ ქვეყნის პოლიტიკური თუ სოციალური პირობების გამო ამას ყველა მეფე ვერ ახერხებდა, ზოგიერთი მთელ თავის მმართველობის პერიოდს მხოლოდ თავდაცვით ბრძოლებში ატარებდა.

იმის მიუხედავად, რომ ჩვენ მხოლოდ რამდენიმე ხეთი მეფის ანალების ტექსტები მოგვეპოვება, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ სხვა მეფეთა ანალებიც უნდა არსებულებოდა. ეს ტექსტები უამთა მსვლელობისას შესაძლებელია განადგურდა. ასევე შესაძლებელია, რომ ისინი ჯერ კიდევ არ არის აღმოჩენილი.

ბ) ვისთვის იწერებოდა ხეთური სამეფო ანალები? უპირველეს ყოვლისა აშკარაა მათი საკულტო ფუნქცია: ღვთაებათაგან დადგენილი დანიშნულების შესრულების შემდგომ მეფეებს „ანგარიშის“ სახით უნდა წარედგინათ მათთვის თავიანთი „საგმირო საქმენი“ (pišnadar, LU-natar, „ვაჟაკობა,„საქმენი საგმირონი“).¹⁸

მეორე ფუნქცია ანალებისა იყო მეფის სახელის განდიდება ხალხის თვალში. იგი განკუთვნილი იყო საჯაროდ ხმამაღლა საკითხავად.¹⁹

მესამე ფუნქცია იყო ისტორიოგრაფიული, ანუ მათ შთამომავლობისათვის გადასაცემად ადგენდნენ. ჰეროდოტეს ცნობილი ნათქვამი: „წერ... რომ დროთა ვითარებაში არ იქნეს დავიწყებული ადამიანთა საქებარი საქმიანობა...“ -რამდენად მიესადაგება ეს გამონათქვამი ხეთურ ანალებს, ძნელი გასარკვევია. ყოველ შემთხვევაში, ანალების ჩამოყალიბების დროს ნაკლებად სავარაუდოა, ხეთ მეფეებს ამაზე ეზრუნათ. როგორც არაერთხელ

აღვნიშნეთ, ხეთის ძველი სამეფოს პერიოდში ანალისტიკის მხოლოდ საწყის ეტაპს ვხვდებით, რამაც შემდგომ პერიოდში უკვე ჩამოყალიბებული სახე მიიღო ახალი სამეფოს დროს, რისი თვალსაჩინო მაგალითიც მურსილი II-ს ნაწარმოებებია.²⁰

ანალების ტექსტები, სხვა ფირფიტებთან ერთად ხათუსას ბიბლიოთეკაში ინახებოდა და, სავარაუდოა, რომ შემდგომში მათ ისტორიულ წყაროდ იყენებდნენ: ფაქტებისა და მოვლენების თანამიმდევრობით აღწერა ამარტივებდა ამა თუ იმ დანიშნულების სახელმწიფო დოკუმენტისა თუ ხელშეკრულების შედგენას, როდესაც დასაზუსტებელი იყო მაგალითად ქვეყნის საღაო ტერიტორია თუ საზღვარი.

ხეთური სამეფო ანალების ასურულსა და ურარტულ ანალებთან შედარების მიზნით თვალი გადავაქოთ მათ აგებულებას:

ასურული ანალები²¹ ორ განსხვავებულ ნაწილად იყოფა: ა) ერთი ლაშქრობის აღწერა; ბ) ორი ან მეტი ლაშქრობის აღწერა.

ა) ერთი ლაშქრობის აღწერა ახასიათებს მხოლოდ ახალ ასურულ პერიოდს (ძვ. წ. IX-VII სს.). იგი კლდეზე იკვეთებოდა იმ რეგიონში, სადაც ზორციელდებოდა ლაშქრობა. წარწერასთან ერთად გამოისახებოდა მეფის რელიეფი და ღვთაებრივი სიმბოლოები. ასეთი ტექსტები შემდეგი რიგის მიხედვითაა აგებული: 1. ღვთაებათა მოხმობა; 2. მეფის სახელი და ეპითეტები; 3. ლაშქრობის ანალისტური თხრობა; 4. წყევლის ფორმულა.

ბ) ორი ან მეტი ლაშქრობის აღწერა დამახასიათებელია შუა ასურული პერიოდიდან (ძვ. წ. XII-IX სს.). იგი სრულდებოდა თიხაზე (ფირფიტები, ცილინდრები, პრიზმები) და ქვაზე (დაფებსა და სტელეებზე). ქვა უმეტესად თავსდებოდა ტაძრებსა და სასახლეების გამორჩეულ ადგილებში, სადაც შეიძლებოდა მათი დანახვა და წაკითხვა. თიხის ფირფიტები და პრიზმები თავსდებოდა შენობათა საძირკვლებში, სადაც მათი ნახვა მხოლოდ ღვთაებებსა და იმ მომავალ უფლისწულს შეეძლო, რომელიც შენობას განაახლებდა. ასეთი წარწერები შემდეგი რიგის მიხედვითაა აგებული: ა) 1. მეფის სახელი და ეპითეტები, 2. ბრძოლათა ანალისტური თხრობა; სამშენებლო საქმიანობა, 4. დალოცვა. ბ) 1. ღვთაებათა მოხმობა; 2. მეფის სახელი და ეპითეტი; 3. ბრძოლათა ანალისტური თხრობა.

ურარტული ანალები²² ძვ. წ. IX საუკუნიდანაა ცნობილი და ისინი შეზღვევი რიგის მიხედვითაა აგებული: 1. წარწერის დასაწყისი: ა) ღვთაებათა ღიღება; ბ) ღვთაებათა დახმარებისათვის ხმობა; 2. წარწერის მთავარი ნაწილი: ა) ლაშქრის შეგროვება; ბ) სალაშქროდ წასვლა; გ) დაპყრობა, დამორჩილება, გამარჯვება; დ) დაპყრობილი ტერიტორიის განადგურება; ე) ალაფი, ტყვეები; ვ) ხარკი, ძღვენი; ზ) ტრაფარეტული გამოთქმები, როგორ ექცევა მეფე დაპყრობილი ქვეყნების მმართველებს; თ) მეფისნაცვლის დანიშნა დაპყრობილ ქვეყანაში; ი) დაპყრობილი ქვეყნის ურარტუს ქვეყნისათვის შემოერთება; კ) დაპყრობილ ქვეყანაში სიმამრეთა აგება; ლ) სამშენებლო მოქმედებანი; მ) სამხედრო მოქმედებების ხანგრძლივობა; ნ) დაპყრობილი ქვეყნების რელიეფი და ადგილმდებარეობა; ო) შემწე ღვთაების ხსენება; 3. წარწერის დასასრული: ა) მეფის გენეალოგია და ტიტულატურა; ბ) წყველის ფორმულა.

ხეთურისაგან განსხვავებით, ასურელებთან და ურარტელებთან ანალისტიკა უკვე ჩამოყალიბებული სახით გვხვდება. ასურული ანალები თიხის გარდა ქვაზეც სრულდებოდა. იგი გარკვეული პრინციპითაა აგებული და თითქმის ყოველთვის თავის მიერ დადგენილ თანმიმდევრობას მიჰყვება. ასეთ მოვლენას ხეთურ ანალებში ვერ აღმოვაჩინოთ, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სწორედ ხეთის სამეფოში უნდა ჩაყაროდა საფუძველი ანალისტიკას: აქ სახეზეა ისტორიულ-ლოკუმენტური თხრობითი ჟანრის განვითარების სრული პროცესი – ჩანასახიდან („ანიას ტექსტი“) მის კლასიკურ ნიმუშამდე (მურსილი II-ს „ათწლიანი“ და „ვრცელი“ ანალები). ამკარაა, რომ სწორედ ხეთებმა გამოიკვლიეს ისტორიული თხრობის ასეთი ფორმა, რომელიც შემდგომში ასურელებმა შეითვისეს, მოგვიანო ხანაში კი ანალების წერის სტილი სხვა ძველადმოსავლურ ქვეყნებშიც გავრცელდა.

3. გუტერბოკი წერდა: “როდესაც ჩემს თავს ვეკითხები, რა მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვით ხეთებს მსოფლიო კულტურის ისტორიაში, თავდაპირველად ხელოვნება და ლიტერატურა მახსენდება. მაგრამ, ისინი, ძირითადად მაინც საერთო წინააზიურ ტრადიციას მიჰყვებიან. სამაგიეროდ, განსაკუთრებული მერყენება ხეთების პირადი წვლილი ისტორიოგრაფიაში.”²³

ჩვენი კვლევის საფუძველზე დამაჯერებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანალისტიკის წარმოშობა სწორედ ხეთების დამსახურებაა.

ნაშრომში შევეცდებით უახლესი მონაცემების საფუძველზე განვიხილოთ ხეთების სამეფომდელი, ძველი, შუადა ახალი სამეფოს პერიოდების კუთვნილი ანალების ტექსტები (თარგმანი, კვლევის ისტორია, აგებულება, მეფეთა ისტორიანი). ნაშრომის მიზანია შედარებითი ანალიზის საფუძველზე შევისწავლოთ ხეთური სამეფო ანალების ჩვენთვის ცნობილი ყველა ტექსტი და გარკვეული წარმოდგენის ჩამოყალიბება სამეფო ანალების, როგორც ისტორიული წყაროს განსაკუთრებული სახეობის წარმოშობისა და განვითარების შესახებ.

კვლევის მომდევნო ეტაპზე ივარაუდება ხეთური სამეფო ანალებისა და ძველი აღმოსავლეთის სხვა სახელმწიფოთა ანალების შედარებითი ანალიზი, რამაც საბოლოოდ უნდა გამოავლინოს ანალების, როგორც წერილობითი წყაროს განსაკუთრებული კატეგორიის ყველა თავისებურება, ჩამოყალიბებისა და განვითარების კანონზომიერებანი და სხვადასხვა ქვეყნის ანალისტიკის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რასაც, ვფიქრობთ, გარკვეული მნიშვნელობა ექნება როგორც წყაროთმცოდნეობის თეორიული და პრაქტიკული, ისე, ზოგადად - ისტორიოგრაფიის საკვანძო საკითხების კვლევისათვის.

ნაშრომის I ნაწილში მოცემულია ანალისტიკის ზოგადი დახასიათება, მეფეების: ანითას, ზათუსილი I, მურსილი I, თუთხალია I/II, არნუვანდა I, სუფილულუმა I-სა და მურსილი II-ს ტექსტები. II ნაწილში წარმოდგენილია მურსილი II-ს “ვრცელი ანალები”, ზათუსილი III-სა და თუთხალია IV-ს ტექსტები, ხეთ მეფეთა სია, ანალისტიკის ლექსიკონი, საკუთარი, ღვთაებათა და გეოგრაფიული სახელები, შემოკლებანი, ბიბლიოგრაფია, ილუსტრაციები.

პირველი თავი ხეთების სამეფომდელი პერიოდი

ანიტას ტექსტი

წყაროები:

▪ ქიულთეფეს (ხეთური ხანის ქანესი/ნესა) მონაპოვრიდან ცნობილი „საკანონმდებლო ფორმულების“ ფირფიტები:

▪ i-qa-ti P1-it-ha-na ru-ba-im A-ni-ta ra-bi si-mi-il-ti „ფითხანას, მეფისა (და) ანიტას, კიბის უფროსის ხელით“ (TCL 21.214 A 19-22);²⁴

▪ i-qa-ti A-ni-ta rabim^m P1-ru-wa rabi s[|mi-il-ti] „ანიტას, მეფისა (და) ფირუევას, კიბის უფროსის ხელით“ (OIP 27.49 A 24-25, B 26-28);

▪ i-qa-ti A-ni-ta ru-ba-e „ანიტას, მეფის ხელით“ (OIP 27.1, x+1');²⁵

▪ 1954 წელს ქიულთეფეში ნაპოვნი ე. წ. „ხანჯალი“, წარწერით: É.GAL A-ni-ta ru-ba-im „ანიტას, მეფის, სასახლე“.²⁶

▪ 1132/ა ფრაგმენტიდან ცნობილი GÉME 'Anitta „ანიტას მოახლე ქალი“;²⁷

▪ ე. წ. „ანიტას ტექსტი“ (CTH 1): ა. KBo 3.22 (OS) = BoTU 7; ბ. KUB 26.71 i 1-19 = BoTU 30 = KBo 3.22 51ff; გ. KUB 36.98 (+) KUB 36.98a (+) KUB 36.98b წინა შხარე-უკანა შხარე. 6' = KBo 3.22 8-24, 30-42, 53-67, 73-79; დ. KBo 22.5²⁸

ისტორია. „ანიტას ტექსტი“-ს აღმოჩენით ჯერ კიდევ XX ს. დასაწყისში გახდა ცნობილი მეფე ანიტას არსებობის შესახებ.²⁹ გაირკვა, რომ იგი იყო ცენტრალურ ანატოლიაში მდებარე ერთ-ერთი სამეფოს - ქუსარის მმართველი და უნდა ემეფა ძვ. წ. XVIII ს. საუკუნის შუა წლებში.³⁰ ივარაუდება, რომ ქუსარა მდებარეობდა დღევანდელი ყიზილ-ირმაკის (ბერძნ. პალისი, ხეთ. მარასანთია) სამხრეთ-აღმოსავლეთით, ანტი-ტავროსის მთიანეთში, ასურეთიდან მომავალ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სავაჭრო გზაზე.³¹

ანიტას მეფობის სურათის აღსადგენად ერთადერთი მნიშვნელოვანი წყაროა ზემოხსენებული „ანიტას ტექსტი“. იგი გვამცნობს ქუსარას სამეფო დინასტიის ორი წარმომადგენლის, მამა-შვილის, ფითხანასა და ანიტას არსებობის შესახებ. გაურკვეველია, თუ რა ეთნიკური წამომავლობისანი იყვნენ ფითხანა და ანიტა. ფაქტია მხოლოდ ის, რომ ანიტამ შეუტია ქ. ნესას,³² ხელთ იგდო იგი, მაგრამ მოსახლეობისთვის ზიანი არ მიუყენებია და „ისინი თავის ღებებად და მამებად ქმნა“.³³ ანიტამ თავისი რეზიდენცია ქუსარიდან ნესაში გადაიტანა, რასაც არქეოლოგიურად ადასტურებს ქიულთეფეს VII ფენის „დიდ შენობაში“ აღმოჩენილი ზემოხსენებული ბრინჯაოს ხმალი (შესაძლებელია, ეს შენობა სწორედ ანიტას სასახლე ყოფილიყო). ტექსტის მიხედვით, ანიტამ თავისი საგმირო საქმენი ქალაქის ალაყაფის კარზე ამოტვიფრა.³⁴

ქუსარას სახელმწიფოს სამეფო დინასტიის დადგენის მიზნით ყურადღებას შევაჩერებთ აგრეთვე ზემოხსენებულ ე.წ. „კაპადოკიური ფირფიტების“ „საკანონმდებლო დოკუმენტებზე“, სადაც ერთ მეტად საინტერესო და საგულისხმო ფაქტს ვაწყდებით - მათში ანიტასა და ფითხანას გვერდით ვხვდებით ვინმე ფირუვას სახელსაც:

საინტერესოა, რომ ა დოკუმენტში, როდესაც ფითხანა მეფედ მოიხსენიება, ანიტას, მის ვაჟს, „კიბის თავის“³⁵ თანამდებობა უკავია. „კიბის თავი“ ერთ-ერთი უმაღლესი სასამართლო მოღვაწე იყო მაშინდელ ანატოლიურ ქალაქ-სახელმწიფოებში, რომელიც მეფესთან, „უზენაეს მოსამართლესთან“ ერთად ხელს აწერდა სასამართლო განაჩენებს. იგი ქვეყანაში მეფის შემდეგ მეორე პირად ითვლებოდა. „კაპადოკიურ ფირფიტებში“ იგი მეფისა და დედოფლის შემდგომ მოიხსენიებოდა. ამიტომ ვარაუდობენ, რომ იგი იყო „იურიდიული ფუნქციების მქონე მეფისწული“.³⁶

ე.ი. ა დოკუმენტის მიხედვით, როდესაც ქუსარაში ფითხანა მეფობდა, „კიბის თავის“ თანამდებობა მის ვაჟს, მეფისწულ ანიტას ეკავა. ისინი ერთად აწერდნენ ხელს სასამართლო განაჩენებს.

რაც შეეხება ბ. დოკუმენტს, აქ მეფედ უკვე ანიტა გვევლინება, ხოლო „კიბის თავად“ ამჯერად ფირუვაა. ლოგიკურია ვიფიქროთ, რომ ა დოკუმენტის მსგავსად, „კიბის თავი“ ფირუვა, უფლისწული, ანუ ანიტას ვაჟი უნდა ყოფილიყო, რომელიც მამამისთან ერთად სასამართლო განაჩენებს აწერდა ხელს.

სამწუხაროდ, დღესდღეობით ჩვენთვის უცნობია ქუსარასა და ნესას სამეფოების ანითას შემდგომი პერიოდი. ჩვენ არ ვიცით, გამეფდა თუ არა ფირუვა და გაგრძელდა თუ არა ფითხანასა და ანითას სამეფო დინასტიის მმართველობა ქუსარასა და ნესაში, მაგრამ იმედს ვიტოვებთ, რომ უკეთუ ქიულთეფეში ახალი „კაჰადოკიური ფირფიტები“ კვლავაც აღმოჩნდება, ისტორიის ამ პერიოდს ნათელი მოეფინება.³⁷

„ანიტას ტექსტი“-ს კვლევის ისტორია. „ანიტას ტექსტი“ პირველად გამოაქვეყნა ე. ფორერმა 1922 წ.,³⁸ ხოლო 1923 წ. გ. ფიგულამ მისი ლურსმული ასლი წარმოადგინა³⁹. 1926 წ. ფორერმა კვლავ იმავე ტექსტის ფრაგმენტის ტრანსლიტერაცია შეადგინა,⁴⁰ რომლის ლურსმული ასლი 1933 წ. ა. გოეტცემ გამოსცა.⁴¹ ამ ტექსტის სხვადასხვა ნაწილების პირველი თარგმანი შეასრულა ი. ფრიდრიხმა,⁴² ხოლო ტრანსლიტერაცია და ფრანგული თარგმანი კომენტარებითურთ, ბ. პროზნიმ.⁴³ ჰ. გუტერბოკმა თავის დისერტაციაში თარგმანისა და ტრანსლიტერაციის გარეშე განიხილა „ანიტას ტექსტი“.⁴⁴

1937 წ. ბოლაზქოიში აღმოჩნდა „ანიტას ტექსტის“ რამდენიმე ახალი ფრაგმენტი, რომელთა ტრანსლიტერაცია ჰ. ოტენმა გამოსცა.⁴⁵ მასვე ეკუთვნის ამ ფრაგმენტების ლურსმული ავტოგრაფი⁴⁶ და გერმანულ ენაზე ტექსტის მთლიანი თარგმანი, ტრანსლიტერაციის გარეშე.⁴⁷ ე. ნიომ გამოსცა ტექსტის საფუძვლიანი გამოკვლევა ტრანსლიტერაციით, თარგმანითა და კომენტარებითურთ.⁴⁸ რუსული თარგმანი შეასრულეს ვ. ივანოვმა⁴⁹ და გ. გიორგაძემ.⁵⁰ ქართული თარგმანი ეკუთვნის გ. გიორგაძეს.⁵¹

ძირითადად ტექსტმა და ფრაგმენტებმა ჩვენამდე რამდენიმე სხვადასხვა ფირფიტის სახით მოაღწია. შესაძლებელია, არსებობდა აგრეთვე მისი გაგრძელებაც.⁵²

ცნობილი სამი ფირფიტიდან პირველის 4 ფრაგმენტი აღმოჩნდა ბოლაზქოიში, I ტაძრის აღმოსავლეთ ნაწილში: KUB 36.98; 98a; 98b (წინა მხარე); 98b (უკანა მხარე).⁵³ მეორე ფირფიტა წარმოადგენს საკმაოდ მოზრდილ ფრაგმენტს KUB 26.71 (=Bo 9058=BoTU 30), რომელიც აღმოჩნდა 1914 წ.⁵⁴ მესამე ძირითადი

ფირფიტა KBo 3.22 (=VAT 7479). იგი ყველაზე უკეთ არის შემონახული.

ტიქსტის აგებულება და შინაარსი:

შესავალი: ქუსარის მეფე ანითა, ფითხანას ვაჟი... ანითა (?) ტაროსის მოწყალე იყო. ქ. ნესას მეფემ (შეუტია) ქუსარის მეფეს (ანითას ?). ქუსარის მეფემ ღამით აიღო ქ. ნესა, შეიპყრო მეფე, მოსაზღვრობისთვის ზიანი არ მიუყენებია, ისინი თავის დედებად და მამებად ქმნა.

საგმირო საქმენი: იმავე წელს ანითამ მზის ქალღვთაების დახმარებით დაამარცხა აჯანყებული ქ. ულაძა, ხათის მეფე ქ. თემსაში გაანადგურა, ქ. ნესა, ქ. ...-ინა, ქ. ...-მა, ქ. ხარქიუნა ტაროსს შესწირა.

წყველა: ვინც ნესას მტრებს, ქ. ...-ნას, ქ. ...-მას, ქ. ხარქიუნას თავიდან დაასახლებს, ქ. ნესას მტერი იყოს.

ფითხანას, მამამისის შემდგომ წელს, ცალფუეკას ზღვა... ანითამ ეს ფირფიტა ალაყაფის კარზე მოათავსა.

წყველა: ვინც წარწერას გაანადგურებს, ანითას მტერი გახდება.

საგმირო საქმენი: ქ. ხათის მეფე ფიუსთი ხელმეორედ მოვიდა - ანითამ იგი ქ. სალამფაში დაამარცხა. ქ. ცალფუეკადან ზღვისკენ ყველა ქვეყანა დაამარცხა. უწინ უხნამ, ცალფუეკას მეფემ, ღვთაება სიუსუმის ქანდაკება ქ. ნესადან ცალფუეკაში წაიღო. ანითამ იგი უკან დააბრუნა. ხუცია, ცალფუეკას მეფე ცოცხლად ქ. ნესას ჩამოიყვანა.

ქ. ხათუსა შიმშილმა მოიცვა. ანითამ ქალაქს ალყა შემოარტყა. ქალაქი შიმშილისაგან დაუძლურდა, ღვთაება სიუსუმიმ იგი ღვთაება ხალმასუითს გადასცა. ღამე გაანადგურა და სარეველა ბალახი დათესა.

წყველა: ვინც ხათუსას კვლავ დაასახლებს, ტაროსის ღვთაებამ განგმიროს.

ქ. სალათივარასკენ შებრუნდა. (მის) წინააღმდეგ ქ. სალათივარას საომარი ლაშქარი (გამოეშურა)... ქ. ნესა გაამაგრა. ღვთაებების - ტაროსისა და სიუსუმის, ხალმასუითის, ტაროსის, სიუნასუმის ტაძრები ააგო. ალაფი იქ მოათავსა.

ანითამ ფიცი და წყველა წარმოთქვა. ქ. ნესაში, თავის ქალაქში ჩამოიყვანა 2 ლომი, 70 ღორი, 1 ტახი, 120 ნადირი, ლეოპარდი, ლომი, ირემი, მთის თხა.

შემდგომ წელს ქ. სალათივარასკენ გაილაშქრა. ქ. სალათივარას კაცი და მისი ვაუები ანითას წინ აღუდგნენ. მან თავისი ქვეყანა და ქალაქი მოატოვა და მდ. ხულანა დაიკავა. ქ. ნესას ლაშქარმა შეუტია და მისი დაბები გადაწვა. ქალაქში 1 400 მეომარი, 40 ცხენის აღკაზმულობა? ვერცხლი, ოქრო? დატოვა და უკან გამობრუნდა.

ქ. ფურუსხანდაში საბრძოლველად გაეშურა, მისი კაცი ეახლა და რკინის ტახტი, 1 რკინის კვერთხი მოართვა. როდესაც შემდგომ ქ. ნესას დაბრუნდა, ქ. ფურუსხანდას კაციც თან ჩამოიყვანა, რომელსაც მარჯვნივ (დაისვამს).

წინა მხარე (1-4) „ანითა, ფითხანას ძე, მეფე ქ. ქუსარისა X(X X)⁵⁵, იგი ცის ღვთაება ტაროსის მოწყალე იყო. და ოდეს იგი ღვთაება ტაროსის მოწყალე იყო, ქ. ნესას მეფემ ქ. ქუსარას მეფეს შეუტია).

(5-9) ქ. ქუსარის მეფე ქალაქიდან მთელი ძალით (ლაშქრით) ქვემოთ [დაეშვა] და ღამით ქ. ნესა იერიშით აიღო. ქ. ნესას მეფე შეიპყრო, ხოლო ქ. ნესას ძეთაგან ზიანი არავისთვის მიუყენებია [და ისინი თავის] დედებად და მამებად ქმნა.

(10-12) [ხოლო ფით]ხანას, მამაჩემის შემდეგ, იმავე წელს ამბოხება დაეამხე: მზის ქალღვთაების (შემწეობით), ქვემოთ ჩამოთვლილი ქვეყნები, რომლებიც აღდგნენ, სწორედ ისინი ცველა დაეამხე:

(13-16) [ქ. ...]მა, ქ. ულამა, [...] (და) შემდგომ კი მეფე ქ. [ხათისა მოვიდა და იგი... ქ. ...]თემსაში გავანადგურე. [... ქ. ნესა... [...]

(17-19) [... ქ. ...]ნა შუადღისას [ავიღე. ქ...]მა ღამით [იერიშით ავიღე. ქ. ხარქიუნა] შუადღისას [ავიღე].

(20-26) [ისინი] ცის ღვთაება ტაროსს შევწირე და ისინი ცის ღვთაება ტაროსს კვლავ და[ეუღვინე(თ)?]. ვინც ჩემს შემდგომ მეფე გახდება და [ქ. ...ნას, ქ. ...]ს და ქ. ხარქიუნას-ქ. ნესას (ამ) მტრებს] კვლავ ვინც დაასახლებს, იგი ქ. ნესას მტერი იყოს და იგი ყველა ქვეყნის [მტერი იყოს]. და ვითარცა ლომი ქვეყანას...].

(27-29) [...]ხოლო ვინც ...[...] დაასახლებს, ამინდის ღვთაება მას [...]

(30-32) [ფითხანას, მამაჩემის შემდგომ [... (წელს) ცალ]ფუკას ზღვა... [ცალფუკას ზღვა...]

(33-35) ეს სიტყვები [ფირფიტისა] ჩემი ალაყაფის კარზე [მოვათავსე]. აწ და მარა[დის: (ისინი) არაკინ არ გაანადგუროს! უკეთუ ვინმე მათ გაანადგურებს, დაე, იგი მისი მტერი გა[ხდეს!]

(36-37) ფიუსთი, მე[ფე] ქ. ხათისა შემდეგ მეორედ მო[ვიდა... (თვითონ ფიუსთი)] და დამხმარენი მისი, რომლებიც მან მოიყვანა, ისინი [ქ. სალათფაში] დავამარცხე.

(38-48) ყველა ქვეყანა ქ. ცალფუკადან⁶

(49-51) ვინც ჩემს შემდგომ მეფე გახდება და ქ. ხათუსას კვლავ დაასახლებს, იგი ცის ღვთაება ტაროსმა განგმი[როს!]

(52-54) ქ. სალათივარასკენ სახე მივაბ[რუნე] და ქ. სალათივარას წინააღმდეგ საო[მარი ეტლები?] და რაზმები შეიკრიბა და ისინი ქ. ნეს[ას მოვიყვანე?].

(55-56) ქ. ნესაში სიმაგრენი (?) ავაგე. ქალაქთან (?) ცის ღვთაება ტაროსის ტაძარი და ღვთაება სიუ[სუმის] ტაძარი [ავაგე].

(57-58) ღვთაება ხალმასუითის ტაძარი, ამინდის ღვთაების, [ჩემი უფლის, და ღვთაება სიუნასუმის ტაძარი ავაგე]. ლაშქრობიდან რაც ალაფი ჩა[მოვიტანე, იქვე მოვათავსე].

(59-63) ხოლო მე ფიცი და [წყველა წავმოვთქვი იმავე დღეს [2 ლომი, 70 ლერწმის ბარდების (?) ღორი, 1 ტახტი, 120 ნადირი-იყო ეს [ლეოპარდი, ლომები, ირმები], მთის თხა თუ [...] ქ. ნესაში, [ჩემს ქალაქში, ჩამოვიყვანე].

(64-67) [შემდგომ] წელს კი ქ. სალათივარაში საბრძოლველად გავეშურე. ქ. სალათივარას კაცი, [მის ვაჟიშვილებთან ერთად, აღუდგა და ჩემს წინააღმდეგ] გამოემართა. [მან ქვეყანა და ქალაქი მისი დატოვა] და მდინარე ხ[ულანა დაიკავა].

(68-72) ქ. ნესას [ლაშქარმა შემდეგ შეუტია] და მისი დასახლებული პუნქტები [გადაწვა, ხოლო ისინი ...] და ქალაქში [... 1400 მეომარი, ცხენები, ვერცხლის ...] და 40 აღკაზ[მულობა (საბრძოლო ეტლების დატოვა)]. იგი [ადგა და (უკან) გაბრუნდა].

(73-79) როდესაც [ქ. ფურუსხანდაში] საბრძოლველად გავეშურე, ქ. ფურუსხანდას კაცი [ჩემთან მორჩილად გამოცხადდა]

და მე I რკინის ტახტი (და) I რკინის კვერთხი [მორჩილების (ნიშნად) მომართვა]. როცა მე შემდგომ უკან, ქ. ნესას დაებრუნდი, ქ. ფურუსხანდას კაცოც ჩემთან ერთად [მოვიყვანე], ხოლო როდესაც იგი განსასვენებელში⁷ (?) წავა, სწორედ იგი ჩემს მარჯვენე დაჯდეს.⁸

„ანიტას ტექსტი“ ხეთების სამეფომდელ პერიოდს განეკუთვნება. იგი დაახლ. ძვ. წ. XVI ს. საუკუნეში უნდა იყოს შედგენილი, ძველ ხეთურ ენაზე. სავარაუდოა, რომ არსებობდა აგრეთვე „ანიტას ტექსტის“ სხვა ფირფიტებიც⁵⁹. მასში პირველად დასტურდება პირველი პირით და ქრონოლოგიური პრინციპით თხრობის ფაქტი-წლების დასახელება. აქვე ნათლად ჩანს ანალიტური თხრობის საწყისები, რაც შემდგომში ხეთების სახელმწიფოს ფორმირების შესაბამისად თანდათანობით განვითარდა და მიიღო ის სრულყოფილი ფორმა ანალებისა, რასაც ძვ. წ. XIII ს. შედგენილ მურსილი II-ს ანალებში ვხვდებით.⁶⁰

მეორე თავი ძველი სამეფო

ხათუსილი I-ის ანალები

წყაროები:⁶¹

- ხათუსილი I/ლაბარნა II-ს საბეჭდავი;⁶²
- ჯვრის ფორმის საბეჭდავი, რომლის ზედწერლში ჩამოთვლილია სამეფო დინასტიის წარმომადგენლები;⁶³
- (CTH 4) KBo 10.1 (აქად.); KBo 10.2, ასლი: KUB 23.31, IBoT 3.134 (+)KUB 23.41, VBoT 13+KUB 47.48, KUB 40.6+KUB 23.33 (+?) 23.20 და KBo 10.3 (ხეთ.) - „ხათუსილი I-ის ანალები“, აქადური და ხეთური ვარიანტები, სადაც მოთხრობილია ამ მეფის მმართველობის პირველი წლების სამხედრო ოპერაციების შესახებ;⁶⁴
- (CTH 6) KUB 1.16+KUB 40.65: ხათუსილი I-ის „პოლიტიკური ანდერძი“, აქადურ-ხეთური ბილინგვა;⁶⁵
- (CTH 5) KBo 3.27: ხათუსილი I-ის „ბრძანება“;⁶⁶
- ხათუსილი I-ის წერილი თუნიფ-თეშუბს, ქვეშევრდომი სამეფოს თიკუნანის (ზემო მესოპოტამია) მმართველს, ქ. ხახუზე (ეფრატის ზემო დინება) გალაშქრებასთან დაკავშირებით;⁶⁷
- (CTH 11) KBo 3.57; KUB 26.72: „კრებული ფირფიტა“, სადაც ნახსენებია ხათუსილი I-ის, მურსილი I-ისა და ხანთილი (I?)-ის სამხედრო მოქმედებანი;⁶⁸
- (CTH 19) KUB 3.85, ასლი (აქად.): KBo 3.1 + KBo 12.5 + KBo 3.68 + KBo 12.7 ასლი (ხეთ.): თელეფინუს „ბრძანება“, რომელიც მხოლოდ გვიანდელი ხანიდანაა ცნობილი. აღწერილია ხათუსილი I-ის სამხედრო წარმატებანი (Kol. I 13-23);⁶⁹
- (CTH 75) KBo 1.6, KUB 3.6,5; KBo 28.120: მუვათალი II-ს ზელმეკრულება ალეოს მმართველ თალმი-შარუმასთან (აქად.). ტექსტის ისტორიულ შესავალში ნახსენებია ხათუსილი I-ის წარმატებანი ჩრდილოეთ სირიაში და მურსილი I ხათუსილი I-ის შვილიშვილადაა მოხსენიებული;⁷⁰
- (CTH 81) KUB 1.1+ ხათუსილი III-ს მიერ შედგენილ ხეთ მეფეთა გენეალოგიურ ნუსხაში მოხსენიებულია ხათუსილი I;⁷¹

▪ (CTH 89) KUB 21.29 და მისი ასლი: ხათუსილი III-ს ბრძანებულება ქასქებთან ქ. თილიურას მაცხოვრებლების ურთიერთობის შესახებ. მეფე იხსენებს ლაბარნას (და) ხათუსილის, რომლებიც მტერს მდ. ქუმესმახაზე არ უშვებდნენ;⁷²

▪ (CTH 661) KBo 13.43: სამეფო სახლის გარდაცვლილ პირთა სია, სადაც მოხსენიებულია ხათუსილი I; (CHT 627) KBo 11.36: ხათუსილი I-ის შესაწირავთა ჩამონათვალი;⁷³

▪ (CTH 660) KBo 2.30 I 12; KBo 2.29 III? 10; KUB 10.11 III 27 და IV 21: ANTAHŠUM-დღესასწაული: მოხსენიებულია ხათუსილი I;⁷⁴

ისტორია: ხათუსილი I ხეთის სამეფოს ჩვენთვის ცნობილი პირველი მეფე იყო (დაახლ. ძვ. წ. 1650-1620 წ.წ.). იგი ლაბარნა/თაბარნას წოდებას ატარებდა, რაც ხათურად „მბრძანებელს, მეფეს, მმართველს“ ნიშნავს. როგორც ჩანს, მან მეფობის პირველი წლები ქალაქ ქუსარაში გაატარა,⁷⁵ რის გამოც იგი თავს აგრეთვე „ქუსარელს“ უწოდებს, ხოლო შემდგომ ტახტი ქ. ხათუსაში უნდა გადმოეტანა და სახელი ხათუსილიც („ხათუსას კაცი“, „ხათუს-ელი“) აქედან მომდინარეობს. იმის მიუხედავად, რომ დაახლოებით 30 წელი უნდა ემეფა, მისი ისტორიის გადმომცემელი ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, ანალები მეფობის მხოლოდ ექვსი წლის ამბავს გადმოგვცემს.

ხათის სამეფოში ძალაუფლების გასამტკიცებლად ხათუსილი I-მა ქვეყნის სამხრეთით ტერიტორიების შემომტკიცებას მიჰყო ხელი. თავდაპირველად ქალაქ სანახვითას დასაპყრობად გასწია, რომელიც ტავროსის მთიანეთის აღმოსავლეთით მდებარეობდა. აქ მან ლაშქარი დააბანაკა და ამით ჩრდილო სირიისაკენ ბრძოლებისათვის მზადება დაიწყო.⁷⁶ შემდგომ სამხრეთით აიღო გეზი, შეუტია ქ. ცალფას⁷⁷ და გაანადგურა იგი. შემდგომ წელს მან სირიული ქალაქები ალალხა/ალალახი (თან. თელ-აჯანა), ვარსუვა/ურსუ (თან. გაზიან-თეფესთან), იქაქალი და თასხინია (ორივე სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაშია საქებნელი) დალაშქრა და დიდი დოვლათით „თავისი სასახლე გაავსო“.

გამარჯვებული ხათუსილი შემდგომ წელს ჩრდილო სირიიდან ანატოლიის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ გაეშურა და ქ. არცავა

გაძარცვა. მას იქ ყოფნა დიდ ხანს არ მოუწია, ხათის სამეფოს აღმოსავლეთიდან ხურიტები შემოესიენ⁷⁸ და მთელი ქვეყანა დაიპყრეს, მხოლოდ დედაქალაქი ხათუსა გადარჩა. ხათუსილის არცავადან ხათში დაბრუნება მოუხდა, რის შედეგადაც მდ. მარასანთას (/ჰალისი, თან. ყიზილ-ირმაკის) სამხრეთით მდებარე ქ. ნენასა (თან. ნენეზი) ულუმ/ულმა (თან. აკსარაი) და სალასხსუვა (თან. ელბისტანთან) კვლავ იარაღით დაიმორჩილა. ამის შემდეგ იგი დედაქალაქში დაბრუნდა. შემდგომ წელს კიდევ ერთხელ ილაშქრა ქ. სანახვითას წინააღმდეგ და ხუთი თვის ბრძოლის შედეგად ხელახლა დაიმორჩილა. შემდგომი ლაშქრობა მოეწყო ქალაქ აფაიას ცხენოსანი ლაშქრის წინააღმდეგ, გაძარცვა ქალაქი თაქსანა, ხოლო ქალაქი ფარმანა ნებაყოფლობით ჩაბარდა ხათის მეფეს.

შემდგომ წელს ხათუსილიმ დაანგრია ქალაქი ალხა/ალახა (თან. მაღათიასთან) და ანატოლიაში ძალაუფლება განიმტკიცა. ერთი წლის შემდეგ, მან კვლავ გადალახა ტავროსის მთები და ჩრდილო სირიას ხელმეორედ შეუტია: დაანგრია ქალაქი ცარუნა/ცარუნთი (თან. გაზიანთეფესთან), ქ. ხასუვას ლაშქარს ადალურის მთიანეთთან (თან. ამანოსი) შეებრძოლა, შემდეგ მდ. ფურუნა (ანტიკ. პირამოსი, თან. ჯეიჰანი) გადალახა, თავად ქალაქი ხასუვა (თან. მარასი?) დაანგრია (“ლომივით დატორა”) და ქალაქიდან დიდი დოვლათი, ღვთაებათა ქანდაკებანი ხათუსაში წამოიღო. ამ ლაშქრობას მან ერთი წელი მოანდომა. შემდეგ ქ. ციფასნასკენ (თან. გაზიანთეფესთან) გასწია და გაანადგურა იგი. ანალებში აღწერილი ბოლო ლაშქრობა ხათუსილიმ ქ. ხახას (თან. ურფასთან?) წინააღმდეგ მოაწყო.⁷⁹ ქალაქის მონა ქალები “სახანისა და ლუცის”⁸⁰ გადასახადებისაგან გაათავისუფლა. შემდეგ მან მდ. მალა (აქად. ფურათა, თან. ეფრათი) გადალახა და ქ. ხახას ლაშქარი დაამარცხა, ხოლო ხასუსა და ხახას მეფენი ქვეშევრდომებად გაიხადა. ხათუსილის ყველა ლაშქრობიდან დიდძალი ნადავლი მოჰქონდა ხათუსაში და, ამასთანავე, თითქმის ყველა ქალაქს ცეცხლს უკიდებდა.⁸¹ მან მოახერხა ჩრდილო სირიის, მაშინდელი ზემო მესოპოტამიის დამორჩილება.

სამწუხაროდ, ცნობილი არ არის, ხათუსილის ანალებში აღწერილი მეფის სამხედრო მოღვაწეობის ექვსი წელი მეფობის დასაწყისს ეკუთვნის, თუ უკვე გამეფების შემდგომ ხანას.

ცნობილია მხოლოდ, რომ იგი ავად შეიქმნა და სიცოცხლის ბოლო წლები ქუსარაში გაატარა, სადაც გარდაიცვალა.⁸² ანდერძის თანახმად, ტახტზე მისი „შვილად ხმობილი“ (მემკვიდრედ აღიარებული) შვილიშვილი, მურსილი I უნდა ასულიყო.⁸³

ტექსტის კვლევის ისტორია. ხეთების ძველი სამეფოს პერიოდის სადღეისოდ ცნობილი ფირფიტებიდან ერთ-ერთი ყველაზე უკეთესად შემონახული ტექსტია ხათუსილი I-ის ანალები (CHT 4).⁸⁴ იგი 1957 წ. აღმოჩნდა ხეთების დედაქალაქის სამხრეთ ნაწილში, კერძოდ, ბუიუკალეში, K-შენობაში. ეს შენობა, A და E შენობებთან ერთად, თიხის ფირფიტების მთელი საცავია, რომელიც თუთხალია IV-ს (ძვ.წ. XIII ს.) ღროინდელ ბიბლიოთეკას უნდა წარმოადგენდეს. K შენობაში აღმოჩნდა ხის თაროებზე დაწყობილი თიხის ფირფიტების პატარა არქივი.

ხათუსილი I-ის ანალებმა ჩვენამდე ორ ენაზე მოაღწია - აქადურად და ხეთურად. აქადური ტექსტი 73 სტრიქონისგან შედგება, იგი ერთსვეტიანია და თითქმის სრულადაა შემონახული.⁸⁵ იმის მიუხედავად, რომ ტექსტის ენა არქაულ ნიშნებს ატარებს, მკვლევართა აზრით, ფირფიტა გვიანდელ პერიოდს უნდა ეკუთვნოდეს.⁸⁶ ტექსტის 1-12 სტრიქონის ხელი განსხვავდება დანარჩენი ტექსტის ხელისაგან. კემპინსკის აზრით, ამ სტრიქონების ავტორი შეეცადა ხელის ძველბაბილონურისათვის მიმსგავსებას, რასაც ადასტურებს აგრეთვე ისიც, რომ აქადური ტექსტი ერთ სვეტადაა შესრულებული და არა ორად, როგორც დამახასიათებელი იყო იმ პერიოდისათვის.⁸⁷

ხეთური ტექსტი ორსვეტიანია.⁸⁸ შინაარსობლივად იგი საკმაოდ განსხვავდება აქადური ვერსიისაგან. არსებობს ვარაუდი, რომ არც აქადური და არც ხეთური ვერსია არ უნდა იყოს ტექსტის თავდაპირველი დედანი.⁸⁹ სტილისტურად ხეთური ტექსტი ბევრად უფრო მწყობრია. პ. ოტენმა, გამოთქვა ვარაუდი, რომ მისი შემდგენელი ხეთურ ენაზე მოსაუბრე უნდა ყოფილიყო, მაგრამ აქადურად უნდა დაეწერა, კერძოდ კი, ჩრდილო-სირიულ, მარიულ დიალექტზე.⁹⁰ ამ თვალსაზრისს ემხრობოდნენ: პ. გუტერბოკი, ა. კამენჰუბერი და პ. თენ ქათე, ზოლო ა. გოეტცი, ო. კარუბა და

პ. მელხერტი ვარაუდობდნენ, რომ ტექსტი თავდაპირველად ხეთურ ენაზე შეადგინეს.⁹¹ რადგანაც ორივე ვარაუდს მოეპოვება დამადასტურებელიცა და უარყოფელი არგუმენტები, სადღეისოდ ეს საკითხი კვლავ გადაუჭრელად რჩება.

ეკმინსკის აზრით, ტექსტი ძვ.წ. XIV-XIII ს.ს. შექმნილი, რადგანაც წერის სტილი სწორედ ამ პერიოდის ბოლახქოური აქადური ტექსტებისათვისაა დამახასიათებელი,⁹² ხოლო ხეთური ფირფიტები გვიანდელი ხანის თარგმანებია, რასაც ხეთური ენის გვიანდელი პერიოდის ენობრივი ფორმები ადასტურებს.⁹³

ხათუსილი I-ის ანალების აღმოჩენამ დიდი ინტერესი გამოიწვია ხეთოლოგთა შორის, ტექსტის თარგმანი და კომენტარი სხვადასხვა ენაზე გამოქვეყნდა.⁹⁴ აღმოჩნდა ტექსტი, რომელმაც ხეთების ძველი სამეფოს ისტორიის მრავალ საკითხს მოჰფინა ნათელი. აღმოჩენისთანავე ოტენი წერდა: „ხათუსილის ტექსტის საფუძველზე შეგვიძლია ლიტერატურის განსაკუთრებულ ფორმაზე ვისაუბროთ, რომელსაც გვიანდელ ხანაში, ხათუსილი III-ს ავტობიოგრაფიაში ვხვდებით. ხოლო დროის განმსაზღვრელი გამოთქმა „შემდეგ წელს“-აშკარად ანალისტიკის უძველეს ფორმას გვიჩვენებს, რომელსაც შემდგომ, მურსილი II-ს ანალებში, უკვე ჩამოყალიბებული სახე ეძლევა.“⁹⁵

ტექსტის აკვებულება და შინაარსი. ტექსტის მიხედვით ო. სოიზალმა ხათუსილი I-ის მმართველობის ექვსწლიანი სამხედრო ოპერაციების სქემა შეადგინა.⁹⁶

პირველი წელი⁹⁷

ა) ქ. სანახვითა

ადგილმდებარეობა: ტავროსის მთების აღმოსავლეთით
მოქმედება: (დელა)ქალაქის შემოგარენის განადგურება.

ბ) ქ. ცალფა

ადგილმდებარეობა: ზემო ევფრატის ტერიტორია
მოქმედება: ქალაქის განადგურება.

მეორე წელი

ა) ქ. ალალხა/ალალახი

ადგილმდებარეობა: თელ-აჯანა
მოქმედება: ქალაქის განადგურება.

ბ) ქ. ვარსუვა/ურსუ

ადგილმდებარეობა: ბირეჯიქისა და გაზიანთფეს შორის

მოქმედება: ქალაქის განადგურება.

გ) ქ. იქაქალი

ადგილმდებარეობა: სამხრ.-აღმ ანატოლია

მოქმედება: ქალაქის განადგურება.

დ) ქ. თასხინია

ადგილმდებარეობა: სამხრ.-აღმ ანატოლია

მოქმედება: ქალაქის განადგურება.

შესამე წელი

ა) ქ. არცაუა

ადგილმდებარეობა: სამხრ.-სამხრ.-ღას. ანატოლია

მოქმედება: ქალაქის გაძარცვა.

ბ) ხურიტების შემოჭრა ანატოლიაში.

გ) ქ. ნინასა

ადგილმდებარეობა: ნენეზი

მოქმედება: ქალაქის უომრად ჩაბარება.

დ) ქ. ულმა

ადგილმდებარეობა: აქსარაის მახლობლად

მოქმედება: ქვეყნის განადგურება.

ე) სალასხუვას ქვეყანა

ადგილმდებარეობა: ელბისტანთან ახლოს

მოქმედება: მოსახლეობის მიერ ქვეყნის გადაწვა და შემდეგ ხათუსილისთვის ჩაბარება.

მეოთხე წელი

ა) ქ. სანახვითა

ადგილმდებარეობა: ცენტრ. ანატოლიის ჩრდილოეთი ნაწილი

მოქმედება: ქალაქის დანგრევა.

ბ) აფაიას ქვეყანა

ადგილმდებარეობა: ?

მოქმედება: ქვეყნის ცხენოსანი ლაშქრის დამარცხება.

გ) ქ. თაქსანა

ადგილმდებარეობა: ?

მოქმედება: ქალაქის გაძარცვა.

დ) ქ. ფარმანა

ადგილმდებარეობა: ?

მოქმედება: ქალაქის უომრად აღება.

მეხუთე წელი

ა) ალხას ქვეყანა

ადგილმდებარეობა: მაღათიასთან ახლოს?

მოქმედება: (ღელა)ქალაქის დანგრევა.

მეექვსე წელი

ა) ცარუნას ქვეყანა

ადგილმდებარეობა: არსუზთან?

მოქმედება: (ღელა)ქალაქის დანგრევა.

ბ) ქ. ხასუვა

ადგილმდებარეობა: გაზიანთეფესთან (სამხრ.-აღმ. ოიუზელი?)

მოქმედება: ადალურის მთებთან ხასუვა-ხალაბის გაერთიანებულ ლაშქარზე გამარჯვება. მღ. ფურუნას გადალახვა და ქვეყნის დამარცხება.

გ) ქ. ციფასნა

ადგილმდებარეობა: გაზიანთეფესთან

მოქმედება: ქალაქის დანგრევა.

დ) ქ. ხახა

ადგილმდებარეობა: ურფასთან

მოქმედება: მაღას (ეფურატი) გადალახვა და ქალაქის განადგურება. ხასუვასა და ხახას მეფეთა შებმა ურემში.

წარმოვადგენთ ხეთური ტექსტის თარგმანს.⁹⁸

წინა მხარე I. (1-8) „ღიღი მეფე, თაბარნა (მბრძანებელი), ზათუსილი, ღიღი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, ქუსარელი, თავანანას ძმისშვილი, მეუობდა ხათის ქვეყანაში. ქ. სანახვითაში გასწია მან, (მაგრამ) იგი არ გაუნადგურებია, მისი შემოგარენი გაანადგურა. ლაშქარი ორ ადგილას დაეაბანაკე და რაც (იქ) ბაგები იყო, ლაშქარს ბანაკად ვუბოძე.“⁹⁹

(9-11) *შემდეგ ქ. ცალფასკენ გაეწიე და გავანადგურე იგი. მისი ღვთაებანი (ქანდაკებანი) ავიღე (ხელთ ვიგდე) და სამი მადნანუ-ეტლი¹⁰⁰ ქ. არინას ღვთაებას მივუტანე.*

(12-14) *ერთი ვერცხლის ხარი, ერთი ოქროს მუშტი ამინდის ღვთაების ტაძარში მივიტანე, ხოლო დარჩენილ ღვთაებათა (ქანდაკებანი) ღვთაება მეცულას ტაძარში მივიტანე.*

(15-21) *შემდეგ წელს ქ. ალალხაში გაეწიე და გავანადგურე. ამის შემდგომ ქ. ვარსუვაში გაეწიე, ქ. ვარსუვადან კი, ქ. იქაქალიში გაეწიე, ქ. იქაქალიდან კი- ქ. თასხინიაში წავედი და*

ეს ქვეყნები გაევანდგურე, მათი დოვლათი ხელთ ვივდე და ჩემი სახლი (ამ) დოვლათით გაეავსე.

(22-32) ხოლო შემდეგ წელს ქ. არცაეაში გავეშურე და მას მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი წაეართვი. მაგრამ (ამ დროს) ზურგიდან ქ. ხურის მტერი ქვეყანაში შემომეჭრა და ყველა (ჩემი) ქვეყანა შემებრძოლა. მხოლოდ ქ. ხათუსა, ერთადერთი ქალაქი დამრჩა. (მე), დიდი მეფე, თაბარნა, ქ. არინას მზის ღვთაების რჩეული, (ღვთაებამ ხელში ამიყვანა), ბრძოლაში წინ წამიძღვა და მე ქ. ნინასას წინააღმდეგ საბრძოლველად გავწიე. ხოლო როდესაც ნინასელებმა წინ (მომავალი) დამინახეს, (ქალაქის კარიბჭე) გააღეს.

(33-45) ხოლო შემდეგ ქ. ულმასკენ გავწიე საბრძოლველად. ულმელებმა საბრძოლველად მისული ორჯერ დამინახეს. ისინი ორჯერ დავამარცხე და ულმას ქვეყანა გაევანდგურე, მის ადგილას კი ჭინჭარი დაეთესე.¹⁰¹ შვიდი ღვთაება ქ. არინას მზის ღვთაების ტაძარში მივიტანე, ერთი ვერცხლის ხარი-არაზაფილანის მთის ქალღვთაება ქათითის (მიეუყვანე), დანარჩენი ღვთაებანი კი ღვთაება მეცულას ტაძარში მივიყვანე. ხოლო როდესაც ულმას ქვეყნიდან დავებრუნდი და ქ. სალახსუვასკენ გავწიე, სალახსუვას ქვეყანა გადამწვარიყო (გადამწვარი დამხვდა). ხოლო (მაშინ) მისი (მოსახლეობა) მსახურად დამიღვა. შემდეგ ქ. ხათუსაში, ჩემს ქალაქში დავებრუნდი.

(46-52) ხოლო შემდეგ წელს ქ. სანახვითაში საბრძოლველად წავედი და ქ. სანახვითას 5 თვე ვებრძოდი და იგი მე-6 თვეს დავამარცხე და მე, მეფემ სული დავიმშვიდე. ხოლო რაც შეეხება ქვეყნებს, ისინი მზის ღვთაებას უკან დაუბრუნდა (და) ეს საგმირო საქმე, რომელიც (ჩავიძინე), ქ. არინას მზის ღვთაებას ვუძღვენი.

(53-უკანა მხარე II 5) ქ. აფაიას საბრძოლო ეტლები დავამარცხე და ქ. თაქსანიას წვრილფეხა და მსხვილფეხა საქონელი ხელთ ვივდე. შემდეგ ქ. ფარმანაში შევედი. ხოლო ფარმანა მთავარი იყო სამეფოებს შორის (მეფის თავთა შორის) და იგი გზას უკვალავდა (მათი წინამძღოლი იყო).

(6-10) და როდესაც მათ დამინახეს, ქალაქის კარიბჭე კვლავ გააღეს. ზეცის სიტყვით მზის ღვთაებამ ხელი ასწია და (რადგან) ალხას ქვეყანა მმტრობდა, ქ. ალხა გაევანდგურე.

(11-23) ხოლო შემდეგ წელს ქ. ცარუნას ქვეყნად წაველი და ქ. ცარუნა გავანადგურე. (შემდეგ) ქ. ხასუვაში გავწიე. ხასუველები ჩემთან საბრძოლველად გამოეშურენ. მათ ზურგს ქ. ხალფას ლაშქარი უმაგრებდა. შემებრძოლენ და დავამარცხე ისინი. რამდენიმე დღეში მდ. ფურუნა¹⁰² გადავლახე და ხასუვას ქვეყანა ლომივით¹⁰³ დავტორე. ხოლო როდესაც დავამარცხე, მტკერი შევყარე, მთელი მათი დოვლათი ხელთ ვიგდე და ქ. ხათუსა გავავსე.

(24-31) ვერცხლსა და ოქროს (არ ქქონდა ბოლო)¹⁰⁴. მათი ღვთაებანი ხელთ ვიგდე: ამინდის ღვთაება-არმარუქის ბატონი, ამინდის ღვთაება-ხალაფის ბატონი, ალათუმი, ალაღური და ლიღური, (ორი) ვერცხლის ხარი, სამი ვერცხლისა და ოქროს ქანდაკება. ორი ხაშირი-შენობა ვერცხლითა და ოქროთი მოვავარაყებინე, (მათი) კარებიც ვერცხლითა და ოქროთი მოვავარაყებინე.

(32-40) ერთი ოქროს ტაბლა, სამი ვერცხლის ტაბლა, ვერცხლისა, ერთი ოქროს სავარძელი, კარგი ოქროსი, ერთი ოქროს მადნანუ-უტლი, ორი ... მოოქროვილი, (ეს ყველაფერი) ქ. ხასუდან ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე. ღვთაება ალლათის ქალიშვილი, ღვთაება ხეფათი, სამი ვერცხლის ქანდაკება, ორი ოქროს ქანდაკება ღვთაება მეცულას ტაძარში მივიტანე.

(41-44) ერთი ვერცხლის შუბი, ოქროს კვერთხი, სამი ვერცხლის იარაღი, ლაპისლაზულის ხურფალუ, ოქროს ხურფალუ ამინდის ღვთაების ტაძარში მივიტანე.

(45-53) ქ. ხასუვა ერთ წელიწადში დავამარცხე. ოქროს ორეში, და თავანაგა, მისი ვაჟი, (ქალაქიდან) გავაგდე. მე, დიდმა მეფემ, მას თავი მოვკვეთე და ქ. ციფასნისაკენ გავეშურე. ქ. ციფასნა ღამით დავიპყარი. შემდეგ გამოვედი (ქალაქიდან) და მათთან ბრძოლა დავიწყე, (ლაშქარს) მტკერი შევყარე და იმ ქვეყნებში მზის ღვთაება შევიდა.

(54) მე, დიდმა მეფემ, გავწიე ქ. ციფასნასკენ.

(უკანა მხარე III 1-5) ხოლო ქ. ხაზა ლომივით (გაშმაგებულმა) ძირს დავანარცხე. ქ. ციფასნა გავანადგურე, მისი ღვთაებანი ხელთ ვიგდე და ქ. არინას მზის ღვთაებას მივუტანე.

(6-12) შემდეგ ქ. ხაზაში გავეშურე, მის კარიბჭეს სამეზის შევუტეე და გავანადგურე. მისი დოვლათი წამოვიღე და ქ.

ხათუსაში ჩემი სასახლე გავავსე. ორი ურემი ვერცხლით იყო სავსე.

(13-24) ერთი მადნანუ-უტლი, ერთი ვერცხლის ირემი, ერთი ოქროს ტაბლა, ერთი ვერცხლის ტაბლა, ხაზას ღეთაუბანი, ერთი ვერცხლის ხარი, ერთი მოოქროვილი გემი მე, ღიღმა მეფემ, თაბარნამ, ხელთ ვივდე. მათ მონა-ქალებს ხელები დოლაბის ქვიდან ავაღებინე და ისინი სახანისა და ლუციის (გადასახადებისაგან) გავათავისუფლე. გაეუხსენი ჯაჭვები და ისინი ქ. არინას ქაღღეთაებას, ჩემს ქაღღატონს დაუბრუნე. მაშინ ოქროსგან ჩემი ქანდაკება ჩამოვასხმევიინე და ჩემი ქაღღატონის, ქ. არინას ღეთაების ახლოს დაეადგმევიინე, ხოლო ვალაგანი მთლიანად ვერცხლით მოვავარაყებინე.

(25-28) ერთი საბრძოლო ვერცხლის ეტლი ქ. თიძანას მეფემ, მე, ღიღ მეფეს (მომართვა) და იგი ქ. არინას მზის ღეთაებას მივუტანე.

(29-36) მღ. მალა (ვეფრატი) ჯერ არავის გადაულახავს და მე, ღიღმა მეფემ, თაბარნამ ფეხით გადავლახე იგი. ჩემს შემდგომ, ჩემმა ლაშქარმაც ფეხით გადალახა. იგი სარგონმა გადალახა, მან დაამარცხა ქ. ხაზას ლაშქარი, მაგრამ მისთვის ხელი არ უხლია, არ გადაუწეავს, კვამლი არ უჩვენებია(?) ამინდის ღეთაებისათვის.¹⁰⁵

(37-42) (მე) ღიღმა მეფემ, თაბარნამ, ქ. ხასუვა (და) ქ. ხაზა გავანადგურე და ცეცხლს მივეცი. ამინდის ღეთაებას კვამლი ვაჩვენე და ქ. ხასუსა და ქ. ხაზას მეფენი ეტლზე მოვიბი.

(უკანა მხარე IV) (კოლოფონი) ხათუსილის საქმენი საგმირონი”.

მურსილი I-ის ანალები

წყაროები:

▪ მურსილი I-ის საბეჭდავი, რომლითაც, სავარაუდებელია, მიწის ჩუქების დოკუმენტი იყო დაბეჭდილი;¹⁰⁶

▪ ჯვრის ფორმის საბეჭდავი, მურსილი I მოხსენიება, როგორც სამეფო წინაპარი;¹⁰⁷

▪ (CTH 5) KBo 3.27, ხათუსილი I-ის ბრძანება, რომელიც მურსილის ტახტის მემკვიდრედ დასახელებას შეეხება;¹⁰⁸

▪ (CTH 6) KUB 1.16+KUB 40.65, ხათუსილი I-ის „პოლიტიკური ანდერბი“, აქადურ-ხეთური ბილინგვა;¹⁰⁹

▪ (CTH 13) KBo 3.46+KUB 26.75, ასლი KBo 3.53 + KBo 19.90(+)+KBo 3.54, ანალისტური ცნობები ხურიტებთან წარმოებული ბრძოლების შესახებ;¹¹⁰

▪ (CTH 11) KBo 3.57 და ასლი KUB 26.72: „კრებული ფირფიტა“, სადაც მოხსენიებულია ხათუსილი I-ისა და მურსილი I-ის სამხედრო საქმიანობანი; ხანთილი I/II?-ს სააღმშენებლო მოღვაწეობა;¹¹¹

▪ (CTH 19) KUB 3.85 და ასლი (აქად.), KBo 3.1+KBo 12.5+KBo 3.68+KBo 12.7 და ასლი (ხეთ.): „თელიფინუს ბრძანება“, სადაც ნახსენებია ხალაბისა (ალეპოს) და ბაბილონის დაპყრობა (Kol. I 24-30), აგრეთვე სიძის, ხანთილი (I)-ის მიერ მურსილი I-ის მოკვლა;¹¹²

▪ (CTH 10.2) KBo 3.45 და ასლი KBo 22.7, ტექსტი, სადაც უარყოფითად ფასდება ბაბილონის დაპყრობა, მოხსენიებულია მურსილი;¹¹³

▪ (BM 96152) ბაბილონური ქრონიკები, სადაც აღნიშნულია მურსილი I-ის დროინდელი ლაშქრობის შესახებ ბაბილონის წინააღმდეგ;¹¹⁴

▪ (CTH 75) KBo 1.6 და ასლი KUB 3.5,6, პარალელური ტექსტი KBo 28.120, მუვათალი II-ს ხელშეკრულება ხალაბელ (ალეპოელ) თალმი-შარუმასთან (აქად.). ისტორიულ წინათქმაში ნახსენებია ხათი-ხალაბის/ალეპოს ურთიერთობა მურსილი I-ის დროს, რომელიც ხათუსილი I-ის შვილიშვილად მოიხსენიება;¹¹⁵

▪ (CTH 376) KUB 24.3 + 544/u + KUB 31.144 და ასლი, მურსილი II-ს ლოცვა ქ. არინას მზის ღვთაებას;

მოხსენიებულია მურსილი I-ის მიერ ხალაბისა და ბაბილონის დაპყრობა;¹¹⁶

▪ (CTH 661) KUB 36.120 წინა მხარე? 4 და შმდგ., KUB 11.4, 6, KBo 13.43, 5', მურსილი I-ისა და მისი მეუღლის ქაალის მოხსენიება ხეთური სამეფო სახლის მიცვალებულთა სიაში;¹¹⁷

ისტორია:¹¹⁸ მურსილი I-ს უნდა ემეფა ძვ. წ. XVII ს. დასასრულსა და XVI ს. დასაწყისში (ძვ. წ. 1620-1590 წ.წ.).¹¹⁹ ხეთოლოგთა აზრი იმის შესახებ, თუ ვინ იყო მურსილი I ხათუსილი I -ის ვაჟი თუ შვილიშვილი-გაიყო.¹²⁰ საბოლოოდ დადგინდა, რომ მურსილი უნდა ყოფილიყო ხათუსილის შვილიშვილი, რაც დასტურდება „ახალი სამეფოს“ დროს მუვათალი II-ს (ძვ.წ. 1310-1285 წ.წ) მიერ ალეპოს მეფე თალმიშარუმასთან დადებული ხელშერკულებით.¹²¹ ამ ტექსტში მურსილი I მოხსენიებულია, როგორც ხათუსილი I-ის შვილიშვილი: (13) KUR ^{URU}Ha-at-ti ¹Mu-ur-š[i]-li LUGAL.GAL DUMU.DU[M]U ŠA ¹Ha-at-tu-ši-I[i] LUGAL.GAL „...ხათის ქვეყნის მეფე, მურსილი, დიდი მეფე, შვილიშვილი ხათუსილისა, დიდი მეფისა...“¹²²

მურსილი I ჯერ კიდევ ყრმა უნდა ყოფილიყო, როდესაც ხათუსილი I-მა იშვილა და ტახტი დაუთმო. ხათუსილი თავის ანდერძში წერდა, რომ მურსილის გამეფებიდან მხოლოდ სამი წლის შემდეგ შეეძლო საბრძოლველად წასვლა, რაც იმის დასტურია, რომ იგი ახალგაზრდა იყო.¹²³

მურსილი I-ის საგარეო პოლიტიკა ხათუსილი I-ის მსგავსად მიმართული იყო სამხრეთისაკენ.¹²⁴ მისი მეფობისას მოვლენები შემდეგნაირად განვითარდა:

ა) ქ. ფურუსხანდას მმართველის დაუმორჩილებლობა;

ბ) ხურიტების შემოჭრა ანატოლიაში;

გ) ქ. ცალფას დაპყრობა;

დ) იამხადთან (ჩრდ. სირია) მომხდარი ბრძოლა და ხალაფის/ალეპოს აღება მურსილი I-ის მიერ.

ე) ლაშქრობა წინა აზიაში და ბაბილონის დაპყრობა.

ალეპოსა და ბაბილონის დაპყრობით მურსილი I-მა სახელი მთელს მაშინდელ ახლო აღმოსავლეთში გაითქვა. იგი სამხედრო წარმატებებით ხათუსილი I-ს არ ჩამოუვარდებოდა.

ტ. ბრაისი აღნიშნავდა: „ქ. ალექო და ბაბილონი, მარის პერიოდთან მოყოლებული (ძვ. წ. XIX-XVIII სს.) ჩრდ. სირიისა და მესოპოტამიის ყველაზე ძლიერი სატახტო ქალაქები იყო. მათი დაპყრობით მურსილიმ დაამტკიცა, რომ იგი არა მარტო პაპის მიწების დამცველი იყო, არამედ სირიისა და მესოპოტამიის დიდ მეფეთა უძლეველი დამპყრობელი.“¹²⁵

დიდი გამარჯვებების შემდეგ მურსილი ხათუსაში უნდა დაბრუნებულიყო, სადაც, მალევე თავისი დის - ხარაფსილის ქმარს, ხანთილის (ძვ. წ. 1590-1560 წ.წ.) და მის სიძეს ციდანთას (დაახლ. ძვ. წ. 1550 წ.) უნდა მოეკლათ.¹²⁶

ტექსტის კვლევის ისტორია. ჩვენამდე მოაღწია მურსილი I-ის ანალების რამდენიმე ფრაგმენტმა.¹²⁷ ჯერჯერობით მათი კვლევა მხოლოდ ისტორიული ფაქტების თვალსაზრისით მიმდინარეობდა და ტექსტოლოგიური კვლევის ობიექტი არ გამხდარა. უფრო მეტიც, იგი არც კი განიხილება სხვა ანალების თანაბრად. ეს დამოკიდებულება შეიძლება იმით აიხსნას, რომ სადღეისოდ ცნობილი ფრაგმენტების ტექსტში მურსილის სახელი არ გვხვდება და მისი მურსილისთან დაკავშირება ხდება ამ პერიოდის წერილობითი წყაროების მეშვეობით, რომლებიც მოგვითხრობენ, თუ როგორ ილაშქრა მურსილი I-მა ხურიტების, ალექოსა და ბაბილონის წინააღმდეგ.¹²⁸

მურსილი I-ის ტექსტს, ფრაგმენტულობის მიუხედავად, მკაფიოდ ემჩნევა თხრობის ანალისტური სტილი: პირველი პირით არის გადმოცემული ხურიტების წინააღმდეგ წარმოებული ბრძოლები და იკითხება გამოთქმა „მეორე წელს“.¹²⁹ სამწუხაროდ, გადმოცემული ამბების ზუსტი თარიღის დადგენა სადღეისოდ შეუძლებელია: მურსილი I-ის მეფობის რომელ წლებს ეხება და რამდენ წელს მოიცავს გადმოცემული ამბავი. შესაძლებელია მხოლოდ შეფარდებითი ქრონოლოგიის დადგენა: ფურუსხანდას განადგურების შემდეგ წელს მურსილიმ დალაშქრა ხურიტების ქალაქები.

ტექსტის აგებულება და შინაარსი.

ფურუსხანდელმა კაცმა? ფურუსხანდას შეაფარა ლაშქრითურთ თავი. მურსილიმ გაანადგურა ქ. ფურუსხანდა.

ფურუსხანდელი კაცი (მთავარი) წამოიყვანა. მის მეუღლე და შვილები დაწყველა.

მეორე წელს ხათრას ქვეყნის ქალაქები ..., ..., და სუქცია ხურიტების მხარეს გადავიდნენ. მურსილიმ დაამარცხა ხურიტების ქალაქები. ღვთაებებმა ხურიტებს ჭირი შეჰყარეს და ისინი ამოწყდნენ. ლაშქრის მეთაური ნიფა გარდაიცვალა.

ხურიტებმა გამოიზამთრეს ქ. სუქციაში. ხურის ლაშქრის მეთაურები-ქარავანი, ფარაიუნა და (იაუქთერაია) დაიხოცნენ (ჭირისგან). ქ. ლაქურისას მომთაბარე მებრძოლები და მონები გათავისუფლდნენ და მურსილიმ ისინი თავის ლაშქრად აქცია.

ქ. სუქციადან ხურიტების შემოჭრა: ქალაქები ვანხურა, მინია, ...რისთა და ფარამანცანა ხურიტების მხარეს გადავიდნენ?

ლაშქრის წინამძღოლი გარდაიცვალა. ქალაქები: ..ა, ქასარა, დუმანდა, ..., ...ცია, ..., ...ინცალუხა, ლუ?...ცუვა, სახუ...ა, ...უსთა, ივასა, ...ა, ხარსანხილა, ... და ...ნა ხურიტების მხარეს გადავიდნენ, მათთან ერთად ხურიტების არცავეას ქვეყნისაკენ გაეშურენ. ხურიტების მეფე გარდაიცვალა.

არცავეიდან ხურიტების ლაშქარი ხათუსასკენ გამოეშურა. ქალაქები ...ია, ქარსანცია, და ..., ხურიტების მხარეს გადავიდნენ.

მოიყვანეს ქ. ანქუვაში.

ნახსენებია ქალაქები ანქუვა, სანახვითა, ხაქმისა.

ტექსტის თარგმანი:¹³⁰

წინა მხარე (1-3) --ქვემოთკენ ... უნდა წავიღეს საბრძოლველად!
... ჩვენი (სამართალი) უნდა გადაწყვიტოს! (4-13) მრავლად...
[მას] გვერდში დაუდგები! ... ღვთაებანი წინ ... მისი [ლაშქარი] და საბრძოლო ეტლები და[ვამარცხე?]. [და იგი წავიდა. ქ. ფურუსხანდას [შეაფარა თავი]. ...ქ. ფურუსხანდა... [ქ. ფურუს]ხანდა გავანგრიე. ფურუსხანდელი [კაცი] ხათუსაში [მოვიყვანე]. ხოლო (მე), მეფემ, მისი მეუღლე და შვილები (ასე დავწყველე:) ...? ვაშლს თქვენი კბილები [მოელხოს ...],¹³¹ მე ცხიმი თიხაში ამერიოს!¹³² (14-34) [...] იგი [ხათის ქვეყნად მოვიდა. ხოლო მეორე წელს [და] იგი [ქვეყნის] შუაში? (და) ხათრას ქვეყანაში. ხათრას ქვეყნის [ქალაქები: ... ქალაქი ...], და [ქ. სუქცია ხურიტების მხარეს გადავიდნენ. [ხოლო ისინი, რომლებიც ...]... იყვნენ, ხვლთ ივღეს. [...]მათ. ხოლო ის ხურიტები, [ქ. მოვიდა იგი. ხურუმას ქალაქიდან [...] იგი. [...] ხურიტებს

ქალაქ ლახუცანთიაში [...] და დაამარცხა იგი. ქალაქი ხურუმა ... [...] მან ადრე დათესა. ხურიტების [...] ქალაქი ...დაიკავეს მათ და მოსავალი, პური, ღვინო [წაქართვეს. ლეთაებები (მაინც) იცავდნენ ქ. ხურუმას [და მას არაფერი] დაუშავეს. ხურიტებს კი ჭირი შეჰყარეს, [ასე] დაიწყო მან დაღუპვა (განადგურება?). ნიფა, ლაშქრის მეთაური (ამასობაში) გარდაიცვალა.

(35-41) [მან(=ხურიტთა მეფემ?) ქვემოთ წამოიყვანა [ლაშქარი? ქ. ხუქრმადან და იგი (=ლაშქარი) [გაეშურა?] ქ. სუქციასკენ. ქ. სუქციაში მათ გამოიზამთრეს, მაგრამ თანდათან იხოცებოდნენ. ქარავანი, ფარაიუნა და [(აიუქთურაია)], ლაშქრის მეთაურები (ამასობაში) დაიხოცნენ. ხოლო ქ. ლაქურიისაში 2000 მომთაბარე მებრძოლმა და მონამ თავი გაითავისუფლა. იმის შემდეგ, რაც ? მე, მეფემ (ისინი) გავეერთიანე, [მე] ისინი (ჩემს) ლაშქარს დაუშვემდებარე. იგი (=ლაშქარი) ჯგუფებად დაიყო და ასე იქცა იგი მის (=ქალაქის) ძლად. (42-48) [ქ. სუქციადან?] შემოიჭრა (=ხურიტების ლაშქარი) და გასწია არცაეიას ქვეყნისაკენ. [...? (ქალაქები, კერძოდ:) ... , -კსნხურა, მინა, [-რ]ისთა და ფარამანცანა [ხურიტების მხარეს გადავიდნენ?] ხოლო [ხურიტელმა(?) გასწია ქ. ულამასკენ. [...] მან, და მას (=ქალაქს) არაფერი [არ უქნეს?] და (ხურიტელმა) დაიწყო [დაღუპვა. ...], ლაშქ[რის] წინამძღოლი (ამასობაში) გარდაიცვალა. (49-56) [...? (ქალაქები, კერძოდ:) ... , ...], ქასარა, ღუმანდა, [...?, ...ცია, [...?] ...ინცალუზა, ლუ? [...]ცუვა, სახ[უ...], [...]უსთა, ივასა [...], ზარსანხილა, [...] და [...]...ნა ხურიტების მხარეს გადავიდნენ და მას ... [მან (= ხურიტების ლაშქრის მეფემ?) წაიყვანა (ლაშქარი) ქ. არცა[ვ]იასკენ. მაგრამ მას {ღვთაება} აქნი (სიკვდილით) დაეპუქრა, და ...ქრუვა, ხურიტების ლაშქრის მეფე გარდაიცვალა. [...] 3000 მომთაბარე მეომარი [...] [...] იგი (=ლაშქარი) დაიყო ჯგუფებად და ასე იქცა იგი მის (=ქალაქის?) ძლად [...]. უკანა მხარე (1-15) [ქ. არცაეიადან?] გამოეშურა იგი (=ხურიტული ლაშქარი) [ზემოთკენ?] და [გასწია?] ხათუსას [ქვეყნისაკენ]. [...]...[...? ყველა? [მა]მა მეფისა...და]შორდა. [... მოიყვანეს აქ. [? (ქალაქები, კერძოდ:) ... , ...] ...ია, [...] ქარსანცია, [და... ხურიტების] მხარეს გადა[ვი]დნენ. [...] მოიყვანეს ქ. ანქუვაში. (16-21) [...]... მისი აჩქარება [...] მოხუცი ბრძენი კაცები (და) ქალები [...]. ისინი მივიდნენ ხურიტებთან, [...]. ისინი მივიდნენ [...].. მოპირდაპირე მხარეს., [...].. მეფის

ცხენშებმული ეტლები ... (22-37) [...] -ობა, მე ... [...] აიღეს მათ.
[სიჩუმე ..] მან? [...] ა[რ...?] აი[ღეს? მათ?]. ... [...] იყვნენ. [...].
ქ. ანქუვაში [მთიყვანეს?] მაცნ[ე]. [მი]ლის იგი. ქ. თა[...]-
იქნებოდა...? [ღა? ქვეყანაში გამოი[ზამთრა მან] აგრეთვე?
გაქლაეწი? და ჩვენ ... [...] ქ. ანქუვას ხალხი, კაცი [ქ. ...-დან?]
[ხური]ტები და ქ. თა[რუქას?] ლაშქარი. ... [გაქალეს მათ, მტერი
ქ[ვემო]თ? [გაანაღ]გურა მან. (38-41) [...] იგი, ათი დღის
განმავლობაში იბრძოდა. [ვაჟკაც]ობა? დაამტკიცეს მათ. [...]
ცხენშებმული [ეტ]ლი [...]... თავიანთი [...]-ც გაანაღგურეს მათ.
(42-49) [...] ქ. სანახვითა [...] იგი ქ. ხაქმისაში წავიდა.
[ქალაქები... ხს?] (და) ბათენა გაექცა (მას). [... , ...?] ჩვენ [ჯერ
კიდევ ეცოცხლობთ!]"... ქ. სანახვითა [...]. მტრის (წინააღმდეგ)
იბრძოდა იგი. [ვაჟკაც]ობა? დაამტკიცეს მათ... (50-53) [ქ...
ქ. [...]-ის ხალხს [...] ო[ღესლ]აც? ქალღვთაება ლე[ლვანი? ...?]
[... , ...] თქვენ?" [...]

ბ-ს თარგმანი შეესატყვისება KBo 3.46 + KUB 26.75
წინა მხარე 30-44

წინა მხარე? 1 -11 ასლია KBo 3.46 + KUB 26.75
წინა მხარე 48 - უკანა მხარე ს.

(12-19) [...]... ფურუსხანდელი კაცი, (ქალაქები:) სარ?]
ხარასაფა, თასან[ა, ...]სთა, არიმათა, [...]ს, ფარქუთა, [ა, ...]..ა,
ცუნაზარა, [] სინუეანთა, [ღა... ხურიტების მხარეს გაქლა[ვიდნენ].
ა[მ?]

მესამე თავი შუა სამეფო

ხეთების ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბურუსით მოცული და პერიოდა შუა სამეფოს ხანა (დაახლ. ძვ. წ. 1460-1380 წ. წ.), რადგან ამ დროის მასალა ჯერჯერობით ყველაზე ნაკლებად მოგვეპოვება. ორთაქოში (ივარაუდება, რომ იგი ხეთური ხანის ქ. საფინუკაა, მდებარეობს ქ. ჩორუმიდან 53 კმ. სამხრეთით) წარმოებული ახალი არქეოლოგიური გათხრების შედეგად (1990 წ. მას ხელმძღვანელობენ მუსტაფა და აიგულ სუელები) აღმოჩენილი დაახლოებით 3000 ფირფიტიდან უმეტესობა სწორედ შუა სამეფოს დროინდელ ტექსტებს წარმოადგენს. არქივი უკვე ათ წელზე მეტია, რაც აღმოჩნდა. მაგრამ სამწუხაროდ, მხოლოდ მცირე ნაწილია გამოქვეყნებული,¹³³ იმ დროს, როდესაც ორთაქო/საფინუკას არქივში დიდი რაოდენობით ხეთურ, ხურიტულ, ხათურ ენებზე შედგენილი ისტორიული, ადმინისტრაციული თუ რელიგიური შინაარსის ტექსტია მოსალოდნელი.

ნაშრომის ეს ნაწილი ხეთების სამეფოს ისტორიის ერთ-ერთ ყველაზე საკამათო თემას ეხება. კერძოდ, იმ ხეთ მეფეებს, რომლებიც თუთხალია და არნუვანდას სახელით არიან ცნობილნი. ხეთოლოგთა ახალ გამოკვლევებზე დაყრდნობით შევეცდებით წარმოვადგინოთ შუა სამეფოს მეფეთა – თუთხალია I/II-სა და არნუვანდა I-ის მოკლე ისტორია; რომელი წერილობითი თუ არქეოლოგიური მასალა უკავშირდება მათ სახელებს.¹³⁴

თუთხალია I/II

ხეთოლოგიაში დამკვიდრებული ტრადიციით ამ მეფეს თუთხალია II-დ მიიხსენიებდნენ¹³⁵ იმ ვარაუდით, რომ შესაძლებელია არსებობდა მისი წინამორბედი თუთხალია I, მაგრამ სადღეისოდ არ არის ცნობილი შესაბამისი სახელის მქონე სხვა მეფე, რომელიც თუთხალია I-ად დასახელდებოდა.¹³⁶ გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია მას თუთხალია II-დ, ხოლო მომდევნო

მეფეებს, შესაბამისად, თუთხალია III-დ და IV-დ ასახელებდნენ. გერმანელი მეცნიერი ჰორსტ კლენგელი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით გეთავაზობს, მიეყვებოთ ტრადიციას და, ყველა მეფის რიგითმა ნიშანმა რომ არ გადაიწიოს, იგი თუთხალია I/II-დ (ან II/I) მოვიხსენიოთ.¹³⁷

წყაროები:

▪ ბრინჯაოს ხმალი, რომელიც შემთხვევით აღმოჩნდა სოფ. ბოლაზქოისთან ახლოს. ქ. ასუეაზე გამარჯვების სახსოვრად აქვს წარწერა: „დიდი მეფე თუთხალია“;¹³⁸

▪ ჯერის ფორმის საბეჭდავი ბოლაზქოიდან, სადაც თუთხალია I/II, [არნუევანდა I] და თუთხალია III მურსილი II-ს წინაპრებად არიან მოხსენიებულნი;¹³⁹

▪ (CTH 142) KUB 23.27, KUB 23.11; ასლი KUB 23.12, KBo 12.35: თუთხალია I-ის ანალები (+KUB 23.16 და 18 (CTH 211.6, 7));¹⁴⁰

▪ (CTH 143) KUB 23.21: თუთხალია I-ის ვაჟის, არნუევანდას ანალები, მამა-შვილის საერთო ბრძოლების შესახებ;¹⁴¹

▪ (CTH 258) KUB 13.9+40.62: თუთხალია I-ის ბრძანება სამართლებრივი უფლებების მოწესრიგებისათვის;¹⁴²

▪ (CTH 41 და 131) KBo 1.5, KUB 3.4, KBo 28.106; KBo 28.75, შტრ. KBo 19.40 (აქადურად); KUB 8.81+KBo 19.39; KUB 36.127 (ხეთურად): ხელშეკრულება ქიციუვათანს მეფე შუნაშურასთან;¹⁴³

▪ (CTH 183) KUB 26.91: ხეთი მეფის წერილი ახიავას ქვეყნის მეფეს. მოხსენიებულია მეფე ¹³⁸თუთხალია ქ. ასუეაზე გამარჯვებასთან დაკავშირებით;¹⁴⁴

▪ (CTH 68) KBo 4.7+KBo 19.65+854/u+KBo 22.38: მურსილი II-ს ხელშეკრულება ქუფანთა-ქურუნთასთან, სადაც მოხსენიებულია თუთხალია I-ის ჯარის გამაგრებული ბანაკი;¹⁴⁵

▪ (CTH 75) KBo 1.6; KUB 3.5,6; KUB 48.72, KBo 28.120: მუვათალი II-ს ხელშეკრულება ალეპოელ თალმი-შარუმასთან, მურსილი II-ს მიერ დადებული ხელშეკრულების გაგრძელება. შესავალში საუბარია თუთხალიას წარმატებულ ლაშქრობებზე ჩრდ. სირიაში;¹⁴⁶

▪ (CTH 661) KUB 11.8+9, 1307/z, 860/v: ხეთური სამეფო სახლის გარდაცვლილების შესაწირავთა ნუსხა. ნახსენებია თუთხალია, თავის მეუღლე ნიკალმათისთან ერთად;¹⁴⁷

▪ (CTH 482) KUB 32.133: მურსილი II-ს ტექსტი „ღამის ქაღვთაების“ შესახებ, სადაც ნახსენებია „წინაპარი“ თუთხალია, რომელმაც ქიუკუათნას ტაძრიდან ღვთაება ქ. სამუხაში გადაიყვანა;¹⁴⁸

▪ (CTH 443) KBo 15.10+KBo 20.42: მეფე-ღედლოფლის, თუთხალიასა და ნიკალმათის განწმენდის რიტუალი;¹⁴⁹

▪ KUB 43.55 -სზვადასხვა ტექსტების კრებული ფირფიტა, სადაც ნახსენებია „დიდი მეფე თუთხალია (I/II თუ III?), რომელმაც ხათუსაში მიწის მზის ღვთაებისათვის მსხვერპლის შეწირვისას ბაბუის სახლში სიზმრის ამხსნელი ქადაგი ნახა.“¹⁵⁰

ისტორია. ქანთუცილისა და ხიმუილის მიერ მუვათალი I-ის მკვლელობითა და თუთხალია I/II-ს ტახტზე ასვლით იწყება ე.წ. „შუა ხეთური პერიოდი“ (ძვ.წ. 1460-1370 წ.წ.).¹⁵¹ როგორც წერილობითი წყაროებიდან დასტურდება, თუთხალია აქტიური სამხედრო მოღვაწე და წარმატებული მმართველი უნდა ყოფილიყო.¹⁵²

მეფობის დასაწყისში თუთხალიამ დასავლეთ ანატოლია დალაშქრა. აქ ყველაზე დიდი წინააღმდეგობა ქ. ასუვასგან შეხვდა. როდესაც ხათუსაში დაბრუნდა, ქალაქები ქარქისა, ვილუსია და თარუისა წინ აღუდგნენ, მაგრამ მან ისინი მალევე დაამარცხა. თუთხალიას ანალების ტექსტის მიხედვით ეს ტერიტორიები ასუვას რეგიონს ეკუთვნოდა. მათი დამარცხებით ხათის გავლენა დასავლეთით გაერცვლდა. თუთხალია ხათუსაში დიდძალი ალაფით დაბრუნდა. ათასზე მეტი ტყვე, ფეხოსანი და ცხენოსანი მეომარი, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი წამოიყვანა. ივარაუდება, რომ ტყვეთა შორის ასუვას მეფე ქუქულიც იყო,¹⁵³ რომელიც ასუვადან წამოყვანილი ტყვეების დახმარებით აჯანყდა. ტექსტში ნახსენებია 10 000 ფეხოსანი და 600 ეტლოსანი. ხეთებმა ეს აჯანყება ჩაახშეს და ქუქული მოკლეს.¹⁵⁴ სავარაუდოა, რომ ახიავას მეფის მიმართ წერილი დროითა და შინაარსით სწორედ ამ მოვლენებს ასახავდეს.

ნადავლში მრავალი ძვირფასი ნივთი და იარაღი იყო. სწორედ ამ ბრძოლიდანაა ცნობილი ზემოხსენებული ხმალი, რომელსაც სამახსოვრო წარწერა აქადურ ენაზე თუთხალიამ გააკეთებინა

და ამ ბრძოლაში მის შემწეს, ხათის ამინდის ღვთაებას მოუძღვნა. იგივე პერიოდისა უნდა იყოს ვერცხლის თასი, რომლის იეროგლიფური წარწერაც ქ. თარუსას დაპყრობაზე მოგვითხრობს.

თუთხალიას ხათუსაში ხანგრძლივი არყოფნის გამო დედაქალაქში გადატრიალება მოხდა. მეფეს წინ აღუდგა საკუთარი და - ციფლანთავია, რომელიც მის წინააღმდეგ მაგიურ რიტუალებს ატარებდა.

როგორც ჩანს, მეფე უმეტესწილად საფინუვაში ყოფნას ამჯობინებდა, როდესაც სამხედრო ექსპედიციებში არ იყო ჩართული. თუთხალიას მთავარი მფარველი ღვთაება ხურიტულ-ქიცუვათნური „შავი ქალღმერთი“ უნდა ყოფილიყო და ამიტომ მისი კულტი სხვა ქალაქებშიც გაავრცელა.¹⁵⁵ საფინუვა ხურიული ორიენტაციის მქონე ქალაქი იყო. იგი საფუძვლიანად იყო გამაგრებული ჩრდილო-აღმოსავლეთიდან შემოჭრილი ქასქების ტომთა თავდასხმების თავიდან ასაცილებლად, რომელთა საზღვარი დაახლოებით ქალაქიდან 15 კმ-ში მდებარეობდა.

თუთხალიას დასავლეთ მცირე აზიაში ყოფნა გამოიყენეს ქასქებმა, რათა ხათის ქვეყანას თავს დასხმოდნენ. როდესაც თუთხალიამ თავდასხმის ამბავი შეიტყო, თავისი ლაშქრით ხათის ქვეყანას მოაშურა. ქასქებმა უკან დაიხიეს. „დიდმა მეფემ“ მათ ქვეყნის საზღვრამდე სდია და, ქ. თივარასთან დაამარცხა. შემდეგ წელს თუთხალია საბრძოლველად არ წასულა. ახლა მას ზემო ევფრატის ქვეყნის მოსახლეობა აღუდგა. მათ ზურგს ხური-მითანის სამეფო უმაგრებდა. თუთხალია ისუვას ქვეყანაში, ევფრატის ზემო დინებისაკენ გაემართა და, სავარაუდოა, დაამარცხა ისინი. დაპყრობილ ქვეყნებზე მუდმივი კონტროლისათვის თუთხალიამ სამხედრო რაზმები ჩამოაყალიბა. მისი სამომავლო მიზანი იყო ქიცუვათნასა და სირიის დაპყრობა. მალევე ხელშეკრულება დადო ქიცუვათნას მეფე შუნაშურასთან.¹⁵⁶ ამ ხელშეკრულებით შედეგად ქიცუვათნას ქვეყანას ხათის სამეფოსგან მრავალი პრივილეგია მიენიჭა: ქვეყნის მოსახლეობამ მიიღო საქონელი და ბოსლები. ხეთების გავლენა ქიცუვათნაზე გაძლიერდა და ამან ხელი შეუწყო მითანისაგან გათავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

თუთხალიას შემდეგ ტახტზე მისი ვაჟი არნუვანდა I ავიდა, რომელმაც მეზობელი ქვეყნების მიმართ მამის საგარეო პოლიტიკა განაგრძო.

ტექსტის კვლევის ისტორია. ხეთების შუა სამეფოს მმართველების, თუთხალია I/II-სა და არნუევანდა I-ის ანალების ფირფიტები, ფრაგმენტულობის მიუხედავად, დიდ ინტერესს იწვევს ისტორიული, ენობრივი თუ სტილისტური თვალსაზრისით. თავდაპირველად მეცნიერები მათ ახალი სამეფოს მეფეებს-თუთხალია IV-სა და არნუევანდა III-ს მიაწერდნენ,¹⁵⁷ მაგრამ პალეოგრაფიული და ისტორიული მონაცემების საფუძველიანი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ფირფიტები უფრო ძველია და შუა სამეფოს პირველ მეფეებს, მამა-შვილს, თუთხალია I/II-სა და არნუევანდა I-ს მიეკუთვნება.¹⁵⁸

ტექსტის აგებულება და შინაარსი.¹⁵⁹

თუთხალიას მამა გარდაიცვალა. არცავას ქვეყნის მეფემ ქვეყნების მეფეები (დამარცხა?), ხათის, —, სარიანდას, —, ულივანდას, —, —თასის, ფარსუხალდას ქვეყნები (დაიპყრო?).

თუთხალია ტახტზე ავიდა, ილაშქრა ქვეყანაში.

დასახლებულია — ლია, მღ. ლიძია, —, არცავას, —, აქფუისას ქვეყნები, მღ. სება, — ფარიანას, —თა, ზაფალას, — არინას, ვაღარძას, —, ხალათარსას ქვეყნები.

ხათუსაში მოიყვანა (დამარცხებულ მეფე?) და დატყვევებული მეომრები ხათუსაში წამოიყვანა.

—, —უქას, ქ. ქისფუვას, ქ. უნალიას, —, დ(ურ)ას, ხალუვას, ზუვალუსიას, —, —ქარქისას, ქვეყანა დ(უნთ)ას, ადაღურას, ფარისთას, —, —, ვარსიას, ქურუფიას, (ლუსას), ალათრას, ფახურინას მთის, ფასუხალთას, — — ვილუსიას, თარუისას ქვეყნების გაერთიანებული ლაშქარი დაამარცხა. მოსახლეობა და ალაფი ხათუსაში წაასხა.

ქ. ასუვადან ტყვე ჯარი წამოიყვანა და ხათუსაში დაასახლა. სუმ-ლამა (ფამარადუ, ქუფანთა-ინარა, ქუფანთა-ქურუნთა), ქუქული, მაღაციითი, სუმ-ლამა ოჯახებითურთ თან წამოიყვანა.

ქუქულიმ აჯანყება მოაწყო. ქუქული მოკლეს, აჯანყება ჩაახშვეს.

ქასქების შემოჭრა ხათის ქვეყანაში. თუთხალიას გამარჯვება ქასქებზე. ქასქას ქვეყანაში გალაშქრება.

ისუევას ქვეყნის განადგურება.

თუთხალიასა და ქანთუცილის ბრძოლა ხურიტებთან.

თარგმანი: ¹⁶⁰

წინა მხარე (1-9) [ასე (ამბობს) თაბაქრნა თუთხალია, დიდი მეფე: [როდესაც მამაჩემი ღვთაებად იქცა, მე [(ჯერ კიდევ) პატარა ვიყავი] და არცავეს ქვეყნის⁶¹ მეფემ [...] ქვეყნების მეფეები იქ [...]. შემდეგ მოვიდა [...] ყველა [ხათის [ქვეყანა ...] სარიანლას ქვეყანა [...] ქვეყანა . .]-არმანა, ქვეყანა ულივანდა, [...] -თასი, ქვეყანა ფარსუხალდა.

(10-11) [...] ქვეყანა ხათი, [...] მეფე და მისი ქვეყანა.

(12-21) [...] ქვეყანა აქრცავა [...] გაძლიერდა(?) [...] როდესაც მე, თუთხალია [...] მამაჩემის ტახტზე დაეჯექი, [...] ქვეყანაში . . წაქედი. [...] ლაშქარი [...] მტერი [...]

წინა მხარე II (2-8) [...] ხ-ლია, მდ. ლიშია, [...] არცავეს ქვეყანა, [...] აქუუისას ქვეყანა, მდ. სეხა, [...] ფარიანას ქვეყანა, [...] -თა, ხაფალას ქვეყანა, [...] არინას ქვეყანა, ვალარიმას ქვეყანა, [...] ხალათარსას ქვეყანა.

(9-12) [...] გამოიყვანა. [...] იგი ქ. ხათუსაში მოვიყვანე, დატყვევებული 10 000 ჯარისკაცი, ? ასი ეტლო]სანი, ეტლები [ეტლოსნებთან] ერთად ქ. ხათუსაში მოვიყვანე.

(13-28) [როგორც კი] ხათუსასკენ გამოვეშურე, ეს ქვეყნები მტრად მექცნენ: [...] უქა, ქ. ქისფუვა, ქ. უნალია, [...] ქვეყანა დუქრა, ქვეყანა ხალუვა, ქვეყანა ხუვალუსია, [...] ქარქისა, ქვეყანა დ(უნთ)ა, ადადურას ქვეყანა, ფარისთას ქვეყანა, [...], ვარსიას ქვეყანა, ქურუფიას ქვეყანა, [(ლუსას) ქვეყანა, ქვეყანა] ალათრა, ფახურინას მთის ქვეყანა, ფასუხალთას ქვეყანა, [...] ვილუსიას ქვეყანა, თარუისას ქვეყანა, [...] თავ[იან]თი ლაშქარი გააერთიანეს და მათმა [...] ჩემი ლაშქრის წინააღმდეგ დაიძრნენ. მაგრამ [მე], თუთხალიამ ღამით წავიყვანე ჩემი ლაშქარი და მტრის ბანაკს გარს შემოვერტყი. და ღვთაებებმა გადმოშვეს მე ისინი (ქალაქები): ქ. არინას შზის ქალღვთაებამ, აძინდის ღვთაებამ, ხათის მფარველმა ღვთაებამ, ზაბაბამ, იშთარამ, მთვარის ღვთაებამ, ლუღვანიმ. და მე დავამარცხე მტრის ლაშქარი. შემდეგ გავეშურე იმ ქვეყნებისკენ, საიდანაც ლაშქარი მოვიდა [საბრძოლველად].

(29-32) [და ღვთაებანი] წინ მიძლოდნენ. და ჩამოთვლილი ქვეყნები, რომლებიც [მტრულად იყვნენ განწყობილი, ღვთაებებმა მე გადმოშვეს. ყველა ეს ქვეყანა ხელთ ვიგდე და გამოძევებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ქვეყნების ქონება ხათუსაში წავასხი.

(33-39) [როდესაც ქ. ასუვა გავანადგურე, [დავებრუნდი ხათუსაში და წამოვიყვანე 10 000 ტყვე ჯარისკაცი, 600 ეტლოსანი მეომარი, (მათი) მეთაურები და დავასახლე [ისინი] ხათუსაში; სუმ-ლამა (ფიამარადუ, ქუფანთა-ინარა, ქუფანთა-ქერუნთა), ქუქული, მალაკითი, სუმ-ლამას ნათესავები და მისი შვილები და შვილიშვილები , ყველა ხათუსაში წამოვასხი.

უკანა მხარე III (1-6) [როდესაც] ხათუსაში მოვედი, სუმ-ქალი და მა[ლაკითი] I. -ის [სახლში] I. -ის ამინდის ღვთაებს ვუძღვენი, ქუქული [კი ... (მისი ვაჟი)...] [ცმადნაქეცად ვაქციე და გავათავისუფლე. [შეორედ] აჯანყდა შემდეგ ქუქული. ასუვას ქვეყნის 10 000 ფეხოსანი და 600 ეტლოსანი შეკრიბა მან და აჯანყება მოაწყო.

(7-8) და ღვთაებებმა მომცეს იგი მე: მათი განზრახვა შემატყობინეს, ისინი (ჯარი) გაანადგურეს და ქუქული მოკლეს.

(9-21) სანამ მე, თუთხალია, დიდი მეფე, ასუვას ქვეყანაში საბრძოლველად ვიყავი, ქასქების ლაშქარმა ჩემს ზურგში მტრობა დაიწყო: შემოვიდა ხათის ქვეყანაში და გაანადგურა ქვეყანა. როდესაც მე, თუთხალია, დი[დი] მეფე, ხათუსაში მოვედი, მტრის ლაშქარი გაიქცა. მაშინ დავედევნე მათ და ქასქას ქვეყანას მივაშურე საბრძოლველად. ქასქების მთელი ქვეყანა აღ[მოდგა] და ქ. თივარაში ბანაკი დასცა (და) ბანაკის უკან ტყე დაიკავა, მას წინ მდინ[არე ჩამოუღის]. ხოლო მე, თუთხალია, დიდი მეფე, [წავედი] შევებრძოლე მათ და ღვთაებებმა მომცეს იგი, ქ. არი[ნას] მზის ქალღვთაებამ, ხათის მფარველმა ღვთაებამ, ზაბაბამ, იმთარმა, მთვარის ღვთაებამ, ლელვანიმ და დავამარცხე ქასქას ლაშქარი.

(22-26) შემდეგ (ქასქას) სხვა ქვეყნებზეც ვილაშქრე და [მთებ]ის გამაგრებული ქალაქები შევმუსრე. შემდეგ წელს აკლავ წ[ავედი] საბრძოლველად, ღვთაებები წინ გამიძღვენ და [დავამარცხე] ქასქას ქვეყანა ხოლო შემდეგ წელს საომრად [ალარ წავსულეარ].

(27-34) [ამის შემდეგ] ქვეყნის მოსახლეობა [...] მტრად გამიხდა და [...] დაიპყრო [...] მას [დაეხმარა] ხურის მეფე. [მე, თუთხალია] წავედი ისუქვას ქვეყანაში. [...] იგი მოვიდა. და მე [...] ქვეყანა უკან, [...] დავტოვე. როდესაც [...] და მე [...] დიდი ქვეყანა, ისუქვას ქვეყანა [...] სახლთან [ერთად] [...] გავეანადგურე. უკანა მხარე (1-3) [...] მტრობა [...] ცუდად მოვექცევი (?). და მამაჩემმა [... ეტლო]სან ლაშქართან ერთად (და) მუეას[...], ლაშქართან ერთად [...]

(4-9) მუეას[...] ფეხოსანმა და ეტლოსანმა ლაშქარმა [...და] ხურიტების ფეხოსანმა და ეტლოსანმა ლაშქარმა ქანთუცილის წინააღმდეგ საბრძოლველად ...]და მის წინააღმდეგ მოაწვეეს ბანაკი. ქანთუცილი და მე, მეფემ [...] და დავლაშქრეთ მუეას ბანაკი და ხურიტებმა [...] და მტრის ლაშქარი დიდი რაოდენობით [დაიღუპა].

(10-19) ჩვენ ხელთ [ვიგდეთ] 7 000 ტყვე [...] და ქართასურას ლაშქარში [...]. ხურიტები, რომლებიც ლაშქარში [...იყვნენ, ისინი [...] მე, თუთხალი[ამ, დიდმა მეფემ ...] და იგი [შიმშილს] გადაეარჩინე(?) და როდესაც [ხურიტებმა...] ხურიტებმა ბრძოლა [...] უკან დაბრუნდნენ და [ხურიტებმა(?) ...] რომელი სიმაგრენიც [ხა]თის [ქვეყანაში ...] მან ბრძოლაში ხელთ იგდო [... ...].

ფრაგმენტები, რომლებიც ვერ ითარგმნება:

KBo 12.35. ნახსენებია: სუმ-ლამა, ქუქული.

KUB 23.18. ნახსენებია: ქუქული, „მე, მეფემ“, სუმ-ლამა ფარ[ფიტა ...] 2 საქმენი ...]

KUB 23.63. ნახსენებია: [...თუთ]ხალია, დიდი მეფე, [...მსხვილ]ფეხა და წვრილფეხა საქონელი ხელთ ვიგდე.

KUB 26.83. ფრაგმენტში მეფე ნახსენები არ არის, მაგრამ სტილით ანალისტურია და ენობრივ-პალეოგრაფიული მონაცემებით შუა სამეფოს ხანას უნდა ეკუთვნოდეს.

არნუვანდა I

ხეთების ისტორიის მანძილზე ცნობილია სამი არნუვანდა, რომელთაგან პირველს, არნუვანდა I-ს (დაახლ. ძვ. წ. 1420-1400 წ.წ.), შუა სამეფოს პერიოდში უნდა ემეფა და თუთხალია I/II-ს ვაჟი ყოფილიყო. მეორე არნუვანდა სუფილულიუმა I-ის ვაჟი იყო (დაახლ. ძვ. წ. 1339 წ.), ხოლო არნუვანდა III (ძვ. წ. 1225-1210 წ.წ.) იყო თუთხალია IV-ს ვაჟი და ხეთების სამეფოს უკანასკნელი მეფის, სუფილულიუმა II-ს ძმა.

წყაროები:

▪ (CTH 143) KUB 23.21: არნუვანდა I-ის, თუთხალიას ვაჟის „ანალები“, სამხედრო ოპერაციები მამასთან ერთად;¹⁶²

▪ (CTH 223) KBo 5.7 - ტაძრის მსახურ ქუვათალასთვის არნუვანდასა და აშმუნიქალის მიწის ჩუქების დოკუმენტი. ტექსტი ასახელებს უფლისწულ თუთხალიას, როგორც სამეფო ოჯახის წევრს.¹⁶³ დაბეჭდილია არნუვანდასა და აშმუნიქალის ბეჭდით;¹⁶⁴

▪ (CTH 252) KUB 13.8, KUB 47.46: დედოფალ აშმუნიქალის ჩუქების დოკუმენტი;¹⁶⁵

▪ (CTH 375) KUB 17.21, KUB 31.124+KUB 48.28+Bo 8617, ასლი: KUB 23.17+KUB 31.72+KUB 48.108 - არნუვანდასა და აშმუნიქალის სარჩელი ქასქების წინააღმდეგ იმის გამო, რაც მათ ჩაიდინეს ნერიქისა და ქასქების სასაზღვრო სხვა ქალაქების კულტების მიმართ;¹⁶⁶

▪ (CTH 137) KBo 16.27: სამკითხაო ტექსტი, სადაც მითითებულია დიდი მეფის, არნუვანდა I-ის ხელშეკრულება ქასქებთან;¹⁶⁷

▪ (CTH 257) KBo 13.58, KUB 23.64, KUB 26.9+6971256+340/z, KBo 10.5: არნუვანდა I-ის ინსტრუქციები ქ. ზათუსას მეთაურს (HAZANNU);¹⁶⁸

▪ (CTH 260) KUB 31.44, 42, KUB 26.24+KUB 40.15: არნუვანდასა და აშმუნიქალის ინსტრუქცია წარჩინებული პირისათვის;¹⁶⁹

▪ (CTH 661): KUB 11.8+, 1307/z: ხეთური სამეფო სახლის გარდაცვლილების შესაწირავთა ნუსხა. ნახსენებია არნუვანდა და აშმუნიქალი.¹⁷⁰

ისტორია. როგორც ირკვევა, არნუვანდა I (დაახლ. ძვ. წ. 1420-1400 წ.წ.) ჯერ კიდევ გამეფებამდე ხშირად იღებდა მონაწილეობას სამხედრო ოპერაციებში თუთხალია I/II-სთან ერთად. ტახტზე ასვლისას იგი საკუთარ დაზე, აშმუნიქალზე დაქორწინდა. ხეთური ტრადიციის მიხედვით, ახლო ნათესაებს შორის სისხლის აღრევა აკრძალული იყო, მაგრამ იმის გამო, რომ ხეთების შუა სამეფოს პერიოდში დიდი იყო ხურიული რელიგიისა და კულტურის გავლენა, სავარაუდოა, რომ სამეფო სახლში ეს აკრძალვა დარღვეულიყო. მით უმეტეს, თუთხალია I/II-ს მეუღლე ნიკალმათიც ხურიული წარმოშობისა უნდა ყოფილიყო და სავსებით მოსალოდნელია, რომ მას ხურიული ტრადიციები ხეთის ქვეყანაში დაემკვიდრებინა.

როგორც ჩანს, თუთხალია I/II-ს მართველობისას არსებული პოლიტიკური პრობლემები არნუვანდას დროსაც გაგრძელდა და მან ქვეყნის შიგნით წესრიგის დასამყარებლად ინსტრუქციები გამოსცა. არნუვანდას საგარეო პოლიტიკა ძირითადად მიმართული იყო ჩრდ. ანატოლიაში ქასქების წინააღმდეგ. როგორც ჩანს, იმ პერიოდში ქასქები ხეთის სამეფოს მთავარ მოწინააღმდეგეს წარმოადგენდა. არნუვანდამ მდ. ცულია გადალახა და მტერს შეუტია, მაგრამ ვერ შეძლო ქასქების აგრესიის აღკვეთა. არნუვანდა ლოცვისას თავის მფარველ ღვთაებას მტრის დამარცხებაში შემწეობას შესთხოვდა, მაგრამ ამაოდ.

ჩრდილოეთში გახსნილი ფრონტის გარდა არნუვანდამ სხვა საზღვრების გამაგრებაც სცადა: სამხრეთით ქ. ადანას (თანამ. ადანა) წინააღმდეგ ილაშქრა. დასავლეთით, თავისი მოწინააღმდეგე თავადის, მადუვათას დამარცხება სცადა, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ ანატოლიაში ფახუვასა და ისუვას ქალაქებს შეუტია. არნუვანდა აშმუნიქალზე ადრე გარდაიცვალა და მეუღლემ მას ხურიული რწმენა-წარმოდგენების მიხედვით დიდი აკლდამა აუგო.¹⁷¹

ტექსტის აგებულება და შინაარსი

სამშენებლო მოღვაწეობა, , ქალაქების-ცუნახარას, , ადანიას, ხიდი ..., ..., სინუვანდას, ქ. ხია-...-ს თავიდან აშენება.

არნუვანდასა და თუთხალიას ლაშქრობა არცავეს ქვეყანაში. ხულუსივანდას მთასთან მტრის დამარცხება. ნადავლის ხელთ გდება. არცავეს მეფის ქუფანთა-ქალის გაქცევა. მისი ოჯახის პონა.

ასართას ქვეყნის დამარცხება, ალაფის ხათუსაში წამოსხმა.

მღ. ვარალამას გადალახვა, მტრის დამარცხება, ქვეყნის განადგურება. ლაშქრისა და ალაფის წამოსხმა.

ნახსენებია ხურის, ისუვასა და ასუვას ქვეყანა. მტრის დამარცხება.

ქალაქების დასახლება.

თარგმანი:

წინა მხარე. II? (2-10) [...ქუნდა აიყვანონ [...] ავაშენე? [... ქ. ცუნახარა, [... ქ.] ადანია, ხი[დი ...] ქ. სინუვანდა, ქ. ხია[...]] ისევ ავაშენე. თავიდან [...] ქ. ცულითა [...ლაშქარი და ეტლოსნები [... წაიყვანე.

(11-15) [...მე, არნუვანდამ], დიდმა მე[ფემ], ხათუსაში მამარემთან [... [მამარემი] თუთხალია, დიდი მეფე [-და მე, არნუვანდა, დიდი მეფე, [წაველით და] დავამარცხეთ [არ]ცავეს [ქვეყანა].

(16-22) ქუფანთა-ქალი, რომელიც [ჩვენ ქვეყანა ა]რცავეაში [...] ის დავტოვეთ. [...და იგი] მტრულად განეწყო. ქვეყანა არდუ[ქა? ...]

(23-30) [...] ხოლო ქვეყნები მასა, არდუ[ქა ...? ...] წავიდნენ ხულუსივანდას მთაზე. [მთა ხუ]ლუსივანდა იყო განსაკუთრებულად ძ[ნე]ლად (მისადგომი). მამარემი თუთხალია, დიდი მეფე და მე, არნუვანდა, დიდი მეფე უკან გავყვეით. ღვთაებანი წინ მიგვიბლოდნენ და ჩვენ დავამარცხეთ მტრის [ლაშქარი]. წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი ლაშქარმა იგდო ხელთ.

(31-32) ხოლო [ქუე]სნთა-ქალი, არცაეას ბატონი მარტო გაიქცა და ჩვენ იგი ვერ ვიპოვნეთ.

უკანა მხარე III (1-8) ხოლო ჩვენ [მივაგენით] მხოლოდ მის [მეუღლეს] და შვილებს. [თუთ]ხალია, დიდი მეფე, გმირი და [მე, არნუვანდ]ს, [დიდ მე]ქუე, ძლიერი, მთა [...] ასარათას ქვეყანაში წაველით [...] ეს ქალაქები დავამარცხეთ ჩვენ [...] ჩვენ [ისინი] ხა[თუსაში ...ლაშ]ქარი [...].

(9-15) [...მთა [...]ლხამუხა [...]] (16-18 სტრიქონები არ არის შემორჩენილი).

(19-25) [...მამჩემმა თუთ]ხალიამ, დიდმა მეფემ, გმი[რმა ... და მე, არნუვანდ]ს, დიდმა მეფემ, ლაშქარი [...] და იგი მდინარე ვარალამაზე [...] ვკითხე [... და მე, არნუვანდამ, დიდმა მეფემ [...] კვლავ დავამარცხე. ამის შემდეგ [...] მივიდა მდინარესთან [...]

(26-35) [და მე, არნუვან]დამ, დიდმა მეფემ, [ვაეწიე] მდინარისკენ [...] და გადავლაზე [იგი]. ლეთაებანი [წინ მი]ძიდოლდნენ და მე] დავამარცხე მტრის [ლაშქარი]. [... შემდეგ] გავედევნე [მას] უკან და მტერი [... და...] მოვკალი. ქვეყანა ქარქ[ისა...] ქვეყნები ქურუფი, ლუსა [...] ლაშქარი, წარტყვევნილი მოსახლეობა, [მსხვილფეხა და წერილფეხა საქონელი (წამოვასხით)] ხოლო ბალ-ვენახი [(გავანადგურეთ)].

(36) [...] ქვეყანაში [...].

წინა მხარე II (1-11) და მან საუ[სათარს ...] შებრუნდნენ და ისინი [...] თავის ქვეყანა ხურის [...] და მან [...]-ში ფეხოსანი და ეტლოსანი ლაშქარი [...] ერთად აირიენ [...]მამჩემმა შეიტყო [...] და იგი ისუვას ქვეყანაში [...] ასუვას ქვეყანა კი [...]წამოიყვანა მან. ხა[თის] ლაშქარი [...] ცალკე ლაშქარი [...]

უკანა მხარე III (2) [... შე]შოვიდნენ? [...] (3-10) [...] მე, არ[ნუვან]დას, წინ ლეთაებანი] მიძიდოლდნენ და ქვეყნის ლაშქარი [...] დავამარცხე. ქვეყნის ლაშქარი [...] ველზე] მივიდა [...]ლა ჩემი [...] მტერი კვლავ დავამარცხე. [...] პი[რი] იბრუნეს. [...]ლა [მე] დავამარცხე იგი [...] კვლავ.

წინა მხარე (2-13) [...ქლა]ქის დასახლება [...]ქა[ლა]ქის დასახლება [...] ტ[ყე] ქ. ხათქუსასი [...] და ქალაქი [...] ქ. ვახშუმ[ანა ...]. და ქი[...]-ს ქვეყანასთან [...] და მამჩემმა [...]

ქვეყნები, ქასქა, [...] მე, არწუვანდას ...] წაველი [...] ქ. თახარა [...].

უკანა მხარე (2-17) რომელი ეტლოსნე[ბი ...] იგი მ[თ]ლია[ნ]ად [...] ეს ხელ[ით...].

KUB 23.49

(2-7) [...ხაჩთილი [...] გზაზე [...] ქ. ხუვალუსია [...ქვეყანა ...]ლიაში გაეშურა საბრძოლველად [...ლაშქარი ბაბუაჩემს [...]] და არცაეას ქვეყანას [...].

KUB 23.26+KUB 23.65

ეს ფრაგმენტები ან არწუვანდას ეკუთვნის, ან მამამის თუთხალიას. ნახსენებია თუთხალია, „მისი 10 000 ტყვე“.

მეოთხე თავი ახალი სამეფო

სუფილულიუმა I-ის ტექსტები

წყაროები:

- სუფილულიუმას საბეჭდავის თიხის ანაბეჭდი; სუფილულიუმა იხსენიება თუთხალია III-ს ძედ; ¹⁷²
- საბეჭდავის თიხის ანაბეჭდები; სუფილულიუმა იხსენიება ცალკე და ბაბილონელ მეულლე ხინთისთან ერთად; ¹⁷³
- (CTH 42) KBo 5.3 + KBo 19.44 სუფილულიუმას ხელშეკრულება ხუკანასთან და ხაიასას ხალხთან; ¹⁷⁴
- (CTH 50) KUB 19.27 ხელშეკრულება ქარგამიშის მეფე შარი-ქუშუხთან; ¹⁷⁵
- (CTH 51) KBo 1.1. + KBo 28.111-114 და მისი ასლი KBo 1.2, KUB 3.1 + (აქად.), KUB 21.18 (+) KUB 26.34 (ხეთ.) სუფილულიუმა I-ის ხელშეკრულება მითანის მეფე შათივაზასთან; ¹⁷⁶
- (CTH 52) KBo 1.3 (+) KUB 3.17 (აქად.); HT 21+KUB 8.80+KUB 23.50+219/w + 1472/u (ხეთ.) მითანის მეფე შათივაზას ხელშეკრულება სუფილულიუმა I-თან; ¹⁷⁷
- (CTH 46-48) RS 17.227 და ასლი (აქად.) RS 11.772 + (უგარიტ.) – ხელშეკრულება უგარიტის მეფე ნიქმადუ II-სთან; ¹⁷⁸
- (CTH 53), KBo 1.4 + ასლი KUB 3.2, KBo 1.16, KUB 3.3, KBo 28.98 (აქად.) სუფილულიუმა I-ის ხელშეკრულება ნუხასის მეფე თეთესთან; ¹⁷⁹
- (CTH 49) KUB 3.7+, KUB 3.19(+) KUB 48.71, KBo 28.118, 140, Bo 9200, 9201 (აქად.); KBo 10.13 (+) 12 (ხეთ.) სუფილულიუმა I-ის ხელშეკრულება ამურუს მეფე აზირუსთან; ¹⁸⁰
- (CTH 45) RS 17.132 (აქად.) სუფილულიუმა I-ის წერილი უგარიტის მეფე ნიქმადუ II-ს; ¹⁸¹
- (CTH 153) EA 41 (აქად.) წერილი ეგვიპტის ფარაონს; ¹⁸²
- (CTH 154) KUB 19.20 + KBo 12.23 (ხეთ.) წერილი ეგვიპტის ფარაონს; ¹⁸³

- (CTH 44) KUB 19.25, 26 სუფილუიუმა I-ის ბრძანებულება ქიცუვათანას ქვეყანაში თელიფინუს ქურუმობის შესახებ;¹⁸⁴
- ჯკრის ფორმის საბეჭდავი, იხსენიება სუფილუიუმა I,¹⁸⁵
- (CTH 58) KBo 12.33 არნუვანდა II-ს ცნობები მამის, სუფილუიუმა I-ის საქმიანობის შესახებ;
- (CTH 40) მურსილი II-ს მიერ შედგენილი „სუფილუიუმა I-ის საქმენი“;¹⁸⁶
- (CTH 61) მურსილი II-ს ანალები;¹⁸⁷
- (CTH 378) KUB 14.14+, ასლი: KUB 23.3; KUB 14.12; KUB 14.13 + KUB 23.124; (CTH 379) KUB 31.121 (+) 121° (+) KUB 48.111 მურსილი II-ს ლოცვის ტექსტები, იხსენიება სუფილუიუმა I; ¹⁸⁸
- (CTH 85) KUB 21.16, KUB 21.24 ცნობა სუფილუიუმა I-სა და მურსილი II-ს შესახებ;¹⁸⁹
- (CTH 92) KBo 1.8+ ხათუსილი III-ს ხელშეკრულება ამურუს მეფე ბენტესინასთან, იხსენიება სუფილუიუმა I;¹⁹⁰
- (CTH 187) ხეთი მეფის წერილი ასურეთის მეფე სალმანასარ I-ს; იხსენიება სუფილუიუმა I-ის გამარჯვებანი.¹⁹¹

ისტორია. თუთხალია III ვაჟი სუფილუიუმა I⁹² (დაახლ. ძვ. წ. 1365-1340 წ.წ.) ხეთების ახალი სამეფოს დამაარსებელი იყო.¹⁹³ მან ქვეყანა ძველი წინა აზიის სხვა ძლიერ სამეფოებს გაუთანაბრა. იგი უნდა ყოფილიყო დაახლოებით ეგვიპტის მეფე ეხნატონის (ძვ. წ. 1354-1337 წ.წ.), ბაბილონის მეფე ბურნაბურიაშის (ძვ.წ. 1345-1319 წ.წ.), ასურეთის მეფე აშურბალიტისა (ძვ. წ. 1353-1318 წ.წ.) და მითანის მეფე თუშრაათას (ძვ. წ. 1355-1335 წ.წ.) თანამედროვე.¹⁹⁴ სამწუხაროდ, უცნობია მისი ტახტზე ასვლის დეტალები.

სუფილუიუმა I-ის მეფობის დროის კუთვნილი ისტორიული ტექსტებიდან უმრავლესობა სახელმწიფო ხელშეკრულებებს, წერილებსა და განკარგულებებს წარმოადგენს. არსებობს აგრეთვე სუფილუიუმა I-ის მიერ შედგენილი ანალების ფრაგმენტები¹⁹⁵ და „სუფილუიუმას საქმენი“-ს სათაურით ცნობილი ტექსტი, რომელიც მის ვაჟს, მურსილი II-ს ეკუთვნის¹⁹⁶ და აგებულების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს სამეფო ანალებად. ამ ტექსტით ვეცნობით

სუფილულიუმმა I-ის ზეობის დროინდელ პოლიტიკურ მოვლენათა მსვლელობას. სწორედ მისი წყალობით ვიგებთ, რომ სუფილულიუმმა უფლისწულობისას მამამის თუთხალია III-ს სამხედრო ოპერაციების თანამონაწილე ყოფილა.¹⁹⁷ როდესაც თუთხალია ქვეყნის საშინაო საქმეთა გამო ლაშქობას ვერ ახერხებდა, მას სუფილულიუმმა ცვლიდა. თავისი მეფობის წლების დიდი ნაწილი მან ანატოლიის საზღვრებს გარეთ (უმეტესად ჩრდ. სირიაში) ლაშქრობებს მოანდომა და თანდათანობით დაიბრუნა დროთა განმავლობაში დაკარგული ტერიტორიები, გაანადგურა უძლიერესი მითანის სამეფო და სირიასა და ლევანტში ეგვიპტელების შემოჭრა აღკვეთა. როდესაც ეგვიპტის ახალგაზრდა ფარაონი ტუტანხამონი გარდაიცვალა, მისმა მეუღლემ სუფილულიუმას უფლისწული სთხოვა ქმრად და ეგვიპტის ტახტზე გასამეფებლად. დიდი ყოყმანის შემდეგ, სუფილულიუმამ უფლისწული ცანანცა ეგვიპტეში გააგზავნა. იგი გზაში მოკლეს. სუფილულიუმამ ეს ამბავი საბაბად გაიხადა, ეგვიპტელებს სირიაში შეუტია და დიდძალი ალაფი წაართვა.

სუფილულიუმამ დედაქალაქი ხათუსა გაამაგრა და ქასქებისაგან დასაცავად „ქვემოთა ქალაქს“ გალავანი შემოარტყა. სირიის დალაშქერის შემდეგ მან ადგილობრივ სამეფოებში ხეთი უფლისწულები გაამეფა და მათთან სამშვიდობო ხელშეკრულებანი დადო. აღმოსავლეთ ანატოლიაში მან ხელშეკრულება დადო აცი-ხაიასას მეფე ხუკანასთან და თავისი და მიათხოვა. თავადაც, სირიაში ხანგრძლივად ყოფნისას, ბაბილონელი მეფის ასული შეირთო, ზოლო შემკვიდრენი ანატოლიელი მეუღლის-ხენთისგან ჰყავდა.

სუფილულიუმასა და მისი ლაშქრის ტავროსის მთებს გადაღმა ყოფნით ისარგებლეს ქასქებმა და კვლავ შეიჭრნენ ხეთის სამეფოში. სუფილულიუმამ რამდენიმეჯერ ილაშქრა მათ წინააღმდეგ, მაგრამ ქასქების საბოლოო დამარცხება ვერ შეძლო.

ხეთური წყაროებიდან ცნობილია, რომ სუფილულიუმამ განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა საგარეო პოლიტიკას. სწორედ ამის წყალობით მოგვეპოვება დიდი რაოდენობით სახელმწიფო ხელშეკრულებანი და კორესპონდენცია. მურსილი II-ს „ლოცვით“ ვიგებთ, რომ ქვეყნის საშინაო საქმეებსა და

რელიგიურ რიტუალებს იგი ყურადღებას ნაკლებად აქცევდა. მეფე ჩივის, რომ მუდამ ქვეყნის საზღვრებს გარეთ მყოფი სუფილულიუმა ღვთაებებს საკადრის პატივს ვერ სცემდა და ამის გამო სამეფო დაისაჯა. მურსილი თავის ანალებში, მეფობის მეხუთე წლის საქმეების თხრობისას ამბობს: „იმ დროს, როდესაც მამაჩემი მითანის ქვეყანაში იმყოფებოდა, არაგანას ქვეყნის მტერი ქისიას ქვეყანას თავს დაესხა“.¹⁹⁸ იგივე მდგომარეობა ჩანს მეშვიდე წელსაც: სუფილულიუმას მითანიში ყოფნის დროს თიფიელი ფიხუნია შემოიჭრა „ზემო ქვეყანაში“ და ისთითინას ქვეყანას თავს დაესხა.¹⁹⁹ მურსილი II-ს „სუფილულიუმას საქმენი“-ში ახსენებს აგრეთვე ხაიასას ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებულ ბრძოლას, მაგრამ სამწუხაროდ ეს ფრაგმენტი დაზიანებულია.

გვიპტელი ტყვეებისაგან ხათის სამეფოს შავი ჭირი მოედო. როგორც ჩანს, თავად სუფილულიუმაც ამ სენმა იმსხვერპლა. სამწუხაროდ, მისი მმართველობის უკანასკნელი წლების შესახებ თითქმის არანაირი ინფორმაცია არ მოგვეპოვება. ვიცით მხოლოდ, რომ მის შემდეგ ტახტზე მისი უფროსი ვაჟი არნუვანდა II ავიდა, რომელიც მალევე რაღაც დაავადებამ იმსხვერპლა.²⁰⁰ არნუვანდას გარდაცვალების შემდეგ ტახტი მომღვენო ძმა მურსილი II-მ დაიკავა.

სუფილულიუმა I-ის ანალები²⁰¹

ტექსტის კვლევის ისტორია. ჩვენს ხელთაა სუფილულიუმა I-ის მიერ შედგენილი ანალების ორი ფრაგმენტი. ეს ფრაგმენტები 1970 წ. პ. ოტენმა გამოაქვეყნა ბოლაზქოის ტექსტების სერიაში KBo 19.49,53. ტექსტის ტრანსლიტერაცია კომენტარებითურთ შემოგვთავაზა ს. ჰაინჰოლდ-კრამერმა.²⁰² პ. გუტერბოკმა ისინი „მეფის მიერ პირველ პირში შედგენილ ტექსტად, თუ წერილად?“ განიხილა, როგორც „სუფილულიუმას საქმენი“-ს ტექსტის 54-55 ფრაგმენტები.²⁰³ ჰაინჰოლდ-კრამერის აზრით,²⁰⁴ ეს ფრაგმენტები თავად სუფილულიუმა I-ს უნდა ეკუთვნოდეს. თავის აზრს მკვლევარი იმით ასაბუთებს, რომ თხრობა პირველ პირშია და ფრაგმენტის ბოლოს კოლოფონს ეხვდებათ: „X [ფირფიტა], დაუბთავრებელი, სუფილულიუმასი, დიდი მეფისა, გმირისა, საქმენი

[... ?] ჯერ არ [გამოუკვეთავთ ბრინჯაოს ფირ]ფიტაზე". იმავე ავტორის აზრით, მურსილი II „სუფილულიუმას საქმენი“-ს ტექსტი მათზე დაყრდნობით უნდა შეეთხზა.²⁰⁵

ტექსტის აკებულება და შინაარსი. 1. KBo 19.53 წინა მხარე II (?), უკანა მხარე III (?) - აღწერილია არცავეს ქვეყნის წინააღმდეგ ჩატარებული მოქმედებანი, რომლებსაც „სუფილულიუმას საქმენი“-ს მე-18-20 ფრაგმენტებში ვხვდებით; ტექსტი იმდენად ფრაგმენტულია, რომ მის აკებულებაზე ლაპარაკი ზედმეტია. საგულისხმოა, რომ თხრობა პირველ პირში ხდება.

ტრანსლიტერაცია და თარგმანი;

1. KBo 19.53 წინა მხარე II (?)

x+1 [...] x-pi-x[...] 2' [...]

3' [...ER]IN^{MES} ANŠE.KUR.RA^{MES} 4' [... I-NA^{HURSA}]GTi-wa-ta-aš-ša-pát e-šu-un 5' [...] x iš-tar-na tar-pa-ni-in 6' [... A-JNA¹A-an-za-pa-ah-ha-ad-du 7' [...] x-at [... ..(.)]-zi (?)...

უკანა მხარე III (?)

x+1 [...] (.) A-NA¹A-[la-an/l-ta-al-li ? 2' [...(.)¹Za-pa-a]l-li I-NA KUR^{URU}[...(.) x 3' [...] pa-]a-un nu nam-ma¹Za-pa-al-li-[in] 4' [A-la-an/l-]ta-al-li-na Ū-UL ū-e-mi-y[a-n]u-un 5' [...] x-na-aš-ša ša-ra-am-ma-na-az ar-nu-nu-un 6' [...] r]a-an-ma +a-lu-kán QA-DU NAM.RA^{MES} GUD^{HLA} UDU^{HLA} 7' [...] nam-ma-aš-ma-aš-ša-an BE-LU^{MES} še-ir tar-na-a+u-un 8' [nu IŠ-TUNAM.R]A^{MES} I-NA KUR^{URUP}[e-da-aš-ša 9' [...] x x x e-pi-ya pi-e+u-te-ir

ფრაგმენტიდან ირკვევა, რომ სუფილულიუმა თივათასას მათზე იყო. შემდგომ ნახსენებია ანცაფახადუ.

შემდგომ სუფილულიუმა გვატყობინებს, რომ კაცების-აღანთალისა და ცაფალის პოენა ვერ შესძლო. როგორც ჩანს, მას ისინი ბოლოს უნდა ეპოვნა და ერთ ადგილას ჩამოეყვანა. ნახსენებია გამოძევებული მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, ქ. ფელასა.

2. KBo 19.49 წინა მხარე I; უკანა მხარე IV + KBo 19.51 (+ KBo 19.54) - აგრეთვე ეხება არცავეს ქვეყნად ლაშქრობის ამბავს.

შესაძლებელია იგი „სუფილულიუმას საქმენი“-ს 27-ე ფირფიტის (KBo 12.26 IV 11 და შმდგ.) პარალელური ტექსტი იყოს.²⁰⁶

KBo 19.49

წინა მხარე I

1. [...] x x-aš-ša-an-zi 2. [...] x IT-TI'A-an-za-pa-a++a-a[d-du]
3. [...] pa-a-an-zi zi-ga!-wa-ma[-x? ...] 4. [...] GUD UDU ša-ra-a
x[...] 5. [...] x pa-iz-zi an-t[u? ...] 6. [...] ú-li-li kat-t[a ...] 7. [...] pa-a-
un^{URU} Al-la-[aš-ša ...] 8. [...] x nu^{URU} Al-la-aš-ša[...] 9. [... ERÍN^M]EŠ-
waANŠE.KUR.RA^M[EŠ ...]

KBo 19.49 უკანა მხარე IV + 51

x+1 [... a]r ?[...] 2' [...] EGIR-pa a-pi-[...] 3' [...]

4' [...] x-ma^{URU} Ha-at-[tu-ša ...] 5' [...] ^{MES} i-ya-nu-un ERÍN^M[EŠ
...] 6' [...ar?+]a tar-na-a++u-un nu x[...] 7' [...] x me-ik-ki ša-a-x[...]
8' [...] x-iš-ta a-pi-el-l[a? ...] 9' [...GUD^{MES}] UDU^{MES} KÙ.BABBAR
GUŠKIN[...] 10' [...^{URU}] Ha-at-tu-ša-an lu-lu-wa-x[...] 11' [...] ha-
ap-pi-ah-hu-un

12' [DUB] x KAM NU.TIL ŠA IŠu-up-pi-lu-li-u-m[a] 13'
[LUGAL.GA]L UR.SAG LÚ-na-an-na-aš 14' [...] -it-kán na-a-ú-i
15' [A-NA TUP-PI SIPARRI a-ni-y]a-an

KBo 19.54

x+1 [...] x[...] 2' [...] ú-e-te-x[...] 3' [...]

4' [. . nu I-NA^URUŠ] Sal-la-pa ar-hu-un [...] 5' [...] x[-d]a-an-na
URU-an ú-e-t[um-ma-an-zi te-eh-hu-un?] 6' [. . .ER]ÍN^{MES}
ANŠE.KUR.RA^{MES} a-ša-an[-du-la-aš ?] 7' [...] x-un NAM.RA^{MES}-
ya-kán x[...] 8' [...] x-wa-da^{URU} Da-ú-i-?[...] 9' [...] x x [...]

ამ ფრაგმენტშიც ნახსენებია ანცაფაზადუ, ნადავლის ხელთ გდება, წ. ალასა, ხათუსა. საინტერესოა, რომ ამ ფრაგმენტში შემორჩენილია კოლოფონი, „X ფირფიტა, დაუსრულებელი, სუფილულიუმასი, დი[დი მეფი]სა, გმირისა, საქმენი, ჯერ არ შესრულებულა [ბრინჯაოს ფირფიტაზე]“.

KBo 19.54-ში ნახსენებია კ. სალაფა.

„სუფილულიუმას საქმენი“

ტექსტის კვლევის ისტორია. „სუფილულიუმას საქმენი“-ს ფირფიტები ბოლაზჭოიში აღმოჩნდა სამ მთავარ „არქივში“: პ. ვინკლერისია და მაკრიდი ბეის მიერ 1906 წ. პირველი არქეოლოგიური გათხრების შედეგად, ბუიუკაალეს დასავლეთ მხარეს, 1907 წ. პირველი ტაძრის წინკარის საწყობში და 1931 წ. კ. ბიტელის მიერ „შენობაში“, ბუიუკაალეს სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, „არქივის შენობაში“. ამას გარდა, კიდევ რამდენიმე ფრაგმენტი აღმოჩნდა შენობასა და I ტაძრის ზემოთ ბორცვზე მდგარ შენობაში, მაგრამ ისინი მთავარ არქივებში აღმოჩენილი ფირფიტების ასლებია. ამის შემდეგ პ. გუტერბოკმა კიდევ ახალ ფირფიტებს მიაგნო.²⁰⁷

„სუფილულიუმას საქმენი“-ს ყველაზე უკეთ შემონახული ფრაგმენტი „ბოლაზჭოის ტექსტების“ სერიით გამოაქვეყნა ბ. პროზნიმ 1921 წ.²⁰⁸ 1926 წ. ე. ფორერმა შეაჯერა მისთვის ცნობილი ყველა ფრაგმენტი და გამოაქვეყნა ტრანსლიტერაცია.²⁰⁹ 1931 წ. ე. კავინომ ეს ფრაგმენტები ფრანგულად თარგმნა.²¹⁰ 1926-39 წ.წ. ა. გოტცემ ფირფიტები ხელახლა გამოსცა KUB სერიაში, ხოლო რამდენიმე ფირფიტა ოტენმა და შტრუმმა 1939 წ. გამოსცეს იმავე სერიაში.²¹¹ პ. გუტერბოკმა 1956 წელს შეაჯერა ყველა მისთვის ცნობილი ფირფიტა და გამოსცა ტექსტის ტრანსლიტერაცია თარგმანითა და კომენტარებითურთ.²¹² ამის შემდეგ KBo და KUB სერიებში 1960-1997 წლებში კვლავ გამოქვეყნდა „სუფილულიუმას საქმენი“-ს ახალი ფრაგმენტები. როგორც გაირკვა, ყველა ეს ფრაგმენტი პ. გუტერბოკის მიერ გამოქვეყნებული სხვადასხვა ფრაგმენტის ასლებია.

„სუფილულიუმას საქმენი“-ს ფირფიტათაგან რამდენიმე მწერლის მიერაა ხელმოწერილი და დანომრილი: ცნობილია „პირველი ფირფიტა“, „მეორე და მესამე ფირფიტა“ და „მეშვიდე ფირფიტა“ (რომელიც ყველაზე უკეთ არის შემონახული და უფრო ვრცელ ტექსტს შეიცავს); ცნობილია აგრეთვე უნომრო ფირფიტები, რომლებიც შინაარსის მიხედვით მეორე-მესამე და მეშვიდე ფირფიტებს შორის უნდა თავსდებოდეს.

1) „პირველი ფირფიტა” 1-8 ფრაგმენტისაგან შედგება და მოიცავს შემდეგ ტექსტებს: ა) IBoT 4.346 + KUB 14.23; ბ) KUB 19.12; გ) KUB 14.22; დ) KUB 31.33; ე) KUB 31.34; ვ) KUB 23.2.

2) „მეორე და მესამე ფირფიტა” შედგება შემდეგი ტექსტებისაგან: 9-17 ფრაგმენტები: ა) KUB 26.84 = BoTU 33; ბ) KBo 14.1 : II 4 და შმღგ. = ა II 1 და შმღგ.; გ) KBo 8.29 = KBo 14.2; დ) KUB 19.11 (+BoTU 34) + KBo 22.12; ე) KUB 19.10 = BoTU 35: I 1 და შმღგ. = დ) IV 11 და შმღგ.; ვ) KBo 14.3 (+ KUB 34.27 + KUB 34.26 + KUB 34.28 + KUB 34.35 + KBo 8.31); ზ) KUB 19.18 = BoTU 37 = ე) IV.

3. გუტერბოკი თავდაპირველად ვარაუდობდა, რომ მურსილის „ათწლიანი” და „ერცელი” ანალების მსგავსად, არსებობდა „სუფილულიუმას საქმენი”-ს ორი ვერსია.²¹³ შემდგომი კვლევის საფუძველზე მან დაადგინა, რომ საქმე ჰქონდა ერთი და იმავე ტექსტის სხვადასხვა ასლებთან და რომ ეს ორი ფირფიტა ერთობლიობაში უნდა განიხილებოდეს: ვინაიდან საანალიზო ტექსტებიდან ზოგი უფრო გრძელ ფირფიტაზეა შესრულებული და ზოგი მოკლეზე, ამიტომ მეორე ფირფიტის ერთი ასლის ნაწილი იმავედროულად მესამე ფირფიტის ნაწილს შეადგენს.²¹⁴

გ) მომდევნო დაუნომრავი ფირფიტები შედგება შემდეგი ფრაგმენტებისაგან: 18-27 ფრაგმენტები: 18. ა) KBo 14.4 (+ KUB 34.31); ბ) KBo 14.5 IV = ა I 3-4; 19. KBo 14.6; 20, 22. KBo 14.7; 21, 23. KBo 14.8; 24. KUB 34.32; 25, 26; ა. KUB 34.23; ბ. KBo 12.27 = ა II 7 და შმღგ.; გ) KUB 40.8 = ა I 8 და შმღგ.; 27. KUB 19.7 = BoTU 43; 27'; ა. KBo 12.26; ბ. KBo 12.25 = ა I 12 და შმღგ. (18-20 ფრაგმენტები).

დ) „მეშვიდე ფირფიტა”. ფრგ. 28: ა) KBo 5.6 = BoTU 41; ბ) KBo 14.9 = ა III 12 და შმღგ.; გ) KUB 31.7 (+ KUB 19.47, BoTU 42) ; IV = 33 ფრაგმენტს; დ) KBo 14.10 = ა II 19 და შმღგ. {xxi 10}; ე) 1. KBo 14.11 = ა I 29 და შმღგ.; 2. KUB 34.25 = ა II 41 და შმღგ.; 3. KBo 14.12 (+ KUB 34.24, KUB 34.30).

ფრაგმენტი 28 მთელი ტექსტის ყველაზე უკეთ შენახული ნაწილია. იგი გადმოგვცემს ქარგამიშზე გამარჯვების ამბავს და ეგვიპტის დედოფალთან მიმოწერას + KBo 14.42 + KUB 19.22 = BoTU 68 = ა I 8 და შმღგ.;

ე) მომდევნო დაუნომრავი ფრაგმენტები: ფრგ. 29-43: 29. KUB 31.25; [30. Cf. #134]; 31. KUB 19.4 (+ KUB 14.9) + KBo 19.45; 32.

KUB 23.8; 34-37. ა KUB 19.13 + KUB 19.14 = BoTU 44 + BoTU 46 + 961/z {HAH}; ბ. KBo 19.50 iv = ა ii 28 და შმდგ. (მე-9 ფირფიტა) (K/19); 38-39. KBo 14.13; 40. KBo 14.14; 41. KBo 14.15; 42. KUB 23.50; 43. KBo 14.16; 43. KBo 19.48 (მე-12 ფირფიტის კოლოფონის ფრაგმენტი) (K/19).

ვ) დაუდგენელი კუთვნილების ფრაგმენტები: ფრგ. 44-53: 44. KUB 31.21 = BoTU 36 - 45. KUB 34.29; 46. KBo 14.17; 47. KUB 31.11; 48. KBo 7.16; 49. KBo 9.75; 50. ა. KUB 21.10 = BoTU 45; ბ. KBo 22.9; 51. KBo 14.18; 53. KBo 22.8; ? . KUB 48.82; ? . KUB 48.84.

საინტერესოა ქ. თენ ქათეს მიერ 1966 წელს გამოცემული სტატია,²¹⁵ სადაც მან „სუფილულიუმას საქმენი“-ს ახლი ფირფიტა გამოაქვეყნა.

მეცნიერი შეეცადა ორი ფრაგმენტი, KBo 14.42 – KUB 19.22 (= 2 BoTU 68) გაეერთიანებინა:

ა 1. [?]a-ap[] X X[] 2. [an-d]a ha-at-ke-eš-š[a-nu-ut] 3. [Š]A KUR^{URU}Ha-ak-pí-iš-š[a] 4. [KUR^{URU}]Ha-ak-pí-iš-ša wa-a[-ah-zi] 5. [] ta-ma-aš-zi nu-kán^{URU}?a-a[k-pí-iš] 6. [^{URU}X-x-]pa-at-ha-aš^{URU}Ták-ku-up-ta-aš[-ša] 7. a-aš-šir

ბ 1. [nu.kán ú-i(tA-BU-Y)]A A-NA DINGIR^{MEŠ} URU^{URU}Hat-ti²¹⁶ Ú A-NA^{DU}TU^{URU}TÚL-na 2. [(AN.TAH. ŠUM^{SAR} da-iš) nu ka]-(a)-aš-pát me-mi-aš na-ak-ki-iš nu ku-ru-ri^{HI}A²¹⁷ku-e 3. [M]EŠ-aš-pát²¹⁸ mi-e-nu-u-e-er²¹⁹ na-at-kán pí-di har-ga-nu-ir 4. [nu-kán A(-BU-YA¹Ha)]-an-nu-ut-ti-in²²⁰ GAL^{LÚ}.MEŠ IŠ I-NA KUR ŠAP-LI-TI 5. [(pa-ra-a na)-a-iš ERÍN^{MEŠ}-ya-aš]-ši ANŠE.KUR.RA^{MEŠ} pa-iš nu GIM-an²²¹ ¹Ha-an-nu-ut-ti-iš 6. [I-NA KUR ŠAP-LI-TI a-ar-a]š na-an GIM-an²²² LÚ^{MEŠ} URU^{URU}La-la-an-da 7. [a-ú-e-er na-at na-ah-ša]r-ri-ya-an-ta-at nu ták-šu-ul i-e-er 8. [na-at EGIR-pa ŠA KUR^{URU}Hat-ti]i ki-ša-an-ta-at ¹Ha-an-nu-ut-te-eš-ma GAL LÚ^{MEŠ} IŠ 9. [A-NA KUR^{URU}Ha-pal-l]a pa-it nu KUR^{URU}Ha-pal-la GUL-ah-ta 10. [nu KUR^{URU}Ha-p]a-la ar-ha wa-ar-nu-ut IŠ-TUNAM.RA.MEŠ-ma-aš 11. [GUD.MEŠ UDU^{HI}]^ š[a-r]a[-a] da-a-aš na-at^{URU}KU.BABBAR-ši ú-da-aš 12. [nu-kán A-BU-YA ... I-NA KUR ...] x pa-ra-a na-a-iš ERÍN.MEŠ-ya-aš-ši 13. [ANŠE.KUR.RA.MEŠ

pa-iš]x-za-al-ta-ya-aš da-pi-a[n] 14. [-y]a-at nu-za^{URU}X 15. []du-ma-an[-] 16. []x x x []

ტექსტის II 8 და 12-ში ნახსენებია *A-BU-YA* „მამაჩემი“, რაც დამახასიათებელია „სუფილულიუმას საქმენი“-ს ტექსტისთვის. მეორე დამასახებელი არგუმენტია ხანუთის, მარშლის დასახელება, რომელიც ჩვენთვის 28-ე ფრაგმენტიდან იყო ცნობილი. მის შესახებ ცნობები მოგვეპოვება აგრეთვე მურსილის „ვრცელი ანალებიდან“, რომ იგი მურსილის გამეფების დასაწყისში გარდაიცვალა.²²³ ჰ. თენ ქათეს მოსაზრებაზე დაყრდნობითა და ტექსტის შინაარსიდან გამომდინარე ვვარაუდობთ, იმის მოუხედავად, რომ შინაარსი გადაბმული არ არის, ფრაგმენტთა ჩასმა შეიძლება ე. წ. „მეშვიდე ფირფიტის“ შემდგომ.²²⁴

ტექსტის აგებულება და შინაარსი.

ტექსტში აღწერილია სუფილულიუმას ტახტზე ასვლიდან ოცი წლის მმართველობის პერიოდი.

შესავალი: მურსილი II-ს ტიტულატურა; ნახსენებია ხაიასას ქვეყანა, თუთხალია III, ქანთუცილი; ქ. არციას დარბევა, ნადავლის წამოღება; ნახსენებია თუთუ, ქ. სალამფას დაწვა; ნახსენებია ნანის მთა, ცითარას ვაჟი, ქალაქი ხა(ლფამუვა?); ნახსენებია ხაიასელი მტერი, ქასქელი მტრის დამარცხება, ტყვედყოფილების სამუხაში წამოყვანა; არცავასთან წარმოებული ბრძოლები; ნახსენებია ანცაფაზადუ; ქალაქები: ისსუფითა, არმათანა, ისუვა, ხაიასას ქვეყანა; ნახსენებია მითანის მეფე თუშრათა; ქასქებთან წარმოებული ბრძოლები; ქ. ალმინა; ეგვიპტის დედოფლის წერილი; ხეთი უფლისწულის გაგზავნა ეგვიპტეში; ქასქებთან წარმოებული ბრძოლები;

თარგმანი:

I ფირფიტა ფრაგმენტი 1

„ასე ამბობს ჩემი მზე, მურსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, გმი[რი, სუფილულიუმას ეაჟი, მეფისა], ხათის ქვეყნისა, გმი[რისა. თუთხალიას შეილიშეილი], ხათის ქვეყნის მე[ფისა, გმი[რისა]: [როდესაც თუთხალია], ბაბუაჩემი [...] შორს [...

ფრაგმენტი 2

(დასაწყისი დაკარგულია) ფარა[- ...]-ილი, თელიფინუ, [...] (ქალი) ხარაფშითუ[...]-ში [...] გააკეთა. [...] ხაიასას ქვეყანა [...] თუთხალოას, ბაბუაჩემს თუთხა]ლიამ თავად [...].

მაგრამ [შემდგომ, ქანთუცი[ლის, თუთხალოას ვაჟის (?)] დროს, [...] იგი, და კვლავ [...] იგი. შემდგომ [...]. მაგრამ ისე მოხდა, რომ იგი [...] -ს დროს [...] და იგი კვლავ [...]

ფრაგმენტი 3

შემდგომ [...] კვლავ [...] ქანთუცი[ლი ...] დაიპყრო. ლაშქარი [...]. მაგრამ შემდეგ მან კვლავ გასწია [...] და (ქალაქი) არცია [მან...] და ქ. არციას სავანძური, [წარტყვევნილი მოსახლეობა], მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი, რომელიც მტერს ჰყავდა [...]. ქანთუცილიმ კვლავ [...] და მტრის ლაშქარი დიდი რაოდენობით დახოცა.

ხოლო [წარტყვევნილი მოსახლეობა [...] მას[თან] ერთად, [...] არციას ქვეყანა

ფრაგმენტი 4

ბოლოს [მან] აღარ დააყოვნა [...] და უკან დაბრუნდა [...]. და [...], რომელიც თუთუს [...], რადგან თუთუმ უკურადღებოდ დატოვა [...], ბაბუაჩემ[მა...], და (ქალაქი) სალაფა ცეცხლში ... [...დაწვა. როდესაც ბაბუაჩემმა ცეცხლი წაუკიდა ქალაქს, [...], რადგანაც ქალაქი მის [...] -ს ეკუთვნოდა (?) და ამის გამო იგი [...] მას, პაპაჩემმა [...] ჩასაქრობად (იგი) მოვიდა და ცეცხლი (?) ჩააქრო. [ხოლო] თუ[თუ ...]. მაშინ ბაბუაჩემმა [უთხრა ... -ს: „...] გააგ ზავნე! და [მან გააგ ზავნა] იგი. [...] მსახურები [...], რადგან [...

ფრაგმენტი 5

...[... ქალაქის ჯარი] ...თაფა[ლი თუთუ]სთან ერთად [იყო] რვა კაცი, [...მათთან ერთად (ქალაქ] თა[...-ში?] თუთუს [...].

[...მასთან] ერთად (ქალაქ) ხათამი[ში ...] თუთუსთან [ერთად იყო] რვა კაცი [...(ქალაქ)] დუ[...-ში] [...]

ფრაგმენტი 6

(დასაწყისი მომტვრეულია) და ღვთაებებმა [...]. და ლაშქარი [...] და [...], რომელიც მას [...] ჯარი [...], ჯარი წინ [...]. და იგი [...] თუთუს [...]

ფრაგმენტი 7

ფრაგმენტი 8

(დასაწყისი მომტკვრეულია) [...] ამ მტე[რმა... და] პაპაჩემი[...] საგან პირი იქცია და [გასწია ...]-ში. ხოლო როდესაც იგი მთა [ნანის] მიაღგა, მთა ნა[ნიზე ...] ხოლო მამაჩემი [...] წინ და ქალაქის ციხიონმა [...] -ს [და] ვინც აღდგა (?) საბრ[ძოლველად ..., მან შეუ]ტია [მას] და მოსახლეობა [...] მთა ნანიზე [...] წინააღმდეგ. ხოლო როდესაც პაპაჩემი [ქვეყნის] მოწესრიგებას შეუდგა, [...], ცითარას ვაჟმა [მოახსენა მას] (ქალაქ) ხა[...], „ხალფაშუვა, რომელიც [...] ქვეყანაში, [...] (სვეტიის დასასრული, ტექსტის გაგრძელება დაკარგულია).

მეორე და მესამე ფირფიტა

ფრაგმენტი 9

—

ფრაგმენტი 10

...ხოლო როდესაც მამაჩემმა [გზა განავრძო], მას [არ] შეხვედრია ხაიასელი მტერი [...-ს] ქვეყანაში. ასე რომ, მამაჩემმა [ხაიასელი მტრის] შეძღვევ გზა განავრძო, მაგრამ კვლავ არ შეხვედრია მას. (ხოლო) ქასქელ მტერს, მთელ მათ ლაშქარს იგი [ქვეყანაში შეხვდა]. და ღვთაებები მასთან იყვნენ: [ქ. არინას მზის ქალღვთაება], ხათის ამინდი ღვთაება, ლაშქრის ტაროსის ღვთაება, ბრძოლის ველის ღვთაება იშთარი (ისე, რომ) მტ[ერი] დიდი რაოდენობით დაიხოცა. მან მრავა[ლი] ტყვედყოფილი [წამოიყვანა] და სამუხაში დააბრუნა.

[მამაჩემი კვლავ გაემართა [სამუხადან]. და [ქვეყანაში (?)], რომელიც მტრის მიერ განადგურებული იყო, იქ დახვდა მტრის მთელ[ი] ჯარი. [...-ც კი] და მწყემსები [მოვიდნენ] საშველად. [მამაჩემმა] ხაფანგი დაუგო [მათ] და [გაანადგურა] ქასქები. დამხმარენი, რომლებიც მოვიდნენ, [ისინიც გაანადგურა], (ისე, რომ) ქასქების ლაშქარი და მაშ[ველი] ლაშქარი [დიდი რაოდენობით დაიხოცა]. ტყვეებს, რომლებიც [მან ხელთ იგდო, თვლა არ ჰქონდათ].

[...] ზემო ქვეყანა [...].

ფრაგმენტი 11

[,...] წავიდეს! [...] იქ ...[...], რადგან [...არ(?)] მოკვდება, მოკალი იგი [... !]" -ასე მოახსენა მამაჩემმა პაპაჩემს: „ჩემო მბრძანებელი! გამგზავნე მე ამ [ბრძოლა]ში! ღაე, რაც ჩემს [გულშია], ღვთაებებმა შეასრულონ!"

ასე გაგზავნა პაპაჩემმა მამაჩემი ქ. სამუხაში. [ხოლო როდესაც მან (მამაჩემმა)] ხათის ქვეყანას მიადგინა, მას შემდეგ, რაც [ქ. ქუჩი] მტერმა გადაწვა, მამაჩემმა დაიწყო ...

[ხოლო მამაჩემს/პაპაჩემს] მოუტანეს [სიტყვა: [...]. მოიყვანეს ქასქები (ქალაქ) [ვაშხაჩიაში. [...] ვაშხანია [...], წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წერილფეხა საქონელი ...-ის სასახლისა [...] მთა ფივა[სი] (?) [...] ხათუსადან [...]. და ქასქები [...

ფრაგმენტი 12

...[...] უკან [...] მამაჩემს [...(ქალაქ ნე(?))ჩისთანქუვა [...] ...[...] ...[] .-თან ერთად. და მან [...] იგი

[ხოლო როდესაც მამაჩემი/პაპაჩემი დაბრუნდა] ხათის ქვეყანაში, მათ მას [სიტყვა] მოახსენეს: „ქასქელი მტერი იერიშზე გადმოვიდა [...]“. (სვეტიის დასასრული; ტექსტის გაგრძელება დაკარგულია).

ფრაგმენტი 13

[როდესაც მამაჩემმა] ეს გაიგონა, ჩაფიქრდა [...] მან ხაფანგი დაუგო [...] წინ, ხოლო მტერი, რომელიც(?) მოვიდა [... -ში], მან [დაამარცხა (?)] ისინი. [ქასქებმა (?)] ტყვეთაგან შეკრიბეს ცხრა მეზობელი რაზმი. [.. რომლებიც ...] ჰყავდა, მან [...] მას და ყველა [წავიდა] თავის საკუთარ [ქალაქში]. ხოლო როდესაც მამაჩემი [(თავის) ლაშქართან ერთად] მოვიდა, ქასქელ მტერს შეეშინდა და იარაღი ძირს დასწია..

ხოლო ამის [შემდეგ] მამაჩემმა მთელს ქვეყანაში ააშენა სიმაგრენი და იმ ქალაქებში, რომელიც მტერმა დააცარიელა, მოსახლეობა დააბრუნა, ყველა თავის ქალაქში, და ისინი კვლავ დასახლდნენ ქალაქებში.

ხოლო პაპაჩემი ისევ კარგად შეიქნა, ზემო ქვეყნიდან ქვემოთ ჩამოვიდა. და როდესაც მასა და ქამლას ქვეყნების ლაშქარი ხულანას? მდინარის ქვეყანას უტევდა, პაპაჩემმა მათთან საბრძოლველად გასწია. ხოლო მამაჩემი ბაბუაჩემს ამ ბრძოლაში თან ახლდა. ღვთაებები შეელოდნენ პაპაჩემს, იგი წავიდა (და) გაანადგურა მასა და ქამლას ქვეყნები. რადგან პაპაჩემი ქამლას ქვეყანაში [იყო], (და) მამაჩემიც თან ახლდა მას, ქასქელმა

მტერმა კვლავ ჩასცა ზურგში მახვილი და მტერმა იაყარ-კყო ქალაქები, რომლებიც მამარეშმა აღრე გაამაგრა.

ხოლო როდესაც პაპაჩემი უკან [დაბრუნდა] მასას ქვეყნიდან, ქთხარასა და ქაზაფას ქვეყნიებიდან, (ქალაქი ხათუსა) ინგრიოდა და იძარცვებოდა ქასქების მიერ: (გაპქონდათ) სავანძური, ვერცხლი, ოქრო, ბრინჯაოს ნივთები და ყველაფერი. პაპაჩემმა იერიში მიიტანა ამ ქალაქებზე. [მაშინ] ღვთაებები დაეხმარენ პაპაჩემს (და) მან გაანადგურა ქთხარია და ქაზაფა (ქალაქები) და გადაწვა ისინი(და) მთელი ქასქელი ლაშქარი, რომელიც მივიდა ქ. ქთხარას საშველად. ღვთაებების შემწეობით პაპაჩემმა დაამარცხა ქასქელი ლაშქარი დამრავალი მათგანი[...]. დაიღუპა.

ხოლო როდესაც პაპაჩემი უკან დაბრუნდა, მან ხაიასას ქვეყნიასკენ გასწია. და მამარეში კვლავ მას ახლდა. და როდესაც პაპაჩემმა მოაღწია ხაია[სას] ქვეყანას, [მოვიდა] ქარანი (ლანი?), ხაიასას მეფე (შეეგება ქალაქ) ქუმახსთან [...]

მესამე {ფირფიტა}, (ტექსტი) დაუსრულებულია, სუფილულიუმას საქმენი, დიდი მეფისა, გმირისა.

ფრაგმენტი 14

[... ქასქებს ხა]ფანგი დაუგო. [...ფია]ფილი [...] მათ მოკლეს. ... [...] ფია]ფილის ...[...] არ ჩაუდენია ცუდი. ხოლო [როდესაც] პაპაჩემმა შეიტყო [...] ფია]ფილი. როდესაც პაპაჩემი ისევ [ავაქ] იყო, პაპაჩემმა ასე (თქვა): „[ვინ] წავა?“ ასე (მიუგო) მამარეშმა: „მე წავალ!“ [ასე] გაუშვა პაპაჩემმა მამარეში (საბრძოლველად).

როდესაც მამარეშმა მოაღწია ქვეყანას, (ნახა, რომ) ხათის ქვეყანაში შემოსული ქასქელი მტერი, ქვეყანას ავად მოექცა. ქასქელი მტერი, რომელსაც მამარეში ქვეყანაში შეხვდა, 12 ლაშქრისგან შედგებოდა. ღვთაებებმა უშველეს მამარეშს, (ისე, რომ) მან შეაჩერა ქასქელი მტრის ლაშქარი, სადაც კი მისწვდა მათ. მიტაცებული ნაღველი წაართვა და ხეთებს უკან დაუბრუნდა. ხოლო პაპაჩემი კვლავ გამოჯანმრთელდა და ზემო ქვეყნიდან ქვემოთ ჩამოვიდა. მან მოაღწია (ქალაქ) ცითხარას, იგი შეხვდა მთ[ელ] ჯარს (ქალაქისას) [...] ცითხარაში. და ღვთაებები შეეწიენ პაპაჩემს, (ისე, რომ) მან დაამარცხა [მტერი]. (ქალაქის) ჯარმა [...] ქვეყანა [...] მტერი [...]] ჯა[რი ...] (ქალაქი) [...] ბაბუაჩემ[მა ...] გაიგონა „ ...“, მაგრამ მას,

რომელსაც [...] რაღაც ...[...] კასქე[ლი] არ[ცაველ] მტერს
[...] ...[...”].

[ასე (მიუვო) მამაჩემმა] პაპაჩემს: [„ჩემო მბრძანებელო! (?)
არცაველი [მტრის] წინააღმდეგ [გამიშვი]“ [ასე გააცხვენა პაპაჩემს
მამაჩემი (?)] არცაველი მტრის წინააღმდეგ. და როდესაც
მამაჩემი [მიდიოდა(1)], პირველ [დღეს (?) იგი მიაღვა(?) (ქალაქ)...]-
ასხას. [ღვთაებები] დაეხმარენ [მამაჩემს: ქ. არინას შვის ქალღვთაება,
ხათის] ტაროსის ღვთაება, ლაშქ[რის ტაროსის ღვთაება და
ბრძოლის ველის ღვთაება იშთარი, (ისე, რომ) მამაჩემს დაამარცხა]
არცაველი [მტერი...] და მტრის ლაშქარი [მოისრა] დიდი
[რაოდენობით ...]. არცაველი მტერი კი მამაჩემმა [...], და მან
დაამარცხა იგი. [...] მაგრამ შემდეგ კვლავ სამ ლაშქარს შეხვდა
[...-ში] და დაამარცხა ისინი. [...] მაგრამ შემდეგ კვლავ შეხვდა
[... ლაშქარს ... -ში] და მამაჩემმა [დაამარცხა ისინი, (ისე, რომ)
მტრის [ლაშქარიდან მრავალი დაიხოცა. [...] მთელი მოსახლეობა
[...] მას დული, [...(?)] და ნახირუვა [...].

ფრაგმენტი 15

[... მთქა აღინაზე (?) [...] და იგი (თავის) საგანბურთან [...]
თავიდან აავ[ეს]. [ხოლო როდესაც (?)] მან მიაღწია [...-ს], მათ
მოუტანეს [სიტყვა] მამაჩემს [...]: „მტერი, რომელმაც გასწია
(ქალაქ) ანისასკენ, ეხლა (ქალაქი) [...] -ისას ქვემოთა“. (ასე
რომ) მამაჩემმა გაილაშქრა მათ წინააღმდეგ. და ღვთაებანი
დაეხმარენ მამაჩემს: ქ. არინას შვის ქალღვთაება, ხათის ქვეყნის
ტაროსის ღვთაება, ლაშქრის ტაროსის ღვთაება და ბრძოლის
ველის ქალღვთაება, (ისე, რომ) მან დაამარცხა ეს ლაშქარი და
დიდძალი მტრის ლაშქარი დაიღუპა.

ამის შემდეგ მას შემოხვდა ექვსი ლაშქარი (ქალაქ) ხუეანა[-
...]-ში და მან (მამაჩემმა) დაამარცხა ისინიც, (ისე, რომ) მტრის
ლაშქარი დიდი რაოდენობით დაიხოცა. ხოლო შემდეგ კიდევ
შვიდ ლაშქარს შეხვდა (ქალაქ) ნი[-...]-ში და საფარანდაში
და დაამარცხა ისინი, (ისე, რომ) მტრის ჯარი დიდი რაოდენობით
დაიღუპა. ამის გარდა არცაველი მტერი იყო თუფაცას ქვეყნის
გარეთ ამუნას მთაზე თავდასასხმელად (ჩასაფრებული?), მაგრამ
რამდენადაც მოკავშირე (?) ანა (?) შეელოდა (?), მან შეუტია
ამუნას მთას, თუფაცას ქვეყანას და [...] ტმას და დაიპყრო.
მათ შორის წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და
წერილფეხა საქონელი. ხოლო როდესაც მან მიაღწია (ქალაქ)

თუვანუვას, იგი თუვანუვას ქვემოთ გაჩერდა და ჩაერთო ქ. თუვანუვასათვის ბრძოლაში. მაგრამ მამაჩემმა დაამარცხა მტერი (ქალაქ) [...], ნახურასა და საფარანდაში. შეძლევ იგი [გაე]მართა უკან (ქალაქ) თივანცანაში ღამის გასათევად და მამაჩემმა დაიძინა ქ. თივანცანაში.

დილით მამაჩემი გაეშვ ზავრა თივანცანადან ქვეყანაში, (რადგან) ზურვს მას ეტლოსნები და ექვსი ცხენოსანი ლაშქარი უმაგრებდა. როდესაც მამაჩემი გაეშურა, მტერს ერთბაშად გადააწყდა(?) და მამაჩემი მას შეებრძოლა. შეძლევომ ღეთაებები დაეხმარნენ მამაჩემს: ქ არინას შხის ქალღეთაება, ლაშქრის ტაროსის ღეთაება, [ბრძოლის ველის ქალღმერთი იშთარი], (ისე, რომ) მან (მამაჩემმა) დაამარცხა მტერი. [და] რადგანაც [...] იყო [შე]ტად(?), მან წაასხა მათ მიერ მიტაცებული წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. [როდესაც] მტერმა წაასხა განძეულობა (?), იგი გაიქცა და მთა დაიკავა. [და (?)] მათ დაუშინეს ისრე[ბი]. როდესაც მამაჩემმა იხილა იერიში, მან ზემოთ ქ. თუვანუვასკენ გასწია [და] შეკრა[...].

[რადგან] მამაჩემი ზემოთ ქ. თუვანუვასში გახლდათ, მისი ლაშქარი და ეტლები [იქ] მივიდნენ.

[...ლაშქარი და ეტლები] (ქალაქ) ხალი[-... -ს ქვემოთ, უთხრეს] სიტყვა ხათუსაში: [... .] ლაშქარი და ეტლები [..." ...] ... იყო მამაჩემთან ერთად(?) [...] წავიდნენ და მამაჩემი [...]

ფირფიტის დასასრული. კოლოფონი: მეორე ფირფიტა, (ტექსტი) დაუსრულებელია, სუ[ფილულისუმ]ას [საქ]მენისა [ხელი ...]-სუ-ციითი-სა(?).

ფრაგმენტი 16

...-ის მეფე, ლაშქარი [...], ახალგაზრდობა. [...] ჩვენ [...] მეფე [...]-ისა. და [...] მდინარე [...] წავი[და...]. და [...] შეხვდა [...] წინააღმ[დეგ ...]. და [...] -ს. და [...]

ფრაგმენტი 17

მამაჩემის წინააღმდეგ [...].

შეძლევ ღეთაებები დაეხმარნენ მას, [(ისე, რომ) მან დაამარცხა მტერი, და მტერი] დაიხოცა [დიდი რაოდენობით]. მაშველებმა(?) [...] თაქური [და] ხიმუილი [...].

და როდესაც მან მოსრა მტერი, მან დაამარცხა [...] და იგი კვლავ [ხეთის ქვეყანად] აქცია. შემდეგ [იგი წავიდა] (ქალაქ) ანცი[ლიაში ...].

და როდესაც ქალაქი ანცი[ლია ...]. ხოლო მამაჩემი არქარ[და ...]. და როდესაც მამაჩემმა ..., მათ მოუტანეს სიტყვა მამაჩემს: „მტერმა, რომელიც [... იყო, ახლა [შეუტია(?) (ქალაქ) სა] და ქ. ფარგალას.

„მაგრამ ამასთან ერთად [მან შეუტია(?) (ქალაქებს) ...], ხათინასა [და] ხა[- ...-ს] და ხელთ იგლო [მათი განძეულობა, წარტყვევნილი მოსახლეობა], მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და [...]“ როდესაც მამაჩემმა შეიტყო (ეს), მან... და ხაფანგი დ[აუკლო მტერს. [და ღვთაებები] დაეხმარენ [მამაჩემს, (ისე, რომ) მან დაამარცხა] მტერი და დიდძალი მტრის ლაშქარი დაიხოცა]

ხოლო წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა, წვრილფეხა საქონელი და ქონება, რომელიც [მტერმა მიიტაცა], მან წაართვა და დაუბრუნა ხეთებს. შემდეგ [...] (ვანაგრო) ვ ზა [...].

(ფირფიტის დასასრული, ტექსტის გაგრძელება დაკარგულია).

ფრაგმენტი 18

...(ქალაქების) ფეთასა და [მხუიარასს] მზვერავი(?) ლაშქარი, [რომლებმაც] წაიღეს [...]... არცა[ვას] ქვეყანაში, ისინი მან (ანცაფახადუმ?) უკან წამოიყვანა [და] დაასახლა [კვლავ (?)] თავიანთ ქვეყნებში.

ხოლო შემდგომ, რადგან [მამაჩემი(?) ებრძოდა [-]-ს, (ქალაქები) მხუიარა[სა, ...] და ფეთა აღუდგნენ]. და იგი წავიდა [...] არცა[ვას] ქვეყანაში ანცაფახა[დუს...] შესახვედრად. და მათთვის (?) ანცა[ფახადუმ, ...] ალალოთალი, ცაფალომ [...] მართავდა მას. [ხოლო] მამაჩემმა [მისწერა [ეს ანცაფახადუს]: „ეს (არის) ჩემი ნივთები [...], ხოლო შენ მე წამ[ართვი ის]ინი! და [...] ...[...]

[...] ბრძოლისათვის [...]“ და [მან ...] მას [...; ...] ჩემი ნივთები ზემოთ ქა[ლაქში ...]“. და ისე მოხდა, (რომ) მამაჩემმა [...] [ას]ე თქვა: „წადი [ის ქვეყანაში და] მომეცი [მე ჩემი ქონება უკან! მაგრამ თუ [მაინც არ] მოიტან ჩემს ნივთებს? მაშინ იქნები [ჩემი მტერი და] იქნები . . [...]“ [...] მამაჩემმა [...]] ქ. არცა[ვას] ხალხს [...] და მან [...] არ მოიტანა არაფერი.

[ხოლო] ამის შემდომ მამაჩემმა გაავზავნა ხიშილი, სარდალი [და მისცა მას(?) ფეხოსანი და ეტლო]სანი ლაშქარი [ხათის

ქვეყნისა ერთიანად და წაეიდა არცაეას ქვეყანაში. [როდესაც] იგი [მოვი]და არცაეას [ქვეყანაში], მან [...] მირას ქვეყანა [...]

ფრაგმენტი 19

[...] დაამარცხა [...]. ხოლო (ქალაქი) მაუირასი [...] და ქ. არცაეას მთელი მოსახლეობას ეჭირა [მთა თივათასა, მაგრამ ... (ზეთმა სარდალმა)] დაიკავა მთა ქურივანდა ბრძოლით და დაბრუნდა იქ და სამი გამაგრებული ბანაკი... მაგრამ მტერმა დაიპყრო [მთა თივათასა] ძალით. [...], ალანთალი [და] ცაფალი [იყვნენ ...] მთა თივათასს ქვემოთ(?). [...] იგი გარს შემოურტყა მას და [დაიპყრო(?)] იგი. [ხოლო] როდესაც [მან] დაიპყრო იგი, [] მოვიდა ფეხოსან და ეტლოსან ლაშქართან [ერ]თად და მან [...]

როდესამ მამაჩემმა ე[ს] შეიტყო, [მან... და] დაიპყრო მთა. [და მან მისწერა მას: „მოდი, შემებრძოლე!“] [მაგრამ] ანცა[ფაზადუ] არ [...] მოვიდა საბრძოლველად და იყო [...]. მთის ძირში და მან [...] უთხრა [...]

ფრაგმენტი 20

[...ეტ]ლები [...].

[როდესაც] მამაჩემმა გაიგო[ნა ...], მან მისცა [ფეხოსანი და ეტლო]სანი ლაშქარი [მამალის] და [...]. და [მტერი(?) დაეწია (?)] მამალის გზა[ზე] და [დაამარცხა] მისი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი (და) წარტყვევნილი მო[სახლეობა]. ხოლო მამალი მარტო დაი[ლუპა(?) ...]. ხოლო მამაჩემმა დატოვა (?) მთა თივა[თასა]. ხოლო როდესაც ცაფალი [და ...] აღარ [იყვნენ(?)], ალყაშემორტყმულნი წავიდნენ [...] (ქალაქ) ზაფალაში. [ხოლო] მამაჩემი [...], და ასე მის ეტლებს [...]

ფრაგმენტი 21

[...] ცული იყო. [...] მათ ცული რამ გადაწყვიტეს. [...წა]ვიდა თავისით მტრის შესახვედრად და [...] იგი მათ მტრის წინ. [...] ისინი [...] იერიშისთვის [...]. და მან საკუთარი [...] (მეტად ფრაგმენტულადაა) [...] მეფობა [...] ყველა [...] პქოდა [...]

ფრაგმენტი 22

[...], რომელიც [...] (ქალაქი) დუმა(ნა?) ...[...]- და (ქალაქ)დუმ[ა(ნა)ში ...] დუმა, ქალაქი, [...].

ფრაგმენტი 23

ნახსენებია: [ისხუ]ფითა, არმათანა; მიმართვა: "მე არ წავალ!" [(ამდენი და ამდენი) რე]მა ცხენებისა; ხოლო რადგანაც ქვეყანა

არმათანა მტრულად იყო განწყობილი [...] (სვეტის დასასრული, ტექსტის გავრძელება დაკარგულია).

ფრაგმენტი 24

[...თვითონ აჩქარ[და...] ლაშქარი [...] მოვიდა [...] მტერი [დაიხოცა] დიდი რაოდენობით. [...] (ქლაქ) არმათანას მთელი [...] მან დაიპყრო [...] და [...] იგი.

[...(ქვეყანა)] არმათანა [..."] მე წავალ!" ას[ე (თქვა) ,...] ლაშქართან ერთად [...] ქ. ხატისა, რო[მელიც ...] ჩვენ [...] არ [...

ფრაგმენტი 25

[...] ლაშქარს [...ხალ]ხი ქ. ხულ[- ... წაქეცა [...] უტევდა [...] რომე[ლილაც] მდიდარ ქა[ლაქში(?) ...ხა]თისა მან ხელთ იგდო და [...] მათი მამ(ები), დედ(ები) (და) მათი ძმები [...] თავის საკუთარ მამად დედად და [...], რომელიც [წავიდა] ზემოთ [...] (მან) წაასხა მოსახლეობა, მსხვილფეხა და წერილფეხა საქონელი, [და] მიიყვანა [ისინი ...]. და ყველა აიყვანა [...]. მაგრამ ქლაქ ისუვას ხალხი იყო [...] და მათ, (ნიეთები, რომლებიც) წაიღეს, მათ [-] მაგრამ ხელმა წარტყვევნილი მოსახლეობა მათ [..., ...] (მან) წაიღო. [...] ... (მან) დ ატოვა [...]

(მან) მოიტანა. [...] (იგი) იყო. ხოლო მამაჩემმა [...] შური იძია [...] წინააღმდეგ. [და] წავიდა ცუხაფას [ქვეყანაში] და [დაწვა] იგი: [რაც ქლაქის] შემოგარენში იყო, [იგი] დაწვა და ცუხაფას ქლაქის [ყველაფერი] გა[დაწვა] (აგრეთვე). ხოლო გამოძევებული მოსახლეობა წავიდა [...] (ქვეყანა) ხაისაში, [...] და მათ [...] ისინი მთა ლახადან.

[...], რომელიც [...] ისუვას ქვეყანაში [...]; ისინი ეკუთვნოდნენ ხათის ქვეყანას. [...] რალაც ვილაცას [...] ზამთარშიც კი (იგი) წავიდა [და] შეუტია [...] სენის [ქვეყანას]. ხოლო წარტყვევნილი მოსახლეობა, [მსხვილფეხა და წერილფეხა საქონელი და ბრინჯაოს [ნიეთები], რომლებიც ჯარმა დატოვა [... -ში, ის ბრინჯაოს ნიეთები] მან იქიდან მოიტანა. [...] (იგი) მოვიდა და ისუვას ქვეყანა [...], რომელიც ისუვა[ში(?) ...] ეტლები [...

ფრაგმენტი 26

ბრძოლიდან [...] და წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა [და წერილფეხა საქონელი ...] უკან ლაშქარს [...], რომელიც ... [...]. შემდეგ ხა[თის] ქვეყანაში [...] ცარიელი ბეღლები [...] და მას [...] 370[+ ...].

ხოლო როდესაც [მამაჩემი ...], ამის შემდეგ მითანის მეფეს გაუგზავნა წერილი და [მისწერა] მას შემდეგი: „...მე] მოველი ადრე [...] (ქალაქი) ქარგამიში, ქა[ლაქს...] მე შევეუტიე, ხოლო მას [ასე მივწერე]: „მოდო! ვიბრძოლ[ოთ]“ მაგრამ იგი არ მოვიდა [საბრძოლველად]. ასე რომ ეხლა [...] და ქვეყანა [...]. ასე რომ მოდი დავიბრძოლოთ! [...]“. მაგრამ იგი დარჩა [ქალაქ] [ვაშუქანიში], მან არ [მიპასუხა(?) ...] და არ [მოვიდა] საბრძოლველად. [ასე რომ მამაჩემი წავიდა] იქ [მის შემდეგ. მოსავალი, რომელიც იყო [..., ...] ვაშუქანი[ში ...], იქ საერთოდ არ იყო წყალი [...ქალაქები, რომლებიც [...იყო] გაძარცვული (?) [...] გარშემო [...] ჩაღით (?). და კვლავ [...დასალევედ [...მამაჩემს [...

ფრაგმენტი 27

ხორბალი [...]. ხოლო როდესაც [...] და (ქალაქი) ქინცა [...] დაიწვა [...] ლაშქარი [...] და ბატონებმა ზემოთ [...] ნუხასის ქვეყანაში [ჩემს] ბმ[ას(?) ...]. და ისინი, ორივენი, მოვიდნენ მამა[ჩემთან ...] და ისინი [დარჩნენ ...-ში] მამაჩემთან ერთად...
კოლოფონი: [საქმენი სუფილულიუმასი], დიდი მეფისა.

„მეშვიდე“ ფირფიტა

ფრაგმენტი 28

როდესაც იგი მთა ცუქუქიდან დაბრუნდა, აავო ორი ციხე-სიმაგრე, ათხულისა და თუხუფურფუნა. და როდესაც იგი ქალაქებს აგებდა, მტერი ტრაბაზობდა: „ქვემოთ ალმინას ქვეყანაში მას არასდროს არ (შემოვეუშვებთ)!“ ხოლო როდესაც მან დაასრულა ქალაქების შენება, იგი წავიდა ქალაქ ალმინაში და ვერც ერთმა მტერმა ვერ შეკბუდა მას ბრძოლა.

ასე რომ იგი წავიდა და გადაწყვიტა (ქალაქ) ალმინას გამაგრება. უკან ლაშქარში ჭირი გაჩნდა. მაშინ მამაჩემმა მთა ქუნთიაზე ბანაკი დასცა. ხიმუილი, სარდალი მდინარე სარიაზე გამაგრდა, ხოლო მთავარსარდალი ხანუთი, (ქალაქ) ფარფარასთან გამაგრდა. ხოლო შეიარაღებული რაზმი (კვლავ) იცავდა ქალაქ ალმინას. და ამის გამო ქასქების მთელი ქვეყანა მშვიდად იყო. ხეთი მოსახლეობის (ნაწილი) ცხოვრობდა ქასქების ქალაქების უკან (ისინი, ვინც) უკან დაბრუნდა ქალაქში.

ხოლო როდესაც ქასქებმა ნახეს, რომ ჯარში ჭირი გაჩნდა, მათ თავიანთ ქალაქებში დაბრუნებული მოსახლეობა კვლავ შეიპყრეს.

ზოგი მოკლეს, ზოგი კი ტყვედ აქციეს. შემდეგ მტერი ღამით მოვიდა და შემოეწყო. ისინი გაეშურენ ყველა გამაგრებული ბანაკისაკენ, რომლებიც სარდლებს ეყრათ. რომელ გამაგრებულ ბანაკთანაც მივიდოდნენ საბრძოლველად, (იქ) მამაჩემის ღვთაებები შეელოდნენ სარდლებს (ისე, რომ) მათ ყველანი დაამარცხეს და მტერი დიდი რაოდენობით დაიხოცა. და გურავინ შებღა მამაჩემის გამაგრებულ ბანაკს. მამაჩემმა დაამარცხა მტერი და ქასქელ მტერს ეშინოდა მისი.

იმ დროს, როდესაც იგი ქ. აღმინას ამაგრებდა, მან ურავანი და ქუვათნა-ციითი, „დიდი მწყემსი“ წინ გაავზავნა ქასულას ქვეყანაში საიერიშოდ. და მამაჩემის ღვთაებები დაეხმარენ მათ, (ისე, რომ) მათ დაიპყრეს მთელი ქასულას ქვეყანა და მამაჩემს მოუყვანეს მათი წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი. წამოიყვანეს ათასი წარტყვევნილი მოსახლეობა.

შემდეგ მამაჩემმა დაიპყრო თუმანას მთელი ქვეყანა და განაახლა იგი და კვლავ ხეთის ქვეყნის ნაწილად აქცია.

ამის შემდეგ იგი დაბრუნდა ხათუსაში გამოსაზამთრებლად. მაგრამ როდესაც წლის დღესასწაული იზვიმა, მან ისთახარას ქვეყნისაკენ გასწია. ქალაქი ისთახარა, ხეთის მიწა, ქასქელებს ეყრათ. [მამაჩემმა] მტერი გააძევა იქიდან და ხელახლა ააშენა ქალაქები [...], მანაცია[ნა(?)], ქალიბუნა და ახლად გაამშვენა ისინი და ისინი კვლავ [ხეთის ქვეყნის] ნაწილად აქცია. ხოლო შემდეგ, როდესაც ახლად გაამშვენა [ისტახარას ქვეყანა], იგი ქ. ხათუსაში დაბრუნდა და გამოიზამთრა.

მტრის დიდი ლაშქარი მოვიდა და ღამით დაეცა მის ლაშქარს. მაშინ მამის ღვთაებანი დაეხმარენ ჩემს ძმას (ისე, რომ) მან დაამარცხა მტრის ჯარი და[ვანადგურა] ისინი. ხოლო როდესაც დაამარცხა მტრის ლაშქარი, [მტრის ქვეყანამ] იხილა იგი და შეეშინდა და არციასა და ქარგამიშის ქვეყნებმა ზავი ითხოვეს მისგან და ქ. მურმურიგამაც (აგრეთვე) მასთან ზავი ითხოვა.

ქარგამიშის ქვეყანაში, თავად ქარგამიშმა, ერთადერთმა ქალაქმა არ ისურვა მასთან ზავი. ასე რომ ქურუმმა, ჩემმა ძმამ, ექვსასი კაცი და ეტლი და ლუფაქი, ათისთავი მურმურიგას ქვეყანაში

დატოვა (რადგან თვითონ) ქურუმი ქალაქ ხათუსაში წამოვიდა მამაჩემის შესაზვედრად. მაგრამ მამაჩემი (ქალაქ) უდაში იყო და დღესასწაულს მართავდა. ასე რომ, იგი მას იქ შეხვდა.

ზოლო როდესაც ხურიტებმა იხილეს, ქურუმი წასული იყო, ხურიტების ქვეყნის ლაშქარი და ეტლები მოვიდნენ და თავუხლი, წარჩინებულიც, მათ შორის იყო და შემოურტყნენ ქალაქ მურმურივას. და ისინი იყვნენ იქ მყოფ ხეთების ლაშქარსა და ეტლებზე უფრო მეტნი.

ქინცას ქვეყანაში, რომელიც მამაჩემმა დაიპყრო, ეკვიპტის ფეხოსანი ლაშქარი და ეტლები მოვიდა და შეუტოეს ქინცას ქვეყანას. მამაჩემს საუწყეს: „ფეხოსან და ეტლოსან ლაშქარს, რომელიც ზემოთ ქალაქ მურმურივასში არიან, ხურიტები შემოურტყნენ გარს!“ მაშინ მამაჩემმა შეაგროვა ფეხოსანი და ეტლოსანი ლაშქარი და ხურიტების წინააღმდეგ გაემართა. ზოლო როდესაც მოაღწია თევარამას ქვეყანას, თავისი ფეხოსანი და ეტლოსანი ლაშქარი შეამოწმა (ქალაქ) თაღფაში. შემდეგ ვაგ ზავნა თავისი ვაჟი არნუვანდა და ცითა, სარდალი ქალაქ თევარამადან, ხურიტების ქვეყნისაკენ. ზოლო როდესაც არნუვანდა და ცითა მივიდნენ ქვეყანაში, [მტერი] მათ შეებრძოლა. მაშინ მამაჩემის ღვთაებები დაეხმარნენ მათ, [(ისე, რომ) მათ და]ქარცხეს [მტერი]. მაგრამ მტერმა [...] და ჩამოვიდა ქალაქიდან [ვასაქვევად(?) ...] თევარამას ქვეყნის მთებში [...]. როდესაც [მამაჩემმა გაიქცო: „მაღე ის [წაუა და] გაიქცევა ქალაქიდან ქვემოთ!“-როდესაც, რატომღაც, მამაჩემი ქვეყანაში ქვემოთ ჩამოვიდა, მას ხურის ქვეყნის მტერი არ შეხვედრია! ასე რომ იგი ქვემოთ ჩავიდა (ქალაქ) ქარგამიშში და გარს შემოურტყა მას და [...] აქეთ [მხრიდან] და იქით მხრიდან, (ისე, რომ) იგი [გარს]შემოურტყა მას [სრულად]. მდინარე [...] ადგილის ქვემოთ [...], გემები [...] (მან) ხელთ იგდო, შემდეგ [...]

...რადგან მამაჩემი ქვემოთ იყო წასული ქარგამიშის ქვეყანაში, მან წინ ვაგ ზავნა ლუფაქი და თარხუნთა(?) -ცალმა ამქას ქვეყანაში. ასე რომ, მათ გასწიეს ქალაქ ამქას შესატვეად და უკან წამოასხეს წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საჭონელი მამაჩემის წინ. მაგრამ როდესაც ეკვიპტელებმა ქალაქ ამქას იერიშის ამბავი შეიტყვეს, მათ შეეშინდათ. მას შემდეგ, რაც მათი ბატონი ნიბხურურია (ტუტანხამონი) გარდაიცვალა, მაშინ ეკვიპტის დედოფალმა, რომელიც იყო დახამუნცუ(?),

მამაჩემს შიკრიკი გაუგზავნა და ასე მისწერა: „ჩემი ქმარი გარდაიცვალა. ვაჟი არ მყავს. ამბობენ, რომ შენ ბევრი ვაჟი გყავს. თუ ასეა, ერთი ვაჟი მომეცი, იგი ჩემი ქმარი გახდება. ჩემს მსახურს არასდროს ვიქმნობ! მეშინია!“ როდესაც მამაჩემმა ეს ისმინა, მან მოიხშო წარჩინებულები სათათბიროდ (და უთხრა): „ჩემს სიცოცხლეში ასეთი რამ არ მომხდარა!“ ასე რომ მამაჩემმა გააგზავნა ეგვიპტეში ხათუსა-ციითი, უხუცესი (და უბრძანა): „წადი და მომიტანე მართალი სიტყვა“ იქნებ ისინი მატყუებენ მე! იქნებ (სინამდვილეში) ჰყავთ თავიანთი ბატონის ვაჟი! მომიტანე მართალი სიტყვა!“

(სანამ) ხათუსა-ციითი ეგვიპტიდან დაბრუნდებოდა, მამაჩემმა ქალაქი ქარგამიში საბოლოოდ დაიპყრო. იგი შეიღი დღე ცდილობდა მის დაპყრობას, მერვე დღეს შეებრძოლა მას და ერთ დღეში [აიღო?] იგი სასტიკი ბრძოლით მერვე დღეს, [ერთ] დღეში. ხოლო როდესაც მან აიღო ქალაქი, ვიდრე [მამაჩემი] პატი[ეს] მიაგებდა ღვთაებებს, ზემო ციხე-სიმაგრეზე მან არც ერთი (ღვთაება) [ქუბაბას(?)] და (ღვთაება) ქალს. და იგი არ მი[კარებია] არც ერთ [ტადარს]. (პირიქით), მან თავყანი არ სცა (მათ). და შემდეგ მისცა [...]. ხოლო ქვემო ქალაქიდან მან წამოიყვანა მოსახლეობა, ვერცხლი, ოქრო და ბრინჯაოს ნივთები და წაასხა ქალაქ ხათუსაში. წარტყვევნილების რიცხვი, რომელიც მან სასახლეში მოიყვანა, სამი ათას სამასოცდაათი იყო. [მაშინ, როცა] ისინი, რომლებიც ხე[თებმა] მოიყვანეს (სახლეში), [ურიცხვი იყო]. შემდეგ [მან ...] თავისი ვაჟი შარი-ქუშუხი და [მისცა] მას ქარგამიშის ქვეყანა [და] ქალაქი [...] და იგი მის მეფედ დასწავა.

ხოლო როდესაც მან გა[ნაგო] ქალაქი ქარგამიში, იგი [წავიდა] უკან ხათის ქვეყანაში და გამოიზამთ[რა] ხათის ქვეყანაში.

ხოლო როდესაც გაზაფხულდა, ხათუსაციითი [დაბრუნდა] ეგვიპტიდან და მასთან ერთად ეგვიპტელი შიკრიკი, ხანი. მამაჩემმა ხათუსაციითი ეგვიპტეში შემდეგი დავალებით გააგზავნა: „იქნებ მათ თავიანთი ბატონის ვაჟი ჰყავთ! იქნებ ისინი მატყუებენ მე და არ უნდათ ჩემი ვაჟი საძეფოდ!“ ამიტომ ეგვიპტის დელოფალმა ასეთი უსტარო მისწერა: „რად იტყვი „ისინი მატყუებენ მე“? მე რომ ვაჟი მყოლოდა, განა უცხო ქვეყანას მივწერდი ჩემსა და ჩემი ქვეყნის სირცხვილს? შენ კი არ მენდე და ეს მაკადრე! ვინც ჩემი მეუღლე იყო, გარდაიცვალა. ვაჟი არ მყავს! ჩემს

მსახურს არასდროს ვიქმნობ! სხვა ქვეყნისთვის არ მიმიწერია, მარტო შენ მოგწერე! ამბობენ, რომ შენ მრავალი ვაჟი გყავს, ერთ-ერთი მომეცი! ჩემი ქმარი იქნება იგი, ხოლო ეგვიპტის მეფე". მაშინ, რადგანაც მამაჩემს კეთილი (ჩვილი) გული ჰქონდა, მან შეისმინა დედოფლის თხოვნა და თავისი ვაჟის საქმეს გულისყურით მოეკიდა.

კოლოფონი: მეშვიდე ფირფიტა, (ტექსტი) დაუმთავრებელია. ჯერ არ შესრულებულა ბრინჯაოს ფირფიტაზე.

(სუფილულიუმა მიმართავს ხანის) [„...] მე [თვითონ] ვიყავი [...]მეგობარი, მაგრამ შენ, უცაბედად მიმუხთლე. შენ [მოხვედი(?)] და შეუტეე ქალაქ ქინცას კაცს („უფლისწულს“), რომელიც მე წაყარ[თვი] ხურის ქვეყნის მეფეს. მე, როდესაც (ეს) შევიტყვე, გავბრაზდი და გავგზავნე ჩემი ფეხოსანი და ეტლოსანი ლაშქარი და სარდლები. ისინი მოვიდნენ და შეუტეეს თქვენს მიწას, ამქას ქვეყანას. ხოლო როდესაც მათ შეუტეეს ამქას ქვეყანას, თქვენ ალბათ შეგეშინდათ და (ამიტომ) თქვენ კვლავ მთხოვეთ ვაჟი (თითქოს) ეს მე მევალებოდა. [თქვენ მას მძევლად დაიტოვებთ, მაგრამ არ გა[ამეფებთ.]“ [ასე] (მიმართა) ხანიმ მამაჩემს: „ჩემო ბატონო! ე[ს ...] ჩვენი ქვეყნის სირცხვილია! ჩვენ რომ [მეფისწული] გეყოლოდა, უცხო ქვეყნად რად მოვიდოდით და ჩვენთვის ბატონს რად ვითხოვდით? ნიბხურურია, რომელიც ჩვენი ბატონი იყო, გარდაიცვალა; ვაჟი მას არ ჰყავს. ჩვენი ბატონის მეუღლე დაქვრივდა. ჩვენ ვეძებთ უფლისწულს ეგვიპტის მეფედ და ჩვენი დედოფლის ქმრად! ჩვენ სხვა ქვეყანაში არ წავსულვართ, მხოლოდ აქ მოვედით! ეხლა კი, ჩვენო ბატონო, მოგვეცი შენი ვაჟი!“ მაშინ მამაჩემი ვაჟის საქმეს გულისყურით მოეკიდა და მამაჩემმა მოითხოვა ხელშეკრულების ფირფიტა, (რომელშიც ნათქვამი იყო) უწინ როგორ წაიყვანა ამინდის ღვთაებამ ქალაქ ქურუსთამას ხალხი, ხათის ვაჟები ეგვიპტეში და ეგვიპტელებად აქცია ისინი; და როგორ დადო ამინდის ღვთაებამ ხელშეკრულება ეგვიპტისა და ხათის ქვეყნებს შორის და როგორ მეგობრულად იყვნენ ისინი ერთმანეთის მიმართ განწყობილები. როდესაც მათ ფირფიტა ხმამაღლა წაუკითხეს, მამაჩემმა ასე მიმართა მათ: „ძველად ხეთებისა და ეგვიპტის ქვეყნები ერთმანეთის მეგობრები იყვნენ. დაე ახლაც ისევე იყოს, ხათი და ეგვიპტე ისევე მეგობრებად დარჩებიან!“

(ფირფიტის დასასრული)

კოლოფონი: [X. ფირფი]ტა სუფილულიუმას საქმენისა [...].

ფრაგმენტი 28 ა

[...]მან დაამარცხა [...] ხაჭვისას ქვეყანაში [...] მან შეუ[ტია] ხაჭვისას ქვეყანა [...] მან შეაეიწროვა. და ქ. ხაქ[ფისა]- ფათხა [და] თაქუფთა დარჩა.

ფრაგმენტი 28 ბ

[და ისე მოხდა, რომ (მამაჩემმა) ხათის ქვეყრის ღვთაებათათვის და ქ. არინას მზის ღვთაებისათვის ანთახმუშის დღესასწაული ჩაატარა)], [და ეს] მართლაც მნიშვნელოვანი მოქმედება იყო: მტერი ... [და მამაჩემმა ხაქნუთი ქვემო ქვეყანაში [(გაგ) ზაენა და ფეზოსანი] (და) ცხენოსანი ლაშქარი მისცა და როდესაც ხანუთი ქვემო ქვეყანაში მივიდა, როდესაც იგი ლაღანდელებმა [დაინახეს, შე]მინდათ და მშვიდობა ქმნეს. [და იგი კვლავ ხათის ქვეყანა]ში იყო და ხანუთი, სარდალი [ხაფალას ქვეყნად წავიდა და ხაფალას ქვეყანა დაამარცხა [და ხაფალას ქვეყანა გადაწვა. წარტყვევნილი მოსახლეობა, [მსხვილფეხა და წერილფეხა საქონელი [ხელ]თ იგლო და ხათუსას წაჰკვარა. [ხოლო მამაჩემმა ... ქვეყანაში ...] გაგ ზაენა და ფეზოსანი [(და) ცხენოსანი ლაშქარი გატანა] მთელი

„მეშვიდე ფირფიტის“ მომღვენო ფრაგმენტები

ფრაგმენტი 29

[...] ხა[თის] ქვეყანა [...] ერთმანეთს [...] . და . . [...] ხათის (?) ქვეყანა] და ეგვიპტის ქვეყანა [...] ერთმანეთთან იქნებიან! [...]. და ეგვიპტის ქვეყანას [...] სიცოცხლის [ხოლომ]ქლე ერთმანეთს] (მომტკვერულა)

ფრაგმენტი 30

[...] მოწყდა [...

...წახვალ [...] ეგვიპტის ქვეყანაში [...] იყოს! და ეგვიპ[ტე]] ხათის ქვეყანას [

ფრაგმენტი 31

[...-ც]ი, ქ. ...-ის მეფე(?). ხ[უ]- ..., ...-ის კაცი.

[რად]გან მათ არ გააგ ზაენეს [...], მაშინ ფირ[ფიტა] ...] მათ [...] და მათ [...] ერთმანეთს. [როდესაც] მათ მოიტანეს ფირფიტა, ასე თქვეს: „ეგვიპტის(?) ხალხმა] მოკლა [ცანანცა] და სიტყვა მოიტანა: „ცანანცა [ვარდაიცვალა(?)!“ და როდესაც] მამაჩემმა

გაივრონა] ცანანცას სიკვდილის ამბავი, იგი გოვლებდა [ცანან]ცას, [ლა] ღვთაებებს ...ა]სე მიმართა: „ღვთაებებო! მე ბორო[ტრი არ] ჩამოღენია, [მაგრამ] ეგვიპ[ტის] ხალხმა [ჩემს მიმართ] ჩაიღინეს იგი, და მათ აგრეთვე [შეუტყეს] ჩემი ქვეყნის საზღვარს!“

[...] გაივრონა [...
ფრაგმენტი 32

[...] იგი [...] ეგვიპ[ტის(?)] ქვეყანაში [...] მე [...] ., მაგრამ არ [...] ხელშეკრულება, კაცმა (ქალაქ) [...] -დან] დაღო [...]. ვილაცამ [] ბოროტი [...

ფრაგმენტი 33

[...ქა]სქ(ებ)ს არ შეშინებიათი]სინი შეავიწროვეს. (ფორფიტის დასასრული).

ფრაგმენტი 34

[...] სანამ [...] და ღვთაებები დაეხმარენ მამაჩემს]: ქალაქ არი[ნას] მზის ქალღვთაება, [ხათის ქვეყნის ტაროსის ღვთაება, ლაშქრის ამინდის ღვთაება და ბრძოლის კელის ქალღმერთი იშთარი, (ისე, რომ)] მან დაამარცხა მტერი. [...] მან გადაწვა (ქალაქები) [...] და [ქალაქი ფალ]ხუისა [...] .] და [ის]ევ [გაემართა] (ქალაქ) ქამა[მასკენ და] დაწვა ქალაქი [ქა]მამა.

[როდესაც მამაჩემმა] გადაწვა [ეს] ქვეყნები, იგი გაემართა [აქედან] იშთახარას ქვეყანაში. [ქალაქ იშთახარადან] იგი გაემართა (ქალაქ) ხათენაში, [და] ავიდა [მთა ...]-სიზე და წავადა [...] -ის ქვეყანასა და ქვეყანა] თესითას. [აქედან] იგი გაეშურა (ქალაქ) თუზფილიშაში [და აღადგინა [იგი]. შემდგომ, რადგანაც მამაჩემი იქ იმყოფებოდა, ცილა[ფარხას ხალხმა] (მას) სიტყვა მოუტანეს: „ ბატონო, წადი [...] .], მაგრამ არ [მოხვიდე] ცილაფარხას ქვეყანაში, [რადგან] ჩვენ არ უნდა დავიხიოთ მტრის წინაშე!“ [მაგრამ მამაჩემმა ასე მოუწოდა: [მე რომ აქედან] წავსულიყავი [მთა ...]-მითაზე, [მაშინ მე] გზიდან გადაუხვევდი!“ და იგი გაეშურა] იქიდან და გასწია თ[იქუქუვას] ქვეყნისაკენ. [და მან] ღამე გაათია ქალაქ თი[ქუქუვაში]. [იქიდან იგი (წავიდა და)] ღამე გაათია ქალაქ ხურნაში [და] გადაწვა [ხურნას ქვეყანა. იქიდან იგი ავიდა მთა] თიხსინაზე და გადაწვა ქვეყანა ხაური[- ... და წამოვიდა] მარა[სნათას] მდინარისკენ. [შემდეგ იგი წავიდა და] ქრითას ქვეყანაში. [და რადგან] იქ მშვი[ლობა(?) იყო, არ დაუნგრევია(?)] დართა[რას] ქვეყანა. მაგრამ [ფითაქ]ათალიმ

შეაგროვა [...] (ქალაქ) სა[ფილდუვაში(?) ...] და იგი [გამოვიდა(?)
მამაჩემის(?) წინააღმდეგ]. მაგრამ როდესაც მამაჩემმა
[დაინახა(?)]ი[ცი(?)], აქ დალოდებია (მას), არამედ [...].

მამაჩემი [გაეშურა] იმ ადგილიდან და ავი[და] მთა ილურიაზე
და ღამე გაათია (ქალაქ) ვასხაიაში. და მან გადაწვა ქვეყანა
ცინა[-... .]. იქიდან იგი (წავიდა და) ღამე გაათია (ქალაქ)
ვა[...ქილუსაში] და გადაწვა ვა. ქილუსას და დარუქას
ქვეყნები. იქიდან იგი (გაეშურა და) ღამე გაათია (ქალაქ)
ხინარივანდაში და გადაწვა ხინარივანდასა და ივათალისას
ქვეყნები. იქიდან იგი (გაეშურა და) ღამე გაათია (ქალაქ)
საფისუეაში და გადაწვა საფილდუვას ქვეყანა.

როდესაც მან ყველა ეს ქვეყანა გადაწვა, მამაჩემი გაემართა
თუმანას ქვეყანაში. [ქალაქ თუმა]ნადან იგი ავიდა მთა ქასუზე
და გადაწვა [...].ნაგარას ქვეყანა. ხოლო მდინარე დახარას
ქვეყანამ, [რომელიც] მან [დაიკე]რო, კიდევ ერთხელ უჩვენეს
ბტრობა. [ასე, რომ] იგი გაემართა მდინარე დახარას (ქვეყანაში)
და გადაწვა ქალაქი დახარა და [თა]ფაფინუვას ქვეყანა. შეზღვე
იგი უკან დაბრუნდა (ქალაქ) [თი]მუხალაში. ქალაქი თიმუხალა
იყო ქასქების გამოჩენული ადგილი. მას [უნდა] დაენგრია იგი,
მაგრამ მათ შეეშინდათ [და] ეახლენენ [მას] და მუხლებში
ჩაუვარდნენ; ამიტომაც მან კი არ დაანგრია იგი, [არამედ იგი
ხეთის] ქვეყანას შეუერთა. [იქიდან იგი გაეშურა] და [წავიდა]
(ქალაქ) [... და იქიდან იგი გაეშურა ქალაქ

ფრაგმენტი 35

...მეფე [...და ღვთაებები დაეხმარენ მამაჩემს]: ქალაქ არი[ნას]
მზის ქალღვთაება, [ხათის ამინდის ღვთაება, ლაშქრის ამინდის
ღვთაება და ბრძოლის ველის ამინდის ღვთაება], (ისე, რომ)
[ფეხოსან და ეტლოსან ლაშქართან] ერთად [... „...] და [...
ს] ქილ[ი-თეშუბ(?) ...]. მაგრამ [...] ...” შეზღვე იგი გაეშურა]
ხ[არან]ის ქვეყანაში [და გადაწვა იგი]. და ქალაქ ხარანიდან იგი
გაეშურა [(ქალაქ) ვაშუქანაში] და [გადაწვა] ქვეყანა ვა[შუქანა].
და ქალაქ ვაშუქანა[დან იგი გაეშურა ქ...-ში]. ხოლო შეზღვე
ასურელებმა [შეიტყვეს, რომ ქარგამიშის მეფე მოვიდა], იგი
[გაეშურა ასურეთის(?)] ფეხოსან და ეტ[ლოსან ლაშქართან
ერთად] (ქალაქ) თაითაში და [მოვიდა] საშველად შუთარნასი
[... .]. ხოლო როდესაც ქარგამიშ[ის] მეფემ [...] ქალაქი ვაშუქანა

ფრაგმენტი 36

...რადგან [...] მა[მაჩემს, მან გაგ ზავნა] ჩემი ძმა [არნუვანდა
[და იგი] წავიდა ევეპატე[ში...] ეტლოსანი [...] უბრძანა

ფრაგმენტი 37

[,...] სიძე(?) [...] მათ მოკლეს [...ჩემო [ბატონო], ამის
გამო [...] მე [...ჩემო [ბატონო, ამის გამო [...] განსაჯე]"
[როდესაც ...] მამაჩემმა [...] პირის სიტყვა [...] ცაში ღრუბელი
არ [...] წვიმდა [...] პატარა [...] დაიჭეჭა მრიზანედ [...] ხათის
ქვეყანაში არასდროს არ წვიმდა], მაგრამ [... -ში] წვიმდა.
[...] მისი ჭეჭა-ქუხილი [...] და მამაჩემმა დაამარცხა მტერი,
[(ისე, რომ) მტრის ლაშქარი] დიდი [რაოდენო]ბით დაიხოცა.
ხოლო ტყვეები [...] მათ მიჰყავდათ სამი დღე. ხოლო ნადავლი(?),
რომელიც [...] -ში ... [...] მათ წაგვარეს[... -ში] მან ააშენა. ხოლო
როდესაც მან დაამარცხა [...], მამაჩემმა [უთხრა [... -ს]: „ჩემი
[...ცხენოსნები [...ისა...

კოლოფონი: [მე-X ფირფიტა სუფილულიუმას] საქმენისა.
(ტექსტი) დაუსრულებელია.

ფრაგმენტი 38

[,...საჩამ [...] მე [...]იქ[ცა(ქალაქ/ქვეყანა) ხუსურაში
[...]. მაგრამ ხუსურას ხალხმა [...] ...[...მიმტ]რო მე [...] მათ
დამ[შორდ]ნენ. [...] მითანის ქვეყანაში [...] და ქალაქი ცარიელი
[...] და [...]], და დაიწყო [...] ხათის ქვეყანას.

[...(ქალაქ)] ირითაში მდინარის მხარეს [...]]. და ჩემი [ძმ]ა
(?) მასთან ერთად იყო. [...] და [მათ მოუტანეს] სიტყვა: [,...
.] ირითას კაცი [...და ქალაქ ხურის ცხენოსნები [...] მას [...]]
ეყრა [...-ითას [ქვეყანა]". და ქალაქ ხურის ცხენოსნები უფრო
მეტნი იყვნენ [მათზე, მაგრამ] ღვთაებანი დაეხმარენ ...

ფრაგმენტი 39

[...] არ [...] (ქალაქი) ...ფსქელა [...უფ]ლისწული [...ფს]ქელადად
ქემოთ [...ქვე]ყანა ხაიასა [...] წარჩინებულებმა მოიტანეს [...]]
იყვნენ [...] „ხათის მე]ფევე, ჩვემო ბატონო! [...] .”] და ხაიას[ას]
ქვეყანა [...], რომლებმაც [...] მოიტანეს [...] ათ]ასსალომოცი [+ ...]
შორს [...

ფრაგმენტი 40

... [...ხაია]სელი [მტერი] მან დაამარცხა [...ხაია]სელი [მტერი
დაიღუპა] დიდი რაოდენობით.

[...] ხაიასას ქვეყანა [...] ზემო ქვეყანაში (ქალაქ) [...

ფრაგმენტი 41

[,...] ხა[თის] ქვეყანა [...] ქვეყნები, რომ[ლებიც ...] ძლიან [...] წადით [(ქალაქ)] ირითაში [...უკან (?) (ქალაქ) ქარგამიშიში [...]] და (ქალაქ) ითუვაში [...]. და ქვეყანა ქარგამიშიში [...] მან დაიპყრო და იგი [...] ქარგამიშიში [...] ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [...]

ფრაგმენტი 42

[... (ქალაქი) [...]. ხოლო [რო]დესაც მათ ...მან ...] და მათ [...] ფეხოსანი [და ეტლოსანი] ლაშქარი [...] გარს შემოერთ[ყა ...]. [(ქალაქ) -დან იგი წავიდა] (ქალაქ) ირითეში [...] იგი მოვიდა [ქ. ვაშუქანადან(?) [...]] ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [...] მოდის

ფრაგმენტი 43

[...] (ქალაქი) [...] შორს (ქალაქ) [...] -დან. მაგრამ [ქვეყანა] ისხუფ[ი]თადან(?) [...] დაანგრია ქალაქი [...] იგი [გაე]შურა, მაგრამ (ქალაქი) ქასიფაზა [...] გაეშურა [საბრძოლ]ველად და მტერი [...] ბრძოლა [...მაშინ ღეთაებები დაეხმარენ მამაჩემს]: ქარი[ნას] მზის ქალღეთაება, ზათის ამინდის ღეთაება, ლაშქრის ამინდის ღეთაება, [საბრძოლო ველის იშთარი, (ისე, რომ) მან] დაამარცხა ...და მტრის ლაშქარი დიდი რაოდენობით] დაიხოცა. და [...]

დაუდგენელი კუთვნილების ფრაგმენტები

ფრაგმენტი 44

...ბაბუა[ჩემმა ...] (ისინი), რომლებიც [...]" ...] და მან მე [...]]. როდესაც [...] გაიგონეს, [თქვეს: „ ...] და ვინც [...] -ში], მაგრამ ვინც [...] -ში]. მაგრამ ვინც [...] -ში], მაგრამ ვინც [...] -ში] გააგზავნა] შემდეგ [...] ისინი] არ მისცემენ(?) ...] მოსახლეობა [...] ისინი] წაიღებენ(?) [...]

ფრაგმენტი 45

...ვისაც [...] წარ[თვა ...] მის ქვეყანაში [...] და მტერი [...]. მაგრამ მამაჩემმა აიღო [...] და [...]. და ღეთაებები [დაეხმარენ] მას [...]] (ისე, რომ) [მან დაამარცხა] მტერი და მტრის ლაშქარი დაიხოცა] დიდი რაოდენობით ...]. (ქალაქ) ა[...-ში კოლოფონი: [მე-X ფირფიტა, (ტექსტი) დაუსრულებელია(?), სუფილქულიუმას [საქმენისა].

ფრაგმენტი 46

...როდესაც [...]მამაჩემმა გაიგონა [...] და მას [...]გაეშურა [...] შეხვდა [...-ში] გაეშურა...] მოვიდა ...]. როდესაც [...] მსხვილფეხა საქონელი(?) [...

ფრაგმენტი 47

[...] ლაშქარი [...] ...მამაჩემს [...] მტრის ოთხმოცდაათი კაცი კვლავ...]მამაჩემი ლაშქარს [... და ცხენების] ერთი რაზმით [...] მამაჩემმა [...-ში] მტერი [...-ში

ფრაგმენტი 48

[,...] და შეხვედი! [...]"...] ქვემოთ [...]დამ დასაფქვავად [...] წითელ მდინარესთან (% მარასანთია) [...] წაიღო(?) ...] წერილფეხა საქონელი [...დაამარცხა] ყველა [მტერი (ისე, რომ) მტრის ლაშქარი] დაიხოცა დიდი [რაოდენობით. [...]. და მას [...

ფრაგმენტი 49

[...] მამაჩემმა [...] ლაშქარი [... ...] ათასი თავი მსხვილფეხა საქონელი [...]. შემდეგ იგი [წავიდა] კვლავ [...-ში] (ქალაქი) ვაცია [...და] მას [... და] მას [...

ფრაგმენტი 50

[...მათ] უნდა დაიფიცონ [...] უკან დაბრუნდება.

[...რაც [ქვეყანა ნერიქი [...] მუვათალის დროს, მეფეს [ჩემმა] ძმამ(?)..."...] მაგრამ [...]ქა]სქა [...] მე მოვალ [...]მსურს. ხოლო მე მოვალ [...]გავეშურები! [...] შევებრძოლოთ ერთმანეთს!" ხოლო [როდესაც] იგი მივიდა [..., მან] ფეხოსანი და [ცხენოსანი] ლაშქრის [დათვალიერება მოაწყო]. შემდეგ მან ვზა განაგრძო იმავე დღეს [...]. ხოლო მტერი მოვიდა მთელი ძალით [...] ხოლო როდესაც გათენდა და მზე ამოვიდა, იგი გაეშურა [...] საბრძოლველად [და] ებრძოლა [...] ხოლო ღვთაებანი [დაეხმარენ] მამაჩემს: [ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ხათის ამინდის ღვთაება, ლაშქრის ამინდის ღვთაება, [(X ღვთაება, X ღვთაება)], საბრძოლო ველის იშთარი და ზაბაბა, [(ასე, რომ) მტრის ჯარი] დიდი რაოდენობით დაიღუპა.

[იქიდან მამაჩემი] გაეშურა [ქვეყანა .-ში] და გადაწვა ფიგაინარესას ქვეყანა, [(ქალაქი)] და [(ქალაქი) ქათითი]შუვა. [...] მან დაიწყო გამაგრება. [...] და მამაჩემს ამცნო: [, ...], მან [...] და ჩვენ [...]. ახლა მოვედით [...] არავითარ შემთხვევაში [..."']. მამაჩემმა [...] მას [...] მსგავსად [...] დიდი რაოდენობით. [...

ფრაგმენტი 51

[...] მე [...]

[... „ ქა]სქა [... .] და მან [...] ქსქების ქვეყნად [და] დაიწყო მართვა [...] მათი ქვეყანა და დაიწყო [...]. და [იგი გაეშურა] არივასუს წინააღმდეგ საბრ[ძოლველად და] არივასუმ გამოსწია მისკენ საბრძოლველად. მან დაამარცხა [ფეზოსანი და ცხენო]სანი ლაშქარი და შეიპყრო არივასუ [...] და თავი მოაჭრა.

[...] და იგი კვლავ ხეთის ქვეყნის (ნაწილად) ქმნა. შემდგომ [...] დაიკავა (აღვილი) მამარქმთან ერთად. [...ხელ]შეკრულება დადეს და [დაიწყო] მისთვის ლაშქრის მიწოდება...] მისი ლაშქარი მე, მეფემ [... ...] მქონდა ადრე [...].

[...]-ს ლაშქართან ერთად ხათის ქვეყანაში [...] (მათ) დაიკავეს, მაგრამ კვლავ მთელი ძალით [...] მოვიდა ლაშქარი და დაიკავა [...] ხათი მთელი ძალით.

[...] და მუვათალი, სარდალი [...]] და არ [...] მას [...

მურსილი II-ს ანალები

წყაროები:

▪ ბოლახქიოდან და ხათუსადან ცნობილი მურსილი II-სა და თავანანას საბეჭდავი;²²⁵

▪ (CTH 61) მურსილი II-ს „ათწლიანი“ და „ერცელი“ ანალები;²²⁶

▪ (CTH 40) მურსილი II-ს მიერ შედგენილი „სუფილულოუმას საქმენი“-ს ტექსტი;²²⁷

▪ (CTH 62) მურსილი II-ს ხელშეკრულება ამურუს მეფე დუფი-თემუბთან;²²⁸

▪ (CTH 66) მურსილი II-ს ხელშეკრულება უგართის მეფე ნიქმეფასთან;²²⁹

▪ (CTH 67) მურსილი II-ს ხელშეკრულება ხაფალას მეფე თარგასნალისთან;²³⁰

▪ (CTH 68) მურსილი II-ს ხელშეკრულება მირა-ქუვალის მეფე ქუფანთა-ქურუნთასთან;²³¹

▪ (CTH 69) მურსილი II-ს ხელშეკრულება მდ. სეხას ქვეყნის მეფე მანაფა-თარხუნთასთან;²³²

▪ (CTH 64) უკანა მხარე 17.237, 17.62, ასლი 17.339ა, 17.366 (აქად.) მურსილი II-ს ბრძანებულება უგარითისა და ხეთის სამეფოს საზღვრების დადგენის შესახებ;²³³

▪ (CTH 65) უკანა მხარე 17.335 + უკანა მხარე 17.457, 17.344, 17.382 + 380 (აქად.) მურსილი II-ს ბრძანებულება უგარითისა და შიანუს უთანხმოების შესახებ;²³⁴

▪ (CTH 70) KBo 19.84, 85: მურსილი II-ს ტექსტი თავანანას, სუფილულიუმა I -ის მეუღლის შესახებ;

▪ (CTH 71) KBo 3.8 + Izmir 1277: მურსილი II-ს ლოცვა;²³⁵ (CTH 376) ლოცვა ქ. არინას მზის ქალღვთაების მიმართ; (CTH 377) KUB 24.1+ასლი KUB 24.2 ლოცვა ღვთაება თელიფინუს მძარო;²³⁶ (CTH 378) KUB 14.4, KUB 14.8, KUB 14.12, KUB 14.13+, KBo 22.71.

ისტორია. მურსილი II მეფობდა დაახლ. ძვ. წ. 1320 წ. იგი სუფილულიუმა I-ის ვაჟი იყო და არნუვანდა II-ს ძმა. მისი სახელი ტექსტებში შემდეგნაირი ფორმით გვხვდება: 'Mur-ši-li, 'Mur-ši-DINGIR^{LM}, 'Mur-ši-i-li. დღემდე ამ სახელის ეტიმოლოგია დაუდგენელია.²³⁷ სავარაუდოა, რომ ტახტზე ასვლამდე მას ხურიტული საუფლისწულო სახელი თაშმი-შარუმა²³⁸ ერქვა, რომლის ხეთურ პარალელად 'Mur-ši-li-pa²³⁹ გვხვდება.

ანალების, სახელმწიფო ხელშეკრულებების, ლოცვების, წინასწარმეტყველებების, ბრძანებებისა და იურიდიულ-ადმინისტრაციული ტექსტების წყალობით, მურსილის მეფობის დრო ხეთ მეფეთა შორის ყველაზე ვრცლად არის წარმოდგენილი. სახელმწიფო ხელშეკრულებებს მურსილი მეზობელი სამეფოების მმართველებთან დებდა: ცნობილია არცაეას დაპყრობის შემდეგ და სირიელ და უგარიტელ ვასალებთან დადებული ხელშეკრულებანი.

მურსილის დროს პატივს სცემდნენ უცხოურ ტრადიციებს. მტრის საკულტო ქალაქების დანგრევა არ შეიძლებოდა.²⁴⁰ იმის მიუხედავად, რომ მურსილის მრავალი სამხედრო ოპერაციის ჩატარება უხდებოდა, თავს ვალდებულად თვლიდა, აღესრულებინა საკულტო რიტუალები, რათა მამამისის, სუფილულიუმას მიერ „ჩადენილი ცოდვები“ გამოეხსიდა.²⁴¹

არცაქვს ლაშქრობის (KBo 3.4 II 15 და შმგ.) დაკისხ მთზე მტრისადამ უქანეთა მტრებთან მივიღეთ ხახა (საქარაუღო, რომ ეს აყო კატაკტორების ეულოკისის ასოფრეცია, რაც ისტორიულად დაიწმქებულა შქსლევ ტექსტში; KBo 3.4 iv 22 და საულტო ტექსტში KUB 48.100 + HBT 2.112 + KUB 12.31 + KUB 43.51 და ასლი, CTH 486.), რის ვაიყო, შიშისგან ვინი დაკარგა.აა

ტახტზე არნუვანდა II-ს შეცვლის შემდეგ მოსაზღვრე დაპრობილმა ქვეყნისა თაჲი გაითაჲისუფლეს. ეს გამოწვეული იყო სუფილულიუმას მრავალწლიანი არყოფნით და რელიგიური საქმების უყურადღებოდ დატოვებით. არნუვანდა II, გამეუკბიდან მალევე გარდაიცვალა რალაც სნეულებით. მურსილი ყოველ წელს აწყობდა დაპრობით ლაშქრობებს ამ მოსაზღვრე ქვეყნებში. მათ ისევ თავის გავლენის ქვეშ აქტევედა და თან ახალ ქვეყნებსაც იპარობდა. მისი მმართველობის დროს ხეთის სამეფოს საზღვრები მნიშვნელოვნად გაფართოვდა.

თავის მმართველობის მეორე და მესამე წელს მურსილიმ დასავლეთ ანატოლიაში ილაშქრა (KBo 3.4 ii 9 და შმგ.; KBo 16.1 ii 29 და შმგ.) და საბოლოოდ დაიმორჩილა. არცაქვს ქვეყანა, რომელიც ვერ კიდევ მამამისს, სუფილულიუმას ჰქონდა დაპრობილი, მისი სიკვდილის შემდეგ ისევ დამოუკიდებლობა მოიპოვა. მურსილიმ არცაქვს ქვეყნის მმართველი უხაციით საბოლოოდ დაამარცხა.

გამარჯვების შემდეგ მურსილიმ არცაქვს დიდი სამეფო მცირე სამთავროებად დაჰყო, რომლებიც ხეთების ვასალები იყვნენ და მათთან ხელშეკრულებები დადო, ხაფალაელ თარშნალლისთან (CTH 76), მირა-ქევალიელ ქუფანთა-ქალთან (CTH 68) და სეხას ქვეყნის მეფე მანაფა-თარხუნთასთან (CTH 69).

ქასქებისა და ჩრდილო ანატოლიის წინააღმდეგ წარმოებული ლაშქრობები ვერ კიდევ სუფილულიუმამ დაიწყო. ხეთებმა ამ მხრის დაპრობა ვერ მოახერხეს, მხოლოდ მის საზღვრებთან აწარმოებდნენ ბრძოლებს. მურსილიმ ხანთილის დროიდან ქასქების მიერ დაპრობილი ქალაქი ნერიქის გათაჲისუფლებაც კი ვერ მოახერხა.

სამხრეთ ანატოლიის სახელმწიფოებსა და სირიასთან ურთიერთობა უხდებოდათ მურსილის ძმას ფასილი/შარი-ქეშუსს,

რომელიც ქარგამიშის ყოფილი მეფე იყო. განსაკუთრებით ნათელ სურათს ამ ამბების შესახებ უგართული ტექსტები ვეძებდვს. მურსილის მეფობის მე-9 წელს ფიასილი გარდაიცვალა და მურსილიმ ალექოში თავისი ვაჟი სახურუნუვა დასვა. მურსილის თანამედროვეები სირიაში იყვნენ: მითანელი შათივაზა, უგართის მეფეები-ნიქმადუ II და შარი-ქუშუხი, ქარგამიშელი შახურუნუვა, ალექოელი თელიფინუ და თალმი-შარუმა და ნუხაშელი თეთე. რადგან ასურელმა მეფემ აშურუბალიტმა მითანის სამეფო დაიპყრო, მურსილიმ თავის მეფობის მეორე წელს ქარგამიშში ლაშქარი გააგზავნა ნუვანცას მეთაურობით.

მურსილიმ აშურუს მეფე თუფი-თემუბთან მამამისის აცირუსთან დადებული ხელშეკრულება (CTH 62) განაახლა. შემდგომ უგართის მეფე ნიქმეფასთან მურსილიმ ხელშეკრულება დადო, რომლისგანაც მხოლოდ ფრაგმენტებია შემორჩენილი (CTH 66).

ხათუსილი III-ს ტექსტის მიხედვით, მურსილი II-ს ოთხი მემკვიდრე შეილი ჰყავდა. უფროსი იყო ხაფას-ულუფი, რომელიც მამამისის სიცოცხლეშივე გარდაიცვალა. მომდევნო ვაჟი ცნობილია მუვათალი II-ს სახელით. უმცროსი ვაჟი ტახტის მემკვიდრე ხათუსილი III იყო. ქალიშვილი მათანაცი, მოხსენიებულია ხათუსილი III-სა და რამზეს II-ს მიმოწერაში. მურსილის გარდაცვალების შესახებ არაფერია ცნობილი. ივარაუდება, რომ V ტაძრის ტერიტორიაზე არსებული სამთალიანი შენობა მისი სახელზე უნდა იყოს აგებული.

ტექსტის კვლევის ისტორია. მურსილი II-ს სახელით ცნობილი სამი ანალისტური თხზულებიდან ერთ-ერთია „ათწლიანი“ ანალები, რომელიც მურსილი II-ს ტახტზე ასვლიდან პირველი ათი წლის ამბავს გვამცნობს.²⁴³ ტექსტი დიდი მოცულობის კარგად გამომწვარ წითელი თიხის ფირფიტებზეა შესრულებული ორ სვეტად. იგი „სუფილულიუმას საქმენი“-ს ფირფიტებთან ერთად იპოვნეს პ. ვინკლერისა და მაკრიდი ბეის 1906 წლის ბოლახქოის გათხრებისას, I ტაძრის შენობაში, ხოლო 1931 წელს მისი ახალი ასლიც აღმოჩნდა. მურსილი II-ს „ათწლიანი“ ანალები შემდეგი ფრაგმენტებისაგან შედგება: CTH 61 I: ა) KBo 3.4 + KUB 23.125; ბ) KBo 16.1 (+ KUB 34.38) + KBo 16.2; ი = ა i 1-40; იii = ა i 48 და შმღ.; იiii = ა ii 5-44; იv = ა ii 53-80; გ) KUB 19.38 (+) KUB 14.21 = ა iii 34-66; დ) KBo 16.4 = ა i 32-44; ე)

KBo 16.3; 1311a, KUB 40.18, KUB 40.29 ? 61 II 01: მურსილის „ერცელი“ ანალები: 1 წელი: KUB 19.29 61 II.02: მურსილის „ერცელი“ ანალები: 2-4 წლები: ა. KUB 14.16 = BoTU 50, BoTU 51; ბ. KUB 14.15+KBo 16.104 = BoTU 51a; გ. KUB 19.40 + KBo 16.5; დ. KBo 12.37; ი. ე.5 და შსგ; KBo 22.90, 61 II.03: მურსილის „ერცელი“ ანალები: 5 წელი: KUB 31.10 = BoTU 53 61 II 04: მურსილის „ერცელი“ ანალები: 7 წელი: KUB 19.31 = BoTU 55; KUB 14.17 = BoTU 54; KUB 19.30 = BoTU 57; KUB 26.79 = BoTU 56; ი = KUB 14.17 iii 10 და შსგ, 61 II.05: მურსილის „ერცელი“ ანალები: 9-11 წელი: ა. KUB 14.28+KUB 14.29 + KUB 19.3 = BoTU 58A; ბ. KBo 4.4+KBo 19.4 = BoTU 58B; გ. KBo 10.17 = ბი 76 და შსგ.; დ. KBo 16.7 = ბი 63-66; ე. KBo 16.6 = ა ი 8 და შსგ. 61 II 06: მურსილის „ერცელი“ ანალები: 12 წელი: ა. KBo 19.76+KUB 14.20 (+) KUB 19.39; ბ. KBo 14.40 = ა ი 23-36; გ. KUB 19.34+KUB 23.81 (+) KUB 19.35 (=ა2-14); დ. KUB 14.24 = BoTU 59; ე. KBo 9.77+KBo 19.34; (=დ. 19-24) 61 II.07: მურსილის „ერცელი“ ანალები: 15-22 წლები: ა. KBo 5.8 = BoTU 61 ა; ბ. KUB 19.36 = BoTU 61B; გ. KBo 16.8 + KBo 16.14 + Bo 69/404; დ. KBo 8.34 + KBo 16.12 = ფრგ. I (მე-17 წელი); ე. KBo 16.11 = ფრგ. II 61 II.08: მურსილის „ერცელი“ ანალები: ?? წლები KUB 19.39 = BoTU 63; KBo 16.15 = ფრგ. III; KBo 14.20 + KBo 14.44 + KUB 34.33 + KUB 34.34 = ფრგ. IV, XI; KBo 16.14 = ფრგ. V; KBo 7.17 + KBo 16.13 = ფრგ. VI, XIV; KUB 34.36 = ფრგ. VII; ა. KUB 14.18 = BoTU 67 = ფრგ. VIII; ბ. KBo 14.19 = ფრგ. XII, XIII (+) IBo14.20 (+) KBo 16.9 (+) KBo 16.10 = ფრგ. IX (+) KBo 16.11 (+) KBo 16.12; KUB 14.19 = ფრგ. X; KUB 14.25 = BoTU 66 = ფრგ. XV 61. II.09: მურსილის „ერცელი“ ანალები: 17-18 წელი: ა. KUB 19.37; ბ. KBo 9.76; გ. KBo 16.16; დ. KUB 31.39, 61. II.10: მურსილის „ერცელი“ ანალები: 25 ??? და მომდევნო წლები: 61. III მურსილის „ერცელი“ ანალები: დაუღებელი ფრაგმენტები: 1. KUB 31.9 = BoTU 65; 2. ა. KUB 31.35 + KUB 23.36; ბ. KUB 14.19; 3. KBo 16.18; 4. KUB 30.75

მურსილი II-ს „ათწლიანი“ ანალები

ტექსტის აგებულება და შინაარსი.

შესავალი. ისტორია. მამისა და ძმის გარდაცვალება. მეფობის დასაწყისი.

პირველი წელი. ქასქების ქალაქების, ხალილასა და ღუღუსქას დამარცხება, გადაწვა. ნადავლის წამოღება. ქ. თურმითასა და ისხუფითას დამორჩილება.

მეორე წელი. ქასქების ქალაქების, თიფიას, ქათხაიდუვას, ქამანას დამარცხება, ნადავლის ხელთ გდება.

მესამე წელი. უხაციითისთან მიმოწერა. ქ. ფალხუისას გადაწვა. არცავას ქვეყანაში ლაშქრობა. ლავასას მთა, არინანდას მთა.

მეოთხე წელი. უხაციითის გარდაცვალება. ქ. ფურანდას გადაწვა. თაფლანცუნაულის, უხაციითის ვაჟის გაქცევა. ალაფის ხელთ გდება, ტყვეების ხათუსაში წამოსხმა. მღ. სეხას ქვეყნის ქვეშევრდომად ქცევა. მირას ქვეყანა. არცავას ქვეყნიდან დეპორტირებული მოსახლეობის ხათუსაში წამოსხმა.

მეხუთე წელი. ქასქები. ასხარფაიას მთა. არავანას ქვეყნის დამარცხება. ხათუსაში დაბრუნება.

მეექვსე წელი. ქასქები. თარიქარიმუს მთა. ციხარიას ქვეყნის გადაწვა. ხათუსაში დაბრუნება.

მეშვიდე წელი. ქ. თიფია. ზემო ქვეყანა. ქასქელი ფიხუნიას წინააღმდეგ ლაშქრობა. ფიხუნიას დამარცხება. თიფიას ქვეყნის დამარცხება.

მერვე წელი. დაკარგულია.

მეცხრე წელი. ქასქები. აცის ქვეყნის დამარცხება. ფიგაინარესას ქვეყნის გადაწვა. ნადავლის ხელთ გდება.

მეათე წელი. აცის ქვეყანა. ქ. არიფსასა და ღუქამას დამარცხება, ნადავლის ხელთ გდება. ქ. ხათუსაში წამოსხმა.

ეპილოგი.

თარგმანი:

მმართველობის დასაწყისი:

§ 1. „ასე ამბობს ჩემი მზე, მურსილი, დიდი მეფე, მეფე ხათის ქვეყნისა, გმირი, სუფილულიუმას ვაჟი, დიდი მეფისა, გმირისა.

§ 2. მამაჩემის ტახტზე გერ ასული არ ვიყავი, როდესაც მეზობელმა მტრულმა ქვეყნებმა ომი გამომიცხადეს. და როდესაც მამაჩემი ღვთაებად იქცა, არნუვანდა, ჩემი ძმა მამაჩემის ტახტზე დაჯდა, მაგრამ შემდეგ ავად გახდა. ხოლო როდესაც მტრულმა ქვეყნებმა არნუვანდას, ჩემი ძმის ავადმყოფობის ამბავი შეიტყვეს, ომი წამოიწყეს.

§ 3. ხოლო როდესაც არნუვანდა, ჩემი ძმა ღვთაებად იქცა, იმ მტრულმა ქვეყნებმაც, რომელთაც ომი გამოცხადებული არ ჰქონდათ, მათაც ომი წამოიწყეს. ხოლო მეზობელმა მტრულმა ქვეყნებმა შემდეგნაირად თქვეს: „მამამისი, ხათის ქვეყნის მეფე, გმირი მეფე იყო და მტრული ქვეყნები დაამარცხა. ხოლო იგი ღვთაებად იქცა. ხოლო მისი ვაჟი კი, რომელიც მამამისის ტახტზე დაჯდა, იგიც ძლიერი გმირი იყო ადრე, მაგრამ ავად გახდა და ისიც ღვთაებად იქცა.

§ 4. ხოლო იგი, რომელიც მამამისის ტახტზე ახლა დაჯდა, იგი ახალგაზრდაა და ხათის ქვეყანასა და მის საზღვრებს იგი ვერ იხსნის”.

§ 5. ხოლო რადგანაც მამაჩემი მითანის ქვეყნად დიდხანს შეყოვნდა, დაბრუნება შეაგვიანდა. ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ღვთაების, დღესასწაული კი არ ითმენდა.

§ 6. ხოლო როდესაც მე, მზე, მამაჩემის ტახტზე დავეჯექი, სანამ იმ გარშემო მყოფი ქვეყნების წინააღმდეგ, რომლებმაც ომი გამომიცხადეს, საბრძოლველად გაეწევი, ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ქალღვთაების დადგენილ დღესასწაულებზე ვიზრუნე და ვიზეიმე ისინი. ჩემს ქალბატონს, ქალაქ არინას მზის ქალღვთაებას ხელი აღვუპყარი და შემდეგნაირად მივმართე: „ქალაქ არინას მზის ქალღვთაებავ, ჩემო ქალბატონო! ის გარშემომყოფი ქვეყნები, რომლებმაც შეურაცხყოფა მომაცენეს და პატივი არ მცეს, შენი, ჩემი ქალბატონის, ქალაქ არინას მზის ქალღვთაების მიწებს იტაცებდნენ და კვლავ იგივეს აპირებდნენ. მაშ მოდი, ჩემო ქალბატონო, ქალაქ არინას მზის ქალღვთაებავ ჩემთან და ეს გარშემომყოფი მტრული ქვეყნები ჩემს წინ დაამარცხე!” ხოლო

ქლაქ არინას მზის ქალღვთაებამ შეისმინა ჩემი და მოვიდა ჩემთან. მაშინ დავამარცხე, როგორც კი მამაჩემის ტახტზე ავედი, გარშემო მყოფი მტრული ქვეყნები 10 წელიწადში და გავანადგურე ისინი.

პირველი წელი:

§7. ქასქების ქვეყნის ქლაქმა თურმითამ ომი გამომიცხადა და მე. შემდეგ ქასქების ქლაქი კვლავ მოვიდა და დაუსრულებელი თავდასხმებით მაწუხებდა. მაშინ, ჩემმა მზემ, გავილაშქრე მის წინააღმდეგ. ქასქების მთავარ ქლაქებს, ხალოლას და დუდუსქას, თავს დავესხი. ხელთ ვიგდე მათი წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონელი და ისინი ქლაქ ხათუსასკენ წამოვასხი. ხოლო ქლაქები ხალოლა და დუდუსქა გადავაწვევინე.

§8. ხოლო როდესაც ქასქების ქვეყანამ ქლაქების, ხალოლას და დუდუსქას განადგურების ამბავი შეიტყო, მთელმა ქასქების ქვეყანამ საშველად გამოსწია. ჩემთან საომრად მოვიდა და მე, ჩემმა მზემ, შეეებრძოლე მას. ქლაქ არინას მზის ქალღვთაება, [ჩემი ქალბატონი,] ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა (და) ყველა ღვთაება თან მახლდა. მაშინ დავამარცხე ქასქების [ქვეყნის] დამხმარე ლაშქარი და გავანადგურე იგი. ქასქების ქვეყნის ქლაქი თურმითა ხელმოკრულ მუცმომ და მუდმივად ჯარს მაწვდიდა.

§9. მაშინ მე, [ჩემი მზე], უკან დაებრუნდი. და რადგანაც ისხუფითას ქვეყანაში ქასქას ქლაქმა ომი [გამომიცხა]და და ჯარს არ მაწვდიდა, ისხუფითას ქვეყნისაკენ გავწვიე და ქლაქ ...ხუმესენას თავს დავესხი. წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა დაწვრილფეხა საქონელი ხელთ ვიგდე და ქლაქ ხათუსაში წამოვასხი. ხოლო ქლაქი კი გა[დავწვი]. ისხუფითას ქვეყნის ქლაქი ქასქა ხელმოკრულ ყმად გავიხადე. [და ისინი რეგულარულად მაქვდიდნენ ლაშქარს]. და ეს მე ერთ წელიწადში ვქმენ.

მეორე წელი:

§10. [შემდეგ წელს] გავეშურე [ზემო ქვეყნისაკენ]. და რადგანაც თიფიას ქვეყანამ ომი გამომიცხადა [და ლაშქარს არ მაწვდიდა], თავს დავეცი მე, მზე, ქლაქ ქათხაილუვას. წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და [წვრილფეხა] საქონელი ხათუსაში წავასხი, [ქლაქი კი გადავწვი].

§11. შეძლე [თიფიას ქვეყნიდან ქალაქ ხათუსაში დაებრუნდი და რადგანაც ისხუფითას ქვეყანა მტრულად იყო განწყობილი, გავგზავნე ...] და მან ხელახლა დაამარცხა იგი. ხოლო ვინც [ჩემი ქვეშევრდომი] იქ [იყო, ისინი ...] გაიქცნენ. ნუნ[უნთა ...] და იგი [გაიქცა ...] ქასქების ქვეყანაში. [...] და [...გაიქცა. ხოლო ...[... რომლებიც] აჯანყების მთავრები [იყვნენ], მათ [მოკლეს(?) ისინი. მაშინ მე,] მზე, [თავს დავესხი] ქალაქ ქამანას. [ქალაქ არინას მზის ქალღვთაება,] ჩემი ქალბატონი, [ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მე]ცულა და ღვთაებანი [ჩემთან იდგნენ], მაშინ [დავამარცხე ქალაქი ქამანა. ხოლო წარტყვევნილი მოსახლეობა,] მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი [ხელთ ვიგლე და ქალაქ ხათუსაში წამოვასხი. [ქალაქი კი გადავაწვევინე]. და ეს [მე ერთ წელიწადში ვქმენ].

მესამე წელი:

§12. შეძლეგ წელს ხო[ლო ...]. ჩემი ძმა [... ქალაქ ხუვარსანასას ლაშქარი] და ქალაქ [...-ს] ლაშქარი [გამექცა] და [არცაევას ქვეყნად მივიდა]. მაშინ [გაეუგზავნე] უზა[-ციითის მაცნე] და მიეწერე: რომელი ბაგბიცი, [ქალაქ ათარიმას ლაშქარი,] ქალაქ ხუვარსანასას და ქალაქ სურულას] ლაშქარი [შენთან მოვიდა, [უკან გამომიგზავნე!]]. მაგრამ უზა-ციითიმ [ასე მომიგო:] [არავისაც] არ გამოვიგზავნი. და როგორც ისინი [ჩემთან] ძალდაუტანებლად [მოვიდნენ, ...].

§ 13-14. (დაკარგულია).

§15. შეძლეგ გავეშურე ქალაქ ისხუფითასკენ და ქალაქ ფალხუისას თავს დავესხი. ქალაქ ფალხუისასთან ფისხურიელი მტერი ჩემს წინააღმდეგ საომრად მოემზადა და მე მას ბრძოლა გავუმართე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება მხარში მედგა და ფისხურიელი მტერი ქალაქ ფალხუისასთან დავამარცხე. შეძლეგ ქალაქი გადავაწვევინე.

§16. შეძლეგ ქალაქ ფალხუისადან ქალაქ ხათუსაში დაებრუნდი. ფეხოსანი (და) ცხენოსანი ლაშქარი შევეყარე და ჯერ კიდევ იმავე წელს არცაევას ქვეყნად გავეშურე. ხოლო უზა-ციითის მაცნე გავუგზავნე და ასე მიეწერე: „ჩემი ქვეშევრდომები, რომლებიც შენთან მოვიდნენ, როდესაც ისინი უკან მოვთხოვე, არ დამიბრუნე. და შენ მე ვაჟი მომტაცე და შეურაცხყოფა მომაყენე.“

ახლა კი, უნდა ვიბრძოლოთ! და ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა უნდა გადაწყვიტოს ჩვენი სამართალი!”

§17. როდესაც მივემართებოდი და ლავასას მთას მივადექი, ამინდის ღვთაებამ, ჩემმა ბატონმა თავისი ღვთაებრივი ძალა გამოაჩინა და ჭექა-ქუხილი მოავლინა. ჩემმა ლაშქარმა იხილა ელვა და არცაეას ქვეყანამაც იხილა იგი, ელვამ გასწია და შემუსრა არცაეას ქვეყანა, უხა-ცითვის ქალაქი აფასაც განვმირა მან. უხა-ცითი მუხლზე დააჩოქა და იგი ავად შეიქმნა. ხოლო როდესაც უხა-ცითი ავად შეიქმნა, ასე მოვიდა იგი ჩემთან საბრძოლველად. მან მე თავისი ვაჟი, სუმმა-ქალი გამომიგზავნა ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად და მდინარე ასთარფასთან მდებარე ქალაქ ეალმასთან საომრად გაემზადა და მე, მზე, მას შევერკინე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება მხარში მდგა და სუმმა-ქალი, უხა-ცითვის ვაჟი დაეამარცხე თავის ფეხოსან და ცხენოსან ლაშქართან ერთად. შემდეგ მას გავუღვენე და არცაეას ქვეყანაში შევიჭერი, ქალაქ აფასაში, უხა-ცითვის სამყოფელში მივედი. მაშინ უხა-ცითიმ წინააღმდეგობა ვერ გაიძინა. იგი გამექცა ზღვისკენ, გემებისკენ და იქ შეჩერდა.

§18. მთელი არცაეას ქვეყნის (მოსახლეობა) გაიქცა. რაჭლენიმე რაზმმა არინანდას მთას მიაშურა და არინანდას მთა დაიკავა. სხვა რაზმებმა კი ქალაქ ფურანდასკენ გასწიეს და დაიკავეს ქ. ფურანდა. სხვა რაზმებმა კი უხა-ცითვისთან ერთად ზღვა გადალახეს. და მე, მზე, არინანდას მთისკენ რაზმს უკან გავყვევი და არინანდას მთასთან ბრძოლა გავუმართე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდში მდგა და არინანდას მთა დაეამარცხე. იმ წარტყვევნილი მოსახლეობის რიცხვი, რომელიც მე, მზემ, სასახლეში წამოვასხი, 15 500 იყო; ხოლო ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი იყო უთვლელი. მაშინ გავგზავნე წარტყვევნილი მოსახლეობა ქალაქ ხათუსაში და ისინი ადგილზე მიიყვანეს.

§19. ხოლო როდესაც არინანდას მთა დაეიპყარი, ასთარფას მდინარესთან უკან დავბრუნდი და ასთარფას მდინარესთან გამაგრებული ლაშქარი დაეამარცხე. წლის დღესასწაული იქ დავიწყო. და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში ვქმენ.

მეოთხე წელი:

§20. როდესაც გაზაფხულდა, უხა-ციითი კვლავ ავად იყო და ზღვაში იმყოფებოდა. ვაჟებიც თან ახლდნენ. უხა-ციითი ზღვაში გარდაიცვალა. მისი ვაჟები კი გაიყვნენ, ერთი ზღვაში დარჩა, მეორე კი, თაფალაცუნაული, ზღვიდან გამოვიდა. და რადგანაც არცაჲს მთელი ქვეყანა ქ. ფურანდაში ზემოთ იყო ასული, თაფალაცუნავალი ქალაქ ფურანდაში ავიდა.

§21. [და მე, მზემ, ქალაქი ხათის ლაშქარი] დავრაზმე და ქალაქ ფურანდასკენ საბრძოლველად ვაეწიე. თაფალაცუნავალი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქართან ერთად მოვიდა ქალაქ ფურანდადან და ჩემს წინ სალაშქროდ მოვიდა და თავის კელმინდორზე საომრად დადგა. და მე, მზემ, ბრძოლა ვაკუმართე. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, [მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მდგა. მაშინ დავამარცხე თაფალაცუნავალი [...] თავის ფეხოსანი (და) ცხენოსანი ლაშქართან ერთად და დავამარცხე. შეძლე კვლავ შვეიპყარი [იგი], და ქალაქ ფურანდასკენ ვაეწიე და (ქალაქი) გავანადგურებინე და შეძლე გადავაწვევინე. მას წყალი მოუწყვიტე.

§22. [ხოლო იმ დროს, როდესაც ქალაქი ფურანდა გადავაწვევინე, [თაფალაცუნაულის, უხა-ციითის ვაჟს, რომელიც ქალაქ ფურანდაში ზემოთ იმყოფებოდა, [შექმინდა და ლამით ქალაქ ფურანდადან გაიქცა. [შეძლე თავისი ვაჟები] და ლაშქარი თავიანთი სადგომიდან (?) წაიყვანა [და] ქალაქ ფურანდადან ზემოთ აიყვანა.

§23. [ხოლო როდესაც მე, მზემ, შექტიტყვე: „თაფალაცუნაული [ლამით გაიქცა] და თავისი ვაჟები და ლაშქარი [თავიანთი სადგომიდან] წაიყვანა და ზემოთკენ გასწია“, [მაშინ] დავადევნე მე, [მზემ], ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი. [ისინი] დაეწიენ(?) [თაფალაცუნავალი]ს [და] წაართვეს მას თავიანთი ვაჟები] და წარტყვევნილი მოსახლეობა და უკან [წაიყვანეს ისინი. ხოლო თაფალაცუნავალი] მარტო გაიქცა. [ხოლო მათ ხელთ ივდეს] ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი.

§24. [... ქალაქი ფურანდა გადაეწვი, [...დაეწიე] [ომი]. [ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი], მეცულა [და ყველა ღვთაება გვერდში მდგნენ, მაშინ] დავამარცხე ქალაქი ფურანდა. [ხოლო იმ გამოძევებული მოსახლეობის რიცხვი, რომლებიც მე სასახლეში მოვიყვანე, შეადგენდა] 15[x] 00-ს. ხოლო [ფეხოსანი და ცხენოსანი

ლაშქრის], მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელის რიცხვი უთვლელი იყო. [და მე ისინი ქალაქ ხათუსაში გავგზავნე და მათ] წაიყვანეს [ისინი].

§25. [...] იყო [ზღვაში]. [...] უხა-ციითის ვაჟი, [...] და იგი ზღვიდან [გამოვიდა და მივიდა ...] ახიავას ქვეყნის მეფესთან. [მაშინ] გავგზავნე მე, [მზემ ...] გემებისაკენ, [და ახიავას ქვეყნის მეფემ ისინი გაქუშვა და ისინი წავიდნენ. [იმ წარტყვევნილი მოსახლეობის რიცხვი], რომლებიც მასთან ერთად წაიყვანეს, იყო [ქალაქ -ს წარტყვევნილ მოსახლეობასთან ერთად] და ქალაქ ლიფას გამოძევებულ მოსახლეობასთან ერთად [...] წარტყვევნილი მოსახლეობა. [და მე გავგზავნე [ისინი ქალაქ ხათუსაში], და ისინი წაიყვანეს.

§26. [ხოლო როდესაც მდინარე სეხას ქვეყნიდან წავუდი, [ის მანაფა-თარხუნთა], მდინარე სეხას (ქვეყნის) [ბატონი], იგი დავამარცხე. მაგრამ, როდესაც ჩემს შესახებ [მანაფა-თარხუნთაშ შიქცო: „ ხათის ქვეყნის მეფე მოღის“, [შექ]შინდა და ჩემს წინააღმდეგ არ [გამოვიდა და] გამოძევებულა თავისი დედა, მოხუცი ბრძენი უხუცესი კაცები და ქალები, მოვიდნენ ისინი (და) ფეხთ [ჩამივარდნენ]. და რადგანაც ქალები ფეხთ ჩამივარდნენ, [ქალები] შევიწყალე და მდინარე სეხას ქვეყნისაკენ [არ] გავეშურე. და ის ხათი წარტყვევნილი მოსახლეობა, რომლებიც მდინარე სეხას ქვეყანაში იყვნენ, ისინი უკან გადმოძვეს. ხოლო ეს წარტყვევნილი მოსახლეობა, რომლებიც უკან გადმოძვეს, იყვნენ 4 000. ისინი ქალაქ ხათუსაში უკან გავგზავნე და ისინი მიიყვანეს. ხოლო მანაფა-თარხუნთა და მდინარე სეხას ქვეყანა ჩემს ქვეშევრდომად ვქმენ.

§27. მაშინ მირას ქვეყნისაკენ გავწიე და მირას ქვეყანა მასხუილუვას ჩავაბარე. ხოლო მდინარე სეხას ქვეყანა მანაფა-თარხუნთას გადავეცი; ხაფალას ქვეყანა კი თარგასნაღის ვუბოძე. ეს ქვეყნები გავანადგურე. ჯარის (მოწოდება) დავაწესე და ისინი მე რევულარულად ჯარს მივზავნიდნენ. ხოლო მეორე წელს, არცაევას ქვეყანაში გამოზამთრების შეზღვევ, ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მდგა და დავამარცხე არცაევას ქვეყანა. (მოსახლეობის?) ერთი ნაწილი ქალაქ ხათუსაში წაიყვანე, ხოლო მეორე ნაწილი ადგილზე დავამარცხე და ჯარის (მოწოდება) დავუწესე და ისინი რევულარულად მწველიდნენ

ჯარს. და როდესაც მთელი არცაევას ქვეყანა დაეამარცხე, იმ წარტყვევნილი მოსახლეობის რიცხვი, რომლებიც მე სასახლეში წავგვარე, იყო მთლიანად 600 სული. ხოლო ქალაქ ხათუსას ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქრის მიერ წამოსხმულ წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა და წერილფეხა საქონელს თვლა არ ჰქონდა. და როდესაც მთელი არცაევას ქვეყანა დაეამარცხე, ქალაქ ხათუსაში დაებრუნდი. და იმის შემდეგ, რაც არცაევას ქვეყანაში გამოვიზამთრე, ეს (ყველაფერი) ერთ წელიწადში ვქმენ.

მეხუთე წელი:

§28. შემდეგ წელს გავეშურე ასხარფაიას მთისაკენ. და ქალაქ ქასქას, რომელსაც ასხარფაიას მთა ჰქონდა ხელთ ჩაგდებული და ფალას ქვეყნისაკენ გზა ჰქონდა მოჭრილი, ასხარფაიას მთასთან შევებრძოლე. ქალაქ არინას მზის ქაღალეთაება, ჩემი ქაღალტონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდში მედგა. ქალაქი ქასქა, რომელსაც ასხარფაიას მთა ეყრა, დაეამარცხე და გავანადგურე ასხარფაიას მთა დაეცარიელე. შემდეგ შინ დაებრუნდი და როდესაც ქალაქ სამახას მივალწიე, ქალაქ ციულილასთან შევისვენე.

§29. და სანამ მამჩემი მითანის ქვეყანაში იმყოფებოდა, არცაველი მტერი, ქისიას ქვეყანას ხშირად თავს ესხმოდა და ავიწროვებდა. მაშინ მე, მზე, არავანას ქვეყნისაკენ გავეშურე და არავანას ქვეყანას თავს დავკესხი. ქალაქ არინას მზის ქაღალეთაება, ჩემი ქაღალტონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მედგა. მაშინ დაეამარცხე არავანას ქვეყანა. ხოლო იმ წარტყვევნილი მოსახლეობის რიცხვი, რომელიც არავანას ქვეყნიდან სამეფო სასახლეში წაეასხი, იყო 3 500. ხოლო ის მსხვილფეხა და წერილფეხა საქონელი, რაც ქალაქ ხათუსას ფეხოსანმა და ცხენოსანმა ლაშქარმა წამოსხა, უთვლეელი იყო. ხოლო როდესაც არავანას ქვეყანა დაეამარცხე, ქალაქ ხათუსაში უკან დაებრუნდი. და ყოველივე ეს ერთ წელიწადში ვქმენი.

მეექვსე წელი:

§30. შემდეგ წელს ციხარაას ქვეყნისაკენ გავემართე. პაპჩემის დროს ქალაქმა ქასქამ თარიქარიმუს მთა ძალით დაიკავა. მაშინ ქალაქ ხათუსას საფრთხე შეექმნა, მოვიდნენ ისინი (და) თავს დაესხნენ ქალაქ ხათუსას და მეტად შეავიწროვეს. მე, მზე,

გავეძარტო და ქალაქ ქასქას, რომელმაც თარიქარიმუს მთა დაიპყრო, თავს დავესხი. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდით მდგა. მაშინ დავამარცხე ქალაქი ქასქა თარიქარიმუს მთაზე და გავანადგურე იგი. თარიქარიმუს მთა კი დავაცარიელე, ციხარაას მთელი ქვეყანა გადავაწვევინე. შემდეგ ქალაქ ხათუსაში უკან დავბრუნდი და ყოველივე ეს ერთ წელიწადში ვქმენ.

მეშვიდე წელი:

§ 31. შემდეგ წელს ქალაქ თიფიასკენ გავეშურე. იმ დროს, როდესაც მამაჩემი მითანის ქვეყნად იყო, თიფიელი ფიზუნია გამოჩნდა და ზემო ქვეყანა თავდასხმებისაგან შეაწუხა. შემდეგ იგი ქალაქ ცაცისასკენ გაეშურა. ზემო ქვეყანა ხელთ იგდო. ისთითინას მთელი ქვეყანა კი შეინარჩუნა და თავის საძრძნებლოდ ქმნა.

§ 32. ამის შემდეგ ფიზუნია ქასქების მსგავსად არ მეფობდა, არამედ ქასქების იმ ქალაქებში, სადაც მმართველი არ იჯდა, ფიზუნია იქ მეფობდა.

და მე, მზემ მის წინააღმდეგ გავილაშქრე. მას მცნე გაეუგ ზაენე და მიეწერე: „ჩემი მსახურები, რომელიც შენ ხელთ გყავს და ქასქების ქვეყანაში წაასხი, დამიბრუნე უკან!“ ფიზუნია კი ასე მომწერა: „უკან არაფერს არ დავიბრუნებ. მაშინაც კი, თუ ომს გამომიცხადებ, ჩემს მიწაზე არ შეგებრძოლები, შენს ქვეყნად მოვალ და შენს ქვეყანაში შეგებრძოლები“. და რადგან ფიზუნია ასე მომწერა და ჩემი მსახურები არ დამიბრუნა, მის წინააღმდეგ გავილაშქრე და ქვეყანას თავს დავეცი. ქალაქ არინას მზის ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება ჩემს გვერდით იდგა, დავამარცხე თიფიას ქვეყანა და გადავაწვევინე. ფიზუნია კი შევიპყარი და ქალაქ ხათუსაში წავიყვანე. შემდეგ თიფიას ქვეყანაში დავბრუნდი და რადგან ფიზუნიას ისთითინას ქვეყანა ეპყრა, იგი კვლავ ავაგე და იგი კვლავ ხათის ქვეყნად ვაქციე.

§ 33. როდესაც თიფიას ქვეყანა დავამარცხე, აცის მეფეს, ანიას მცნე გაეუგ ზაენე და მიეწერე: „იმ დროს, როდესაც მამაჩემი მითანის ქვეყანაში იმყოფებოდა, ჩემი მსახურები, რომლებიც შენთან მოვიდნენ, [უკან დამიბრუნე!“ ..].

მერვე წელი:

დაკარგულია.

მეცხრე წელი:

დასაწყისი დაკარგულია.

§39. [...] რომელი [...] შიში [...] შემოვბრუნდი. [...] არ] შე[შებრძოლა. ზემო ქვეყანაში რომელი ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარიც] დაეტოვე, [ნუვანცამ, დიდმა მელვინეთუხუცესმა] მოიყვანა [ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი] საშველად და გასწია ქალაქ ქანუვარასკენ [ქალაქ აციის მტერთან შესაბრძოლებლად]. და აციის ქვეყნის ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [ნუვანცას, დიდი მელვინეთუხუცესის წინააღმდეგ საბრძოლველად] შეემართა. ხოლო აციის ქვეყნის ფეხოსანი და ცხენოსანი ლაშქარი [ნუვანცამ, დიდმა მელვინეთუხუცესმა დაამარცხა. ტყვეებისა და მოკლულების რიცხვს [თვლა არ ჰქონდა].

§40. [ხოლო როდესაც მე, მზე, ქალაქ ქიკუქათანადან ამოვედი, რადგანაც წელი [ინურებოდა], ამის გამო აციის ქვეყანაში არ წავედი. [და რადგან ქალაქმა იახრესამ] ომი დამიწყო და ჯარს არ მაწვდიდა, [...] ქალაქი -] თავდასხმებით ავიწროვებდა, [გავეშურე მე,] მზე, ქალაქ იახრესასკენ და ქალაქ იახრესას თავს დავესხი. ქალაქ არინას მზის ქლღეთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, [მეცულა და ყველა [ღვთაება] გვერდით მელგა. მაშინ დავამარცხე ქალაქი იახრესა, შემდეგ კი გადავაწვევინე. შემდეგ კი გავეშურე ფიგაინარესას ქვეყნისაკენ. ფიგაინარესას ქვეყნიდან ქალაქ ქასქას დავესხი თავს და დავამარცხე იგი. ფიგაინარესას ქვეყანა კი [გადა]ვაწვევინე. წარტყვევნილი მოსახლეობა, მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი კი ხელთ ვიგდე [და] ქ. ხათუსაში წამოვიასხი. და ეს ყველაფერი ერთ წელიწადში ვქმენ.

მეათე წელი:

§41. შემდეგ წელს გავეჩიე აციის ქვეყანაში. აციის ქვეყნის ფეხოსანი (და) ცხენოსანი ლაშქარი საომრად არ გამოხსულა და მთელი ქვეყანა გამავრებულ ქალაქებში დაბანაკდა. მხოლოდ ორი გამავრებული ქალაქის, არიფსასა და დუქამას წინააღმდეგ გავილაშქრე. ქალაქ არინას მზის ქლღეთაება, ჩემი ქალბატონი, ამინდის ღვთაება, ჩემი ბატონი, მეცულა და ყველა ღვთაება გვერდში მელგა. მაშინ ხელთ ვიგდე ქალაქი არიფსა და ქალაქი დუქამა ბრძოლით. იმ წარტყვევნილი მოსახლეობის

რიცხვი, რომელიც სამეფო სასახლეში წამოვასხი, 3 000 იყო. ხოლო ის მსხვილფეხა (და) წვრილფეხა საქონელი, რომელიც ქალაქ ბათუსას ფეხოსანმა და ცხენოსანმა ლაშქარმა წამოასხა, უთვლელი იყო.

დასკვნა:

იმის შემდეგ, რაც მამაჩემის ტახტზე დაჯდეთი, ათი წელი ვიმეფე. ეს მტრული ქვეყნები ჩემი ხელით დავამარცხე ათი წელიწადში. ხოლო ის მტრული ქვეყნები, რომლებიც უფლისწულებმა დაამარცხეს, აქ არ არის (აღნიშნული). რასაც მე ქალაქ არინას ქაღვთაება, ჩემი ქალბატონი შემდგომში დამიწესებს, იმას დავიწესებ და შეეასრულებ!”

മിന്നും മിന്നും മിന്നും

¹ “ფასტებს“ (ლათ. fasti, fas „უზენაესი კანონი, ცის ნება“) ორი მნიშვნელობა ჰქონდა: იგი ერქვა რომაულ კალენდარს, სადაც სახელმწიფო მნიშვნელობის განსაკუთრებული დღეები იყო აღნიშნული. თავიდან ამ კალენდარს ქურუმი პონტიფიკსი ადგენდა, ძვ.წ. 304 წლიდან კი კერძო პირებმაც დაიწყეს მისი შედგენა; „ფასტები“ ერქვა აგრეთვე უმაღლეს თანამდებობის პირთა, ქურუმთა, ომში გამარჯვებულთა და სხვა გამოჩენილ პირთა სიებს. ამ სიების მიხედვით ხდებოდა წლების ათვლა სახელმწიფოში და სწორედ ამით ჩაეყარა საფუძველი ანალებს.

² „ქართული საბჭოთა ენციკლოპედია“ (ქსე), 1975, ტ. I, თბილისი, გვ. 421.

³ სადღეისოდ ცნობილია ძველადმოსავლური „ანალების“ მხოლოდ ეს ფორმა - სამეფო ანალები, სხვა სახის ანალები ჯერჯერობით აღმოჩენილი არ არის.

⁴ Götze A., „Kleinasien“, München 1933, გვ. 163.

⁵ მ. ლამბაშიძე, „ხეთური ანალისტიკა“, „ენა და კულტურა“ № 3 (გრიგოლ გიორგაძის დაბადებიდან 75 წლის აღსანიშნავად), თბილისი 2002, გვ. 39-44; Gambashidze M., “Hittite Royal ‘Diaries’”, “Bulletin of the AGIBAS (American-Georgian Institute of Biblical and Archaeological Studies” # 1, Tbilisi State University/Cornell University, 2003, გვ. 29-30.

⁶ Güterbock H.G., „Die historische Tradition und ihre literarische Gestaltung bei Babyloniern und Hethitiern bis 1200“, ZA 44, 1938, გვ. 45; Gamkrelidze Th. V., „The Akkado-Hittite Syllabary and the Problem of the Origin of the Hittite Script“, AO 29, 1961, გვ. 417.

⁷ Güterbock H.G., 1938, გვ. 94.

⁸ Laroche E., „Catalogue des textes Hittites“, Paris. 1971.

⁹ Гиоргадзе Г. Г., „Хеттское царство“, Источниковедение истории Древнего Востока, Москва, 1984, გვ. 154.

¹⁰ XX ს. დასაწყისში, ხეთური ტექსტების არქივის აღმოჩენისა ხეთოლოგიის ჩამოყალიბებისთანავე, ერთ-ერთ მნიშვნელოვან ამოცანად დაისახა ანალების შესწავლა. სადღეისოდ ხელთა გვაქვს ცალკეული ტექსტების შესახებ საფუძვლიანი გამოკვლევები. 1993 წ. გამოქვეყნდა იტალიელი მეცნიერის ჯუზეპე დელ მონტეს მონოგრაფია “ხეთური ანალისტიკა“ (del Monte G.,

„Annalistica Ittita, Pavia 1993). ავტორმა სცადა ანალიტიკური ტექსტებისათვის თავის მოყრა, მაგრამ თავი ვერ აარიდა ხარვეზებს - სამწუხაროდ, ამ ნაშრომში სამეფო ანალების მხოლოდ რამდენიმე ცნობილ ნიმუშს ვხვდებით.

¹¹ Neu E., „Der Anitta Text“, StBoT 18, Wiesbaden 1974; მ. ლამბაშიძე, „ხეთური ანალიტიკის წარმოშობის საკითხისათვის“, „საქართველო-ვერობა-ამერიკა“, ვეროპისა და ამერიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, თბილისი, 1997, გვ. 5-12, Hoffner H., „Histories and Historians of the Ancient Near East The Hittites“, OrNS 49, 1980, გვ. 293. და სხვ.

¹² Martino de S., „Annali Res Gestae Antico Ittiti“, Pavia 2003.

¹³ ამის შესახებ იხ. Güterbock H. G., „Hethitische Literatur“, Neues Handbuch für Literaturwissenschaft, (Hg.) W. Röllig, Wiesbaden 1978, გვ. 218.

¹⁴ კერძოდ: სადღეისოდ არ არის დადგენილი CTH 18-ის KUB 26.71-ის უკანა მხარის IV სვეტის ტექსტი ებმის თუ არა „ამუნას ქრონიკის“ სხვა ფრაგმენტებს. თუ ებმის, მაშინ აღმოჩნდება, რომ თელიფინუს ცნობილ ტექსტში (CTH 19) მოცემული ინფორმაცია ამუნას შესახებ არასწორია. ვინაიდან თელიფინუ ამუნას უწოდებს „უიღბლო მეფეს“, რომელიც მამის მოკვლის გამო ღვთაებებმა დასაჯეს და ხეთის სამეფო ჭირმა მოიცვა. „ამუნას ქრონიკის“ სავარაუდო ფრაგმენტის მიხედვით კი, ამუნა წარმატებულ მეფედ გვევლინება, მისი სარდალი აკონტროლებს ხათუსას ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიას, კერძოდ, თიფიას ქვეყანას, რომელიც მომდევნო პერიოდში ქასქებს ეპყრათ. შემდგომი ხანის ხეთურ ტექსტებში სზირად ნახსენები მეფეთა ძლიერების განმსაზღვრელი გამოთქმა „მეფემ საზღვრად ზღვა გაიზადა“, ზემოხსენებულ ტექსტში უკვე გვხვდება და ამუნას ძლიერებას ადასტურებს. მაგრამ, მთელ ამ მსჯელობას აზრი მხოლოდ მაშინ ექნება, თუ მოცემული ტექსტის პროტოგონისტი მართლაც ამუნა არის.

¹⁵ Grapow H., „Studien zu den Annalen Thutmosis des Dritten und zu ihnen verwandten historischen Berichten des neuen Reiches“, Abhandlungen der deutschen Akademie der Wissenschaften zu Berlin 2, 1947, გვ. 50-54.

¹⁶ „და ნეშტნი სიტყუათა ამრისთანნი და ყოველი, რაცა ქმნა, ყოველი ძლიერებანი მისნი, რომელი ქმნა, აჰა, ესერა, წერილ

არიან წიგნთა სიტყუათა დღეთა მათ მეფეთა ისრაელისათა”. III მეფეთა 16:27: „მცხეთური ხელნაწერი”, თბილისი 1982, გვ. 178.

¹⁷ იხ. ზემოთ გვ. 12-13.

¹⁸ „(და) ეს საგმბრო საქმე, რომელიც (ჩავიდინე), ქ. არინას მზის ღვთაებას ვუძღვენი”, ზათუსილი I-ის „ანალები“, KBo 10.3 წინა მხარე 49-51; „იმის შემდეგ, რაც მამაჩემის ტახტზე დავეჯექი, ათი წელი ვიმეფე. ეს მტრული ქვეყნები ჩემი ხელით დავამარცხე ათი წელიწადში... რასაც ქალაქ არინას ქალღვთაება, ჩემი ქალბატონი შემდგომში დამიწესებს, იმას დავიწესებ და შევასრულებ!”, მურსილი II-ს „ათწლიანი” ანალები (KBo 3.4 უკანა მხარე IV 44-48).

¹⁹ რასაც მოწმობს თუთხალია I-ის ანალები, იხ. ზემოთ გვ. 42-46.

²⁰ ამის შესახებ იხ. Cancik H., „Grundzüge der hethitischen und alttestamentlichen Geschichtsschreibung”, Wiesbaden 1976, გვ. 102-118.

²¹ Grayson A., „Histories and Historians; Assyria and Babylonia”, OrNS 49, 1980, გვ. 140-194. მ. ლაშაშიძე, „ასურული ანალები” (სინაქერიბის ლაშქრობა იერუსალიმში ძვ. წ. VII ს.), დ. ბაზოვის სახ. საქართველოს ებრაელთა ისტორიისა და ეთნოგრაფიის მუზეუმის შრომები IV, თბილისი 2006, გვ. 147-161; აქადური სამეფო ანალების შესახებ საინტერესოა აგრეთვე ს. ფრანკეს ნაშრომი: Franke S., „Königsinschriften und Königsideologie (Die Könige von Akkade zwischen Tradition und Neuerung)”, Altorientalistik, Bd. 1, Hamburg 1995.

²² Меликишвили Г., „Урартские клинообразные надписи”, Москва 1960, გვ. 93-102.

²³ Güterbock H. G., „Hittite Historiography: a Survey”, (ed.) H. Tadmor/ M. Weinfeld, „History, Historiography and Interpretation”, Studies in Biblical and Cuneiform Literatures”, Jerusalem, 1983, გვ. 30.

²⁴ Lewy J., „Tablettes Cappadociennes-documents juridiques”, TCL 21, 1937, Pl. CLXXIII, 214 A.

²⁵ Gelb J. J., „Inscriptions from Alishar and vicinity”, OIP 27, Chicago, N. 1, 49 A, B; 1935, გვ. 19, 51 ; Гюноградзе Г. Г., „RABI SIMMILTIM каппадокийских табличек”, ВДИ 4, 1966, გვ. 81-94.

²⁶ზანჯალი ბრინჯაოსია, განეკუთვნება ქულთეფე-VII ფენას, და ქანეს-I-ბ ფენის თანადროულია. სიგრძე: 29,1 სმ.; ინახება ანკარის სახელმწიფო მუზეუმში: „Die Hethiter und ihr Reich“, (Ausstellungskatalog), Bonn 2001, Inv. – Nr. 19.212, გვ. 45.

²⁷ Otten H., „Eine althethitische Erzählung um die Stadt Zalpa“, StBoT 17, Wiesbaden, 1973, გვ. 66 - 1132/უ წინა მხარე 5.

²⁸ იხ. ზემოთ, გვ. 19-21.

²⁹ ტექსტის სადღეისოდ ცნობილი ასლებიდან უძველესი ა შედგენილია ხეთების ძველი სამეფოს დროს, ძვ. წ. XVI ს., დაახლ. ანითას მეფობიდან 150 წლის შემდეგ, ხოლო ბ და გ ასლები ახალი სამეფოს პერიოდს განეკუთვნება.

³⁰ გ. გიორგაძე, „ათასი ღვთაების ქვეყანა“, თბილისი 1988, გვ. 17; McMahan G., „The History of the Hittites“, Biblical Archaeologist, June/Sep., 1989, გვ. 64 და მრ. სხვ.

³¹ არსებობს ვარაუდი, რომ იგი თანამედროვე ქ. სარის მიდამოებში მდებარეობდა, Bryce T. R., „The Kingdom of the Hittites“, Oxford 1998, გვ. 37.

³² ქანეს/ნესა, დღევანდელი ქულთეფე, მდებარეობს ქ. კაისერის ჩრდილო-აღმოსავლეთით 8 კილომეტრში. ნამოსახლარი ბორცვი 20 მ. სიმაღლისა და 500 მ. დიამეტრისაა, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში ასურელ ვაჭრებს ეყრათ, ხოლო ძვ. წ. XIX ს. შუა წლებში უნდა განადგურებულიყო. გაურკვეველია, ვინ გაანადგურა იგი, შესაძლებელია, ქ. ცალფუეას მეფე უხნამ, რასაც იმავე „ანითას ტექსტიდან“ ვიტყობთ: KBo 3.22 წინა მხარე 39-40. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ასურელ ვაჭართა შემდგომ ქანეს/ნესა სხვა ეთნიკური მოსახლეობით დასახლდა. ინდოევროპელი ხეთები თავიანთ ენას სწორედ „ნესურს/ნესიტურს“ უწოდებენ. თითქოს შესაძლებელია იმის ვარაუდი, რომ თავად ქანეს/ნესას მოსახლეობა, ხეთების აქ დამკვიდრებამდე სხვა ენაზე საუბრობდა, შესაბამისად განსხვავებულ ეთნოსს მიეკუთვნებოდა.

³³ KBo 3.22 წინა მხარე. § 2.

³⁴ იქვე, § 9.

³⁵ RABISIMMILTIM-ის შუმერული შესატყვისია EN^{GS}.LU.

³⁶ ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. ვრცლად Гиоргадзе Г.Г., 1966, გვ. 81-94.

³⁷ Gambashidze M., „Piruwa – Sun of Anitta?“, in: „Bulletin of the AGIBAS (American-Georgian Institute of Biblical and

Archaeological Studies" # 2-3, Tbilisi State University/Cornell University, 2004-2005, გვ. 15.

³⁸ BoTU 7 (VAT 7449).

³⁹ KBo 3.22.

⁴⁰ BoTU 30.

⁴¹ KUB 26.71=Bo 9058.

⁴² Friedrich J., „Aus dem hethitischen Schrifttum“, AO 24, 3, 1925, გვ. 5-6.

⁴³ Hrozni B., „L'invasion des indo-européens en Asie Mineure vers 2000 av. J.-C.“, ArOr 1/3, 1929, გვ. 273-299.

⁴⁴ Güterbock H.G., 1938, გვ. 139-145.

⁴⁵ Otten H., „Die Keilschrifturkunden“, MDOG 76, 1938, გვ. 40-47.

⁴⁶ KUB 36.98, 98b

⁴⁷ Otten H., „Zu den Anfängen der hethitischen Geschichte“, MDOG 83, 1951, გვ. 33-45; Otten H., „Das Hethiterreich“, in: H.Schmökel, Kulturgeschichte des Alten Orient, 1961, გვ. 334-337.

⁴⁸ Neu E., 1974, გვ. 11-15.

⁴⁹ Иванов И. И., „Надпись Анитты“, Хрестоматия по истории Древнего Востока, 1963, გვ. 304-306.

⁵⁰ Гиоргадзе Г. Г., „Текст Анитты“ и некоторые вопросы ранней истории Хеттов“, ВДИ 4, 1965, გვ. 92-93.

⁵¹ გ. გიორგაძე, „ანიტას ტექსტი“ ; „ხათუსილი I-ის ანალები“, „ძველი აღმოსავლეთის ხალხთა ისტორიის ქრესტომათია“, თბილისი 1990, გვ. 174-176.

⁵² Гиоргадзе Г. Г., 1965, გვ. 89.

⁵³ Otten H., 1951, გვ. 39.

⁵⁴ ფირფიტის მე-20 ხაზიდან იწყება მეფე ამუნას წარწერა (CTH 18).

